საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

14 მაისი **შაბათი** 2011
№ 111 (13408) ფასი 60 თეთრი

ინტერნეტ-ტოტალიზატორი
www.liderbeti.com
LIDERBETI
ლიდერი ინტერნეტ სივრცეში



ალექსანდრე კოტრიკაშვილის ფოტო

დიდი დღის დიდი აზრი

# გახსოვდეს



## დინამო ქვეყნის ხმა იყო



## ვისი გორისა ხარ



## ვისი გოლისა ხარ

## ისე არ გვექნას, ჩვენვე გვეთქვას: ჩვენი საქმე წარსულია

2-3

## ზესტაფონის დღეობაა, ხაჭაპური ცხვება

დღეს ეროვნული მეექვსე ჩემპიონს ელის

4





## იქნება ორი ზეიმი მანჩესტერიტორიაზე?

იუნაიტედს რეკორდამდე ქულაღა რჩება...

...სიტის თასამდე სტოკი

9



ქართული ფეხბურთი

● დიდი დღის დიდი სალამო



ძველმა მეგობრებმა და კოლეგებმა ალექსანდრე ჩივაძეს სამახსოვრო თასი გადასცეს

# რა ხალხი, რა მოგონებები!

ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდი დღის 30 წლისთავის აღსანიშნავად თბილისს ბევრი ცნობილი ფეხბურთელი და პიროვნება ესტუმრა: იენის "კარლ ცაისის" მაშინდელი კაპიტანი ლოთარ კურბიუვაიტი, გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტი რაინერ მილკორაიტი, უკრაინული, სომხური და აზერბაიჯანული ფეხბურთის ლეგენდები, ანდრეი ბიბა, ვლადიმერ მუნტიანი (კიევის "დინამო", საბჭოთა კავშირის ნაკრები), ხორენ ოგანესიანი (ერევნის "არარატი", საბჭოთა კავშირის ნაკრები), ისკანდერ ჯავადოვი, მაშალა ახმედოვი (ბაქოს "ნეფთჩი"), ხორვატიის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი, "დინამოს" ყოფილი თავკაცი ივო შუშაკი, ჩეხეთის ნაკრების ყოფილი თავკაცი დუშან უჰრინი, რომელიც "დინამოსაც" წვრთნიდა, "HTB ფუტბოლის" წამყვანი ალექსეი ანდრონოვი.

გუშინ, დილით თბილისის "დინამოს" ხელმძღვანელებმა სტუმრებს დიღმის საწვრთნელი ბაზის სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაათვალიერებინეს. შეიძლება ითქვას, რომ ბაზა თავიდან შენდება, მოედნებზე მალე დაიწყება საფარის დაგება, ხელოვნურსაფრიანი მოედნის მიმდებარე თავისუფალ ტერიტორიაზე კი ახალი სტანდარტული მოედანი მოეწყობა, განახლდება საცხოვრებელი, ადმინისტრაციული, კვებისა და ტრენაჟორების ბლოკები.

ბოლოს სტუმრებმა სამახსოვრო სურათებიც გადაიღეს, სალამოს კი ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ კონცერტს დაესწრნენ.

იყო მოგონებები გარდასულ ტკბილ დღეთა, რა გუნდი იყო „დინამო“ და მისი მაშინდელი მეტოქე „კარლ ცაისი“ - ერთ-ერთი საბაზო გუნდი გერმანიის დემოკრატიული ნაკრების, რომელიც ოლიმპიადის ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე იყო და თასების თასის იმ გათამაშებიდან გამოაგდო „რომა“, „ვალენსია“, „ბენფიკა“, მაგრამ ნოდარ ახალკაცის გაწვრთნილებთან ვერას გახდა.

ბოლოს საიუბილეო ღონისძიებების ორგანიზატორმა, თბილისის „დინამოს“ ახალმა მეპატრონე რომან ფიფიამ 13 მაისის შემოქმედნი ფულადი პრიზებით დააჯილდოვა.



დინამოს მეპატრონე რომან ფიფია



დინამოს გენერალური დირექტორი ზურაბ პოლოლიკაშვილი სტუმრებს ბაზას ათვალიერებინებს



სამახსოვრო ფოტო

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

● ინტერვიუ

# გერმანული გაფრთხილება ჰერ მილკორაიტისგან

## გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტი გვაფრთხილებს: თქვენ თუ არ მოინდომეთ, ინტერპოლი ვერაფერს გიშველით!



13 მაისის აღსანიშნავად თბილისში გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტი რაინერ მილკორაიტიც ჩამოვიდა. თბილისის "დინამოს" უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელ გია ისინის თქმით, მილკორაიტი საქართველოს დიდი ხნის მეგობარია და ქართულ ფეხბურთს ბევრჯერ დახმარებია. მისი ინიციატივით, 2010 წელს გერმანიის საფეხბურთო კავშირმა სოლიდური თანხა გამოყო, რამაც შეუწყო ხელი სამაჩაბლოდან ლტოლვილთა საფეხბურთო სკოლის დაფუძნებას.

**- დაუჯერებელია, მაგრამ კორუფციულ სქემათა გამოძიებამ ისე აჩვენა, თითქოს ამ „საქმეში” მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები ხართ. გერმანელებმა გარიგებული თამაშები პატიოსნად გამოიკვლიეთ, თუმცა ერთგვარად საკუთარ პრესტიჟსაც ავნეთ.**

- რეალურად, გარიგებულ მატჩებს გერმანიაში დიდი მასშტაბები არ შეუძენია. იყო ლაპარაკი, თითქოს პირველ და მეორე ბუნდესლიგებში რაღაც ხდებოდა, მაგრამ ვერაფერი დაამტკიცეს და სულ ორი ფეხბურთელი დაისაჯა, რაც მინიმალური მაჩვენებელია. ჩვენ ეს სახიფათო პროცესი დროულად აღვკვეთეთ.

**- ჩვენთან გამოძიება ამტკიცებს, რომ ეს უბედურება აზიური ტოტალიზატორებიდან მოდის.**

- ჩვენც ასე ვიცით. საერთოდ, აზიური ტოტალიზატორები ფეხბურთში ძალიან ცუდ ტენდენციებს ნერგავენ – მატჩის დაწყებისას ტაქტიკასა და სტრატეგიაზე კი არ ლაპარაკობენ, არამედ იმაზე, ვინ ჩააწვდის პირველ კუთხურს, პირველ აუტს, ვინ მიიღებს პირველ ყვითელ ბარათს. თამაშის დროს ფეხბურთელი ამაზე რომ ფიქრობს და არა მოგებაზე, მერე 5 ათასი ევრო რომ აიღოს, საშინელებაა!

**- ნაცნობი სურათია, თითქოს ქართულ სკანდალზე ლაპარაკობთ.**

- ეს საერთო სენია, ყველგან ერთი სქემით მოქმედებენ. სხვათა შორის, საქართველოში მომხდარზეც ინფორმირებული ვარ და მაინტერესებდა, რა სასჯელს გამოუტანდნენ მოთამაშეებს. ვფიქრობ, სამუდამო დისკვალიფიკაცია აბსოლუტურად სამართლიანი განაჩენია. ეს სხვებისთვის სერიოზული გაფრთხილება იქნება.

**- გარიგებათა ამოსაძირკვად ფიფა ინტერპოლს 20 მილიონი დოლარით დააფინანსებს. ასე ტოტალიზატორებთან ბრძოლა სასაცილო ჩანს.**

- ამას 20 კი არა, 200 მილიონი დოლარიც არ ეყოფა, თუ ინტერპოლს ეროვნული ფედერაციები არ დაეხმარებიან. ინტერპოლი მათთან ითანამშრომლებს, მაგრამ მათ ნაცვლად საქმეს ვერ გააკეთებს.

**- გერმანიის საფეხბურთო კავშირი გარიგებულ მატჩებს როგორ ებრძვის?**

- სხვადასხვა მეთოდს ვიყენებთ. თუ მოთამაშეზე არის ინფორმაცია, რომ აზარტულია, ის კონტროლის ქვეშ ხვდება. ამას გარდა, სეზონის დაწყებამდე ფეხბურთელი ხელმოწერით ადასტურებს, რომ საკუთარი გუნდის თამაშზე ფსონს არ დადებს.

**- თქვენი აზრით, რეალურია, ფეხბურთს ტოტალიზატორი რომ ჩამოაშორონ?**

- ტოტალიზატორი უნდა იყოს, მაგრამ კონტროლი სჭირდება. ჩვენთან ტოტალიზატორები სახელმწიფოს დაქვემდებარებაშია, რაც პრევენციის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა. თუმცა იმხელა ზეწოლა იყო, ტოტალიზატორების დაფუძნების უფლება ახლა ბიზნესსაც მისცეს, ეს კი ჩემთვის მართებული გადაწყვეტილებაა.

**- ფიფამ მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება აბსოლუტურად არასაფეხბურთო ყატარს მისცა. თქვენი აზრით, ამით არაბულ სამყაროში ფეხბურთი განვითარდება?**

- ვერ გეტყვით. მიმაჩნია, რომ ასეთი მასშტაბის ტურნირის მასპინძელს უნდა ჰქონდეს საფეხბურთო ტრადიციები ან მისი განვითარების პერსპექტივა მაინც. ისიც დასაფიქრებელია, ყატარის კლიმატურ პირობებში შესაძლებელია საინტერესო ფეხბურთის ჩვენება?

**- მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის შემდეგ ესპანური, იტალიური, პორტუგალიური და ჰოლანდიური კლუბები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მაგრამ გერმანულმა კლუბებმა ნაკლებად იზარალეს.**

- საქმე ძალიან მარტივად არის – ლიცენზირების სისტემა ყველა პრობლემას აგვარებს. კლუბებს უმკაცრეს მოთხოვნებს ვუყენებთ, მესამე ბუნდესლიგის კლუბებსაც იმავე პირობების შესრულება უწევთ, რაც ბუნდესლიგელებს.

ლიცენზირებისას კლუბმა უნდა წარადგინოს გარანტია, რომ სეზონს ფინანსურად არ ჩააგდებს, აჩვენოს, საიდან აქვს ფული, რამდენია მისი შემოსავალი და ხარჯი. თუ ეს ვერ დაასაბუთა, ლიგაში თამაშის უფლებას არ მივცემთ. გარდა ამისა, ჩვენი პრინციპული პოზიციაა - არც ერთ კომპანიას თუ ბიზნესმენს არ აქვს უფლება, იყოს კლუბის 100-პროცენტიანი მფლობელი. ეს ისევ კლუბების ინტერესებისთვის გადაწყდა. როდესაც ერთი მეპატრონეა, დიდი შანსია, მისი გაკოტრებით კლუბიც დაიშალოს. ამ გადაწყვეტილებას განსაკუთრებით "ჰანოვერის" მეპატრონე ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ პოზიცია არ შეგვიცვლია. მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის თავიდან აცილება ამ და სხვა ხერხებით შევძელით.

**- ფინანსური გარანტიები ახსენეთ. გუნდს ანგარიშზე თანხა ჩემპიონატის დაწყებამდე უნდა ჰქონდეს თუ მისი მსვლელობის დროსაც შეუძლია ბიუჯეტის შევსება?**

- ცხადია, ჩემპიონატის დაწყებამდე - ეს არის რეალური გარანტია და არა შეპირება, რომ თანხა ექნება. ამით ჩემპიონატს პრობლემებს ავარიდებთ. მაგალითად, სეზონის დაწყებამდე თანხის პრობლემა ბილეფელდის "არმინიას" ჰქონდა და გერმანიის საფეხბურთო კავშირი ორი მილიონი ევროთი დაეხმარა, მაგრამ სამი ქულაც დააკლო.

**- გერმანიაში რა სასჯელია მსაჯის გინებისთვის?**

- შეურაცხყოფისა და დაუსაბუთებელი კრიტიკისთვის გუნდის ხელმძღვანელი, მწვრთნელი და ფეხბურთელი 5-დან 20 ათას ევრომდე ჯარიმდება.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდამ სასურველი სტუმარი



# ყველა ქართული საზომით კაცი

ხორვატიის ახალგაზრდული ნაკრების ამჟამინდელი და "დინამოს" ყოფილი მთავარი მწვრთნელი, "ივო ველიჩესტვო" ივო შუშაკი - არც ერთ უცხოელს ასე არ გაუთავისებია საქართველო, ჩვენი ქვეყანა და ხალხი, როგორც ხორვატ სპეციალისტს.

ის თბილისში ყოველთვის სასურველი სტუმარია, რადგან "თანამეგობრობის თასის" მოგებისა და რუსეთის ნაკრებთან გამარჯვების გარდა, დიდი ადამიანური სითბო დაგვიტოვა.

ცხადია, ივო შუშაკი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც 13 მაისის საღამოზე მოიწვიეს.

## ივო შუშაკი: მე ბილიჩს ვაფრთხილებდი...

- წარმოუდგენელია, საქართველოში მიმიწვიონ და არ ჩამოვიდე, რადგან აქ ყოფნა ძალიან მახარებს. უამრავი მეგობარი მყავს და ყოველთვის თბილად მაგონდება ჩემს ქართველ მეგობრებთან ერთად გატარებული წლები, წარმატებებიც და ადმიანური სითბოც, რაც ქართველებს უხვად გაქვთ. ახლაც მსურს, ზეიმში შემოგიერთდეთ და კიდევ ერთხელ მოგილოცოთ ქართული ფეხბურთის ის წარმატება, რაც თქვენი ფეხბურთის პოტენციალიდან გამომდინარე, ბუნებრივიც იყო.

**- სამწუხაროდ, შესარჩევი ჯგუფების კენჭისყრაზე, ჩვენი და თქვენი ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები ერთ ჯგუფებში მოხვდნენ. თქვენ ხორვატების ახალგაზრდულ ნაკრებს ავარჯიშებთ და ვფიქრობ, არც ისე ადვილი იქნება მეგობრების წინააღმდეგ თამაში.**

- მართალს ბრძანებთ, საქართველო ჩემთვის ყველაზე არასასურველი მეტოქე იყო, რადგან მეგობრების წინააღმდეგ თამაში სასიამოვნო არ არის. უეფა კენჭისყრისას მტრებს აშორებს, მაგრამ მეგობრებს – არა. ასე რომ, ფეხბურთში ვერაფერს დაგეგმავ.

**- ხორვატია საქართველოს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებს მალე უმასპინძლებს.**

- დარწმუნებული ვარ, თბილისში ხორვატიის ნაკრების დამარცხების შემდეგ ამ მატჩებს ბევრი მაყურებელი დაესწრება და ორივე შეხვედრა ფეხბურთის ზეიმი იქნება.

**- ცხადია, ფავორიტად ხორვატიას მიიჩნევთ.**

- ხორვატია ფავორიტი იყო თბილისშიც, მაგრამ საქართველოს ნაკრებმა გაიმარჯვა. ასე რომ, წინასწარ ამაზე ლაპარაკი უადგილოა. მეტიც, ფავორიტობამ ჩვენს ეროვნულ ნაკრებს ძალიან ცუდი სამსახური გაუწია.

**- დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ თქვენები ძალიან თავდაჯერებული იყვნენ.**

- სწორედ ამას ვგულისხმობ. არადა, ვაფრთხილებდი, რომ საქართველოში ბოლომდე უნდა დახარჯულიყვნენ.

**- თემურ ქეცბაიას ნაკრებს როგორ დაახასიათებდით?**

- ქეცბაია სერიოზული მწვრთნელი გამოდგა და გუნდს საინტერესო ტაქტიკით ათამაშებს. აღსანიშნავია ფეხბურთელების თავდადება, დისციპლინა და აგრესიულობა. თუმცა, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც სხვა ფაქტორია – ქეცბაიამ კარგად იცის ქართველის მენტალიტეტი და მას გასაღები მოუძებნა. მერწმუნეთ, საქართველოს ნაკრებში მუშაობისას ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან ქართველები თავისებური ხალხი ხართ და გაგება გჭირდებათ. ვინც გაგიგებთ, წარმატებული მწვრთნელი იქნება.

**- ქეცბაიას ტაქტიკა ახსენეთ.**

- მან გუნდის შენება დაცვის გაძლიერებით დაიწყო და დაიმსხვრა წარმოდგენა იმის შესახებ, თითქოს საქართველოს სუსტი დაცვა ჰყავს - რეალურად, ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი უკანა ხაზია. გადავხედოთ გვარებს – სულ ევროპასა და რუსეთში მოთამაშე მაღალი კლასის ფეხბურთელები არიან. გუნდი დაცვიდან თამაშობს, მაგრამ ძალიან მწვავე და სწრაფი კონტრშეტევები ეხერხება. ახლა საქართველოსთან თამაში ამიტომაც არის რთული. არ ვაჭარბებ, წინასწარ ძნელი იქნება ჩვენი ნაკრებების შეხვედრების შედეგის განსაზღვრა. თანაც ნაკრებში სერიოზული დანაკლისი გვაქვს, ვერ ითამაშებს კრანჩარი, ტრავმირებულია ივან რაკიტიჩი და ბილიჩს შემადგენლობის შერჩევისას პრობლემა ექნება.

**- თუმცა, თბილისში წაგებამ ხორვატიის ნაკრების წევრებზე ძალიან მტკივნეულად იმოქმედა, ასე რომ, განსაკუთრებული მონდომებითაც ითამაშებენ.**

- ეს ცხადია, მტკივნეული წაგება იყო და სურთ, დაამტკიცონ, რომ ამას არ იმსახურებდნენ.

**- რომელ ქართველ ფეხბურთელს გამოარჩევთ?**

- ბევრი კარგი მოთამაშე გყავთ, მაგალითად, გამოცდილი კალაძე, ამისულაშვილი, ასათიანის ამბავიც ვიცი და მიკვირს, რომ უგუნდოდ არის. ძალიან მომწონს უნიჭიერესი ანანიძე, რომელიც ჩვენს ლუკა მოდრიჩს მაგონებს და ვფიქრობ, დიდი მომავალი აქვს.

**- თქვენს გუნდში, ახალგაზრდულ ნაკრებში, როგორი მდგომარეობაა?**

- საბედნიეროდ, ტრავმირებულები არ გვყავს. რას ვიზამთ, მეტოქეები ვართ და, ცხადია, ორივეს შესარჩევი ციკლის კარგად დაწყება გვსურს. ამიტომ შევეცდებით, სამი ქულა მოვიპოვოთ და ტურნირი კარგად დავიწყოთ. სხვათა შორის, 3 ივნისის შეხვედრისთვის დიდი ხანია ვემზადებით.

**- ზოგადად დაგვიხასიათეთ ხორვატიის ახალგაზრდული ნაკრები.**

- ახალი გუნდია, რადგან წინა ციკლიდან ბევრი მოთამაშე არ შემოგვრჩა. ბევრი მათგანი ჩვენს ლიგაში თამაშობს: ადემი, ვუკუშიჩი, პუნჩეჩი, სარიჩი, სკვორცი და მათზე დაკვირვების საშუალება მაქვს.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი



გიორგი ადამია

## ადამია მეგოლეების თავშია

გუშინ **გიორგი ადამიამ** გაიბრწყინა. ქართველმა შეტევმა აზერბაიჯანის ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში აგდამის "ყარაბახს" უკვე გაჩემპიონებულ ბაქოს "ნეფთჩისთან" 3:0 მოაგებინა და სამივე გოლი თავად გაიტანა. მან გოლები მე-5, მე-12 და 49-ე წუთებზე გაიტანა. მესამედ მან მეტოქის კარი თერთმეტმეტრიანით დალაშქრა.

ამ ჰეთ-ტრიქით ადამიას 17 გოლი დაუგროვდა, ჩემპიონატის ბომბარდირთა დავას სათავეში მოექცა და უახლოესი მდევარი ორი გოლით ჩამოიტოვა. თანაც "ყარაბახმა" მეორე ადგილზე გასვლის შანსი შეინარჩუნა.

პრემიერლიგაში დასარჩენად მებრძოლ ექვსეულში კი "განჯამ" "გაბალას" უმასპინძლა და მეტოქეები ერთმანეთს უგოლოდ გაეყარნენ. მასპინძელთა ძირითადში იყო **ზურაბ ძამსაშვილი**, რომელიც მე-80 წუთზე შეცვალეს. სტუმართა კაპიტანმა **გოგა ბერაიამ** კი შეუცვლელად ითამაშა.

"მუღანმა" შინ მოიკ-ს 1:0 სძლია, რაშიც წვლილი **გიორგი გულორდავამაც** დაიდო. იგი სასტარტოში იყო და 65-ე წუთზე შეცვალეს.

## თეთრაძემ, სისულელეაო

რუსულ პრემიერლიგაში "ვოლგასა" და "ანჟის" მატჩმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ცნობილმა რუსმა სპეციალისტმა **ალექსანდრ ბუბნოვმა** "ვოლგას" მიერ თამაშის განზრახ დათმობის შესახებ ეჭვი საჯაროდ გამოთქვა. მისი თქმით, ნიჟნინოვგოროდელთა თავკაცმა **ომარ თეთრაძემ** საგანგებოდ არ ათამაშა გუნდის რამდენიმე ლიდერი. ბუბნოვმა ისიც შენიშნა, რომ სხვა დროს ემოციური თეთრაძე მარცხს სათადარიგოთა სკამიდან მშვიდად ადევნებდა თვალს. ამ მატჩში მხოლოდ ორმა ქართველმა ითამაშა – ვოლგელებმა **ლაშა სალუქვაძემ** და **გოგიტა გოგუამ,** თუმცა მათ გარდა ორივე გუნდში ჩვენი თანამემამულეები კიდევ არიან და ამ თემაზე ყურადღებას ამიტომაც ვამახვილებთ.

რამდენიმე დღის განმავლობაში თეთრაძეს ბრალდებისთვის პასუხი არ გაუცია, თუმცა გუშინ დუმილი დაარღვია, მატჩის ჩაწყობის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას სისულელე უწოდა, განაცხადა, რომ რამდენიმე ფეხბურთელი ტრავმის გამო დაასვენა, წაგებამ კი ნული ამჯერადაც ძალიან დასწყვიტა და თქვა, ადამიანი ემოციებს ყოველთვის ერთნაირად არ გამოხატავსო. ერთ-ერთი გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში მან ამ თემაზე მოკლე კომენტარი გააკეთა და ძირითადად წმინდა საფეხბურთო საკითხებს შეეხო.

ჯერჯერობით უცნობია, ბუბნოვისა და სხვათა მიერ გამოთქმული ეჭვი ეჭვად დარჩება თუ ეს მატჩიც უეფას შავ სიაში მოხვდება და გამოძიება დაიწყება. "ვოლგას" ხელმძღვანელობას ამ საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებია.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ომარ თეთრაძე (მარცხნივ) და გოგიტა გოგუა

გამოხმაურება

## Картули пехбурти гаумарджос

ცნობილი ამბავია, რომ ერთ-ერთი საუკეთესო რუსი საფეხბურთო კომენტატორი მიხაილ მელნიკოვი ქართული ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია. მან 13 მაისს ზეიმზე თბილისში ჩამოსვლა ვერ შეძლო, მაგრამ, სამაგიეროდ, საიუბილეო თარიღს გამოეხმაურა "ჩემპიონატ.რუ"-ზე გამოქვეყნებული თბილი წერილით, რომლის ბოლოშიც შეიტყობთ, როგორ აღნიშნა მან "დინამოს" ტრიუმფის 30 წლისთავი.

1981 წლის 13 მაისს საქართველოს მთავარმა გუნდმა თასების თასი მოიგო. თბილისის დროით უკვე 14 მაისი იყო დამდგარი. თამაში ლამის პირველ საათზე დასრულდა, დაჯილდოების ცერემონიალი რამდენიმე წუთს გაგრძელდა და როგორც კი ტელემაყურებელს **კოტე მახარაძე** დაემშვიდობა, მთელი თბილისი დაიძრა **ლენინის** (დღეს **პაიჭაძის**) სახელობის სტადიონისკენ. ხალხს იქ მიჰქონდა ღვინო, ხორცი, მწვანილი, ხაჭაპური... სტადიონის დირექტორს სასწრაფოდ მოუხდა სამსახურში გამოცხადება, ჭიშკარი რომ გაეღო. და მთელი ტერიტორია, მინდვრის, ტრიბუნებისა და სარბენი ბილიკების ჩათვლით, დიდ იმპროვიზებულ სუფრად გადაიქცა. "დინამოს" ტრიუმფმა მხოლოდ ის 70 ათასი ადამიანი კი არ გაახარა, რომელიც ამ გუნდის საშინაო თამაშებზე სისტემატურად დადიოდა, ზეიმში გაცილებით მეტი ხალხი მონაწილეობდა.

70-იანი წლების მიწურულისა და 80-იანების დასაწყისის "დინამო" იმ ხალხსაც კი მოსწონდა, ამ კლუბს რომ არ ქომაგობდა, "დინამოს" ისინიც კი გულშემატკივრობდნენ, რომლებიც მანამდე ფეხბურთს საერთოდ არ უყურებდნენ. ბევრი ადამიანი მინახავს, ვისაც უთქვამს: "ძველი სპარტაკელი (მოსკოვის დინამოელი, ტორპედოელი) რომ არ ვიყო, აუცილებლად თბილისის "დინამოს" ვუქომაგებდიო". თბილისის "დინამოს" გულშემატკივრებს ანტაგონისტები არ ჰყავდათ (ბუნებრივია, გამონაკლისს "არარატის" ქომაგები შეადგენდნენ).



უდიდეს ინტერესს იწვევდა "დინამოს" გასვლითი მატჩები. მეტოქე გუნდების გულშემატკივრების ნაწილი სტადიონზე მხოლოდ იმიტომ მიდიოდა, რომ **ყიფიანი, გუცაევი** და სხვა დინამოელები ენახა. და როცა **ნოდარ ახალკაცის** გუნდს ევროთასის მოპოვების შანსი გაუჩნდა, ქართულ ფეხბურთს პლანეტის მეექვსედი ქომაგობდა. და არა მარტო...

აი, ამბავი, რომელსაც დედაჩემი შეესწრო. რეჯო-ნელ-ემილიაში საბჭოთა თეატრალური მხატვრების დელეგაცია გაემგზავრა. ერთი თბილისელი ახალგაზრდა სკულპტორი ქუჩაში ადგილობრივ მოზარდებს წაებურთავა. ქართველმა და იტალიელებმა ერთმანეთს ვერაფერი აუხსნეს და კომუნიკაცია მხოლოდ მას შემდეგ დამყარდა, რაც თბილისელმა სიტყვა **"ყიფიანი"** წარმოთქვა. იტალიელი ბიჭები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ყიფიანის ფინტების გამეორებაში. თამაშის შემდეგ კი მათ სტუმარი სასტუმრომდე ხელში აყვანილი მიიყვანეს. ერთი კვირა იგი ადგილობრივი ღირსშესანიშნაობა იყო მხოლოდ იმიტომ, რომ დავით ყიფიანი ცოცხლად რამდენიმეჯერ ენახა.

თბილისის "დინამომ" მილანში "ინტერს" მოუგო, 3:0 გაანადგურა "ლივერპული", რომელიც ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი იყო. თასების თასის მეოთხედფინალში "დინამომ" სტუმრად "ვესტ ჰემს" 4:1 სძლია. საფინალო სასტვენისთანავე მთელი "ეპტონ პარკი", 40 ათასი მაყურებელი ფეხზე წამოდგა და ათი წუთის განმავლობაში აპლოდისმენტით აჯილდოებდა მეტოქეს, სანამ გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში ბოლო დინამოელი არ შევიდა.

პირველ ნახევარფინალურ მატჩში "დინამომ" შინ "ფეიენოორდი" 3:0 გაანადგურა, განმეორებით შეხვედრაში კი უპირატესობის შესანარჩუნებლად გმირულად იბრძოლა და 0:2 წააგო. არადა, **რამაზ შენგელიას** გაჰქონდა და გაჰქონდა, მაგრამ გოლი ერთხელაც არ ჩაუთვლიათ.

შემდეგ კი იყო ფინალი "კარლ ცაისთან" და 0:1 მეორე ტაიმის დასაწყისში...

თასების თასის 1980-81 წლების სეზონის მატჩების გარდა, იმდროინდელი "დინამოს" თამაშების ვიდეოჩანაწერები თითქმის არ შემონახულა. ბევრი მომენტი მხოლოდ გულშემატკივართა მეხსიერებას შემორჩა და ისინიც ხშირ-ხშირად იხსენებენ ამაღელვებელ ეპიზოდებს.

"დინამოს" ტრიუმფის შემდეგ 30-მა წელიწადმა განვლო, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ცოტა რამ თუ გვინახავს ისეთი, მაშინდელ ამბებს რომ შეედრება. გვახსოვს, როგორ ატარეს **ვიტალი დარასელიამ** და **თამაზ კოსტავამ** ბურთი ფლანგზე, 70 მეტრის მანძილზე ძირსდაუშვებლად, როგორ დაფრინავდა კარში მწვანეგეტრებიანი **ოთარ გაბელია**, როგორ პასებს არიგებდა ყიფიანი, როგორ ახვევდა თავბრუს მეტოქის მცველებს გუცაევი, როგორი გოლი გაუტანა მან 1981 წელს მინსკის "დინამოს"! ასეთი ევრო-88-ის ფინალის წინ **ვან ბასტენს** არც კი დაესიზმრებოდა. და რომც დასიზმრებოდა, ვერაფრით გაიმეორებდა.

დღეს დიუსელდორფის ტრიუმფატორებიდან სამი ცოცხალი აღარ არის. დღეს თბილისის "დინამო" საქართველოს სუსტ ჩემპიონატშიც კი საუკეთესო გუნდი აღარაა. ძველი "დინამოსგან", ევროპის ერთ-ერთი თვითმყოფადი კლუბისგან სახელწოდებაღაა დარჩენილი. ჩემი მეგობარი და კოლეგა **ალექსეი ანდრონოვი** ზეიმზე თბილისში ჩავიდა. მე კი სტუმრებს ჩემს მოსკოვურ ბინაში დავპატიჟებ, ერთად დავლევთ გუცაევისა და დარასელიას გოლების სადღეგრძელოს. Картули пехбурти гаумарджос! ქართულ ფეხბურთს გაუმარჯოს!

მოამზადა

**ლევან ჯანეზაშვილმა**



# ტრიუმფის მოლოდინი

სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ფაქტია: XXII ჩემპიონატი კიდევ დიდხანს გვემახსოვრება როგორც ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური გათამაშება, ბოლო წლებში რაც ჩატარებულა! მართლაც ძნელია, უცებ დავივიწყოთ ის უმსგავსობანი, თურმე ყველას თვალწინ რომ ხდებოდა...

... ხუთი დამნაშავე მხილებული და დასჯილია, მაგრამ უკვე მერამდენედ გვინდა გამოვთქვათ ეჭვი იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ მატჩის მანიპულირებაში აშკარად (ხუთზე, ათზე, ოცზე) ბევრად მეტი ფეხბურთელი მონაწილეობდა. თუმცა, ეტყობა, სკანდალის ფართო მასშტაბურობა ბევრს არ აწყობდა (მით უფრო, ქართული ფეხბურთის საზეიმო თარიღის წინ) და ამის გამოც იყო, რომ გარიგებები მხოლოდ ხუთ ფეხბურთელს დაუმტკიცდა.

ახლა კი დროა, მოახლოებულ ტურზე ვისაუბროთ, ბოლოს და ბოლოს, დღეს ხომ საქართველოს ახალი ჩემპიონი უნდა გამოვლინდეს! არაერთხელ კი გვითქვამს, რომ ჩვენს ჩემპიონატში პროგნოზის გაკეთება ძნელი და „საფრთხილო“ საქმეა, მაგრამ ამ შემთხვევაში, განსხვავებული სიტუაციაა: უმრავლესობის მსგავსად, ჩვენც არ გვეპარება ეჭვი იმაში, დღეს საღამოს ზესტაფონში საჩემპიონო ზეიმი რომ მოეწყობა!..

## ზესტაფონი-სამტრედია

ეს მატჩი დღეს ყველაზე გვიან, 19 საათზე დაიწყება, თუმცა მასპინძელთათვის სხვა შეხვედრების შედეგებს არანაირი მნიშვნელობა არ ექნება — საკმარისია, **გია გეგუჩაძის** გუნდმა დღეს გაიმარჯვოს და ჩემპიონის ტიტულსაც დაეუფლება. თბილისის „დინამო“, ქუთაისის „ტორპედო“, თბილისის „ვიტ ჯორჯია“, ბოლნისის „სიონი“, რუსთავის „ოლიმპი“— დღემდე მხოლოდ ეს ხუთი გუნდი გამხდარა საქართველოს ჩემპიონი და ძალიან დიდი ალბათობით ამ საღამოს ტრიუმფატორთა რიცხვი გაიზრდება. მოკლედ, „ზესტაფონის“ მწვრთნელ-ფეხბურთელებს განსაკუთრებული მოტივირება არ სჭირდებათ. თანაც, არ დაგვავიწყდეს, „ზესტაფონს“ მეტოქედ ისეთი გუნდი ჰყავს, სასურველთა კატეგორიას რომ მიეკუთვნება. ბოლო ორი სეზონის განმავლობაში დღევანდელი მეტოქეები ერთმანეთს შვიდჯერ შეხვდნენ და შვიდივე მატჩი „ზესტაფონის“ გამარჯვებით დამთავრდა (ბურთების სხვაობაც შთამბეჭდავია — 25:6). მოკლედ, სტატისტიკაც მასპინძელთა მხარესაა და, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „ზესტაფონი“ ამ სეზონში „სამტრედიას“ კი არა, ყველა სხვა გუნდსაც ალემატება.

## ტორპედო-ვიტ ჯორჯია

საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი დღესაც ტურის ერთ-ერთ გამორჩეულ შეხვედრას გვთავაზობს. ერთი შეხედვით, მეტოქეებისთვის შედეგს განსაკუთრებული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს: „ტორპედო“ და „ვიტ ჯორჯია“ მეოთხე ადგილზე გავლენ თუ მეხუთეზე, ამით არაფერი შეიცვლება; თუმცა, ამ ბოლო დროს მართლაც ჩინებულად ათამაშებულ მასპინძლებს დამატებითი მოტივაციაც უნდა ჰქონდეთ „ვეტერინართა“ წინააღმდეგ: ამ სეზონში ჩატარებული წინა სამივე დაპირისპირება ხომ „ვიტ ჯორჯიას“ გამარჯვებით დამთავრდა! მოკლედ, რევანშის დროც მოვიდა და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ **გია გიგატაძის** გუნდი ბოლო დროს თამაშს თამაშზე იგებს, დღევანდელ მატჩშიც ფავორიტის სტატუსი უნდა მივანიჭოთ. გარკვეულ ინტერესს იწვევს რამდენიმე ფეხბურთელის ყოფილ გუნდთან დაპირისპირებაც: მასპინძელთა წამყვან მოთამაშეებს **დავით დიღმელაშვილს, გიორგი დათუნაშვილსა** და **ვახტანგ კვარაცხელიას** კარიერის საუკეთესო წლები ხომ „ვიტ ჯორჯიაში“ აქვთ გატარებული...

## დინამო-სიონი

აი, ვისთვის იქნება ძნელი სრული მოტივაციით თამაში — თბილისის „დინამოს“ სამწვრთნელო შტაბიც და ფეხბურთელებიც, ფაქტობრივად, შეგუებული არიან მათთვის სამწუხარო ფაქტს, რომ ზედიზედ მესამე სეზონი ოქროს მედლების გარეშე უნდა დაასრულონ. მართლაც ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება მოვლენების ისეთი განვითარება, დარჩენილ სამ შეხვედრაში „ზესტაფონმა“ ექსქულიანი უპირატესობა რომ გაფლანგოს... თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, „დინამო“, უბრალოდ, ვალდებულიც არის, 13 მაისის მეორე დღეს გამართულ შეხვედრაში საუკეთესო ფეხბურთი უჩვენოს! არც გუნდის მთავარ მწვრთნელ **კახა კაჭარავას** და არც ფეხბურთელებს არ სჭირდებათ იმის შეხსენება, რომ კლუბის საზეიმო დღეებში მათგან მხოლოდ წარმატებულ თამაშს მოითხოვენ. ისე, „დინამოსთვის“ ადრე „სიონი“ ერთ-ერთ ყველაზე „სასურველ“ მეტოქედ მიიჩნეოდა, მაგრამ ბოლო ორი სეზონია, ბოლნისელები, სულ მცირე, ერთ შეხვედრას მაინც უგებდნენ ტიტულიან მეტოქეს. სხვათა შორის, „სიონს“ ჯერ კიდევ არა აქვს გარანტირებული მშვიდი ფინიში და ამის გამოც არის, რომ ეს მატჩიც საინტერესო უნდა გამოდგეს.

## ოლიმპი-კოლხეთი

თითქმის სამთვიანი პაუზის შემდეგ „ოლიმპი“ საშინაო სათამაშოს უბრუნდება. ვეჭვობთ, რუსთაველი კლუბის ქომაგები კმაყოფილნი იყვნენ საყვარელი გუნდის ბოლოდროინდელი ასპარეზობით. რა თქმა უნდა, ყოველივე ამას ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა, მაგრამ, არ დავმალავთ და ვიტყვით, რომ აწ უკვე ექსჩემპიონისგან ასეთ წარუმატებელ სერიას ბევრი არ ელოდა! სტატისტიკა დავიმოწმოთ: ცხრა მატჩიდან მხოლოდ სამ შეხვედრაში გაიმარჯვა, დანარჩენი ექვსი კი წააგო! თუმცა, ძნელი სათქმელია, როგორი შედეგი ექნებოდა „ოლიმპს“, ამ შეხვედრებში მეტ-ნაკლებად ოპტიმალური შემადგენლობით რომ ესპარეზა. არახალია, რომ მეორე ეტაპზე რუსთაველი გუნდი, ფაქტობრივად, ყოველ მატჩზე აშკარად შესუსტებული შემადგენლობით გამოდიოდა. აქ, ტრავმიანობა არაფერ შუაშია — ფეხბურთელთა უმრავლესობა მატჩებს დისკვალიფიკაციის გამო ტოვებდა. დღეს კი რუსთაველებს სარეკორდო დანაკლისი ექნებათ: უაღრესად მოტივირებული მეტოქის წინააღმდეგ დისკვალიფიკაციის გამო „ოლიმპს“ ძირითადი შემადგენლობის ხუთი (!) ფეხბურთელი (**ალექსანდრე კვახაძე, ლუკა რაზმაძე, რევაზ გეწაძე, ირაკლი მოდებაძე, გიორგი რეხვიაშვილი**) არ ეყოლება! რაც შეეხება „კოლხეთს“, ზედმეტია იმის ახსნა, თუ რას ნიშნავს **სოსო ფ...ლიას** გუნდისათვის სეზონის ბოლოს ჩატარებული თითოეული შეხვედრა...

## სპარტაკი-ბაია

„ბაიას“ დარჩენილ სამ შეხვედრაში ერთადერთი ქულა სჭირდება, გადათამაშებაში რომ არ მოხვდეს და ვფიქრობთ, **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდს ამის მიღწევა არ უნდა გაუჭირდეს. „სპარტაკის“ მდგომარეობა კი ტურიდან ტურამდე მძიმდება: გუნდს უკვე 11-მატჩიანი მოუგებელი სერია აქვს და უმაღლესში ადგილის შესანარჩუნებლად, შესაძლოა, დარჩენილი სამი მატჩის მოგებაც არ ეყოს. მოკლედ, მასპინძლებს დღეს მხოლოდ გამარჯვება სჭირდებათ, - წინააღმდეგ შემთხვევაში დიდია იმის ალბათობა, რომ „სპარტაკი“ უმაღლეს ლიგას სწორედ XXXIV ტურის შემდეგ დაემშვიდობოს. თუმცა ჯობს, მოვლენებს არ გავუსწროთ და ნაადრევი დასკვნებისგან თავი შევიკავოთ. მით უმეტეს, რომ ფეხბურთში (განსაკუთრებით საქართველოში) წურაფერს გამოვრიცხავთ...

**გია ტუხაშვილი**

**ზესტაფონი-სამტრედია**
Bwin: 1.10 7.00 17.00
14.04. ზესტაფონი. დ. აბაშიძე
**19:00**
არბიტრი: ხ. გაგნიძე; ასისტენტები: ზ. ჯვარიძე, ზ. ფიფია;
მეოთხე მსაჯი: გ. დოგრაშვილი

**სპარტაკი-ბაია**
Bwin: 2.05 3.25 3.20
14.04. გორი. ქართლი
**17:00**
არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი; ასისტენტები: ზ. მენთეშაშვილი, კ. გაბრიაძე;
მეოთხე მსაჯი: გ. დოგრაშვილი

**ოლიმპი-კოლხეთი**
Bwin: 1.20 5.50 10.50
14.04. რუსთავი. ფოლადი
**17:00**
არბიტრი: ლ. სილაგავა; ასისტენტები: ლ. მიქელაძე, კ. ტეფნაძე;
მეოთხე მსაჯი: ა. ნონიკაშვილი

**დინამო-სიონი**
Bwin: 1.20 5.75 9.75
14.04. თბილისი. ბ. პაიჭაძე
**17:00**
არბიტრი: ა. კრიჭაშვილი; ასისტენტები: მ. ელიკაშვილი, ი. უკლება;
მეოთხე მსაჯი: ლ. კვარაცხელია

**ტორპედო-ვიტ ჯორჯია**
Bwin: 1.95 3.00 3.80
14.04. ქუთაისი. ტორპედო
**18:00**
არბიტრი: გ. ვადაჭკორია; ასისტენტები: გ. ჩიგოგიძე, დ. კურტანიძე;
მეოთხე მსაჯი: ჯ. ხორავა

| | | სული | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
| 1 | ზესტაფონი | 33 | 22 | 6 | 5 | 64 | 17 | 72 | 16 | 13 | 2 | 1 | 38 | 3 | 41 | 17 | 9 | 4 | 4 | 26 | 14 | 31 |
| 2 | დინამო | 33 | 19 | 9 | 5 | 51 | 20 | 66 | 16 | 11 | 5 | 0 | 34 | 10 | 38 | 17 | 8 | 4 | 5 | 17 | 10 | 28 |
| 3 | ოლიმპი | 33 | 18 | 6 | 9 | 46 | 29 | 60 | 16 | 13 | 2 | 1 | 28 | 6 | 41 | 17 | 5 | 4 | 8 | 18 | 23 | 19 |
| 4 | ტორპედო | 33 | 12 | 12 | 9 | 28 | 21 | 48 | 16 | 8 | 7 | 1 | 14 | 5 | 31 | 17 | 4 | 5 | 8 | 14 | 16 | 17 |
| 5 | ვიტ ჯორჯია | 33 | 14 | 5 | 14 | 35 | 35 | 47 | 17 | 8 | 3 | 6 | 23 | 18 | 27 | 16 | 6 | 2 | 8 | 12 | 17 | 20 |
| 6 | ბაია | 33 | 12 | 5 | 16 | 31 | 45 | 41 | 17 | 11 | 3 | 3 | 23 | 13 | 36 | 16 | 1 | 2 | 13 | 8 | 32 | 5 |
| 7 | სიონი | 33 | 9 | 9 | 15 | 25 | 42 | 36 | 17 | 8 | 4 | 5 | 20 | 16 | 28 | 16 | 1 | 5 | 10 | 5 | 26 | 8 |
| 8 | კოლხეთი | 33 | 8 | 9 | 16 | 22 | 46 | 33 | 17 | 7 | 4 | 6 | 16 | 17 | 25 | 16 | 1 | 5 | 10 | 6 | 29 | 8 |
| 9 | სპარტაკი | 33 | 6 | 10 | 17 | 29 | 41 | 28 | 16 | 5 | 4 | 7 | 24 | 20 | 19 | 17 | 1 | 6 | 10 | 5 | 21 | 9 |
| 10 | სამტრედია | 33 | 6 | 7 | 20 | 25 | 60 | 25 | 17 | 6 | 5 | 6 | 15 | 13 | 23 | 16 | 0 | 2 | 14 | 10 | 47 | 2 |




ეროვნული ბიბლიოთეკა

სერია A XXXVII ტურის წინ

# ბრძოლა ჩემპიონთა ლიგისთვის

## იუვენტუსი ევროპის ელიტას ალბათ ველარ შესწვდება...

მართალია, ჩემპიონი წინა უქმეებზე გამოვლინდა, მაგრამ იტალიურ საფეხბურთო საზოგადოებაში XXXVII ტურიც საკმაოდ დიდ ინტერესს იწვევს. ერთი, რომ ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საგზურის ბედია გასარკვევი, მეორე, სერია B-ში გასავარდნი მესამე გუნდი უნდა გამოვლინდეს და მესამე: ევროპის ლიგის ორი საგზურია გასათამაშებელი, რომელიც ოთხ გუნდს შეიძლება ერგოს – „ლაციო", „რომა" და „უდინეზე" მოვლენათა ასეთ განვითარებას ნამდვილად არ ისურვებდნენ, აი „იუვენტუსმა" კი გასულ ტურში დაკარგული ქულების შემდეგ, წესით, სწორედ ევროლიგა უნდა დაისახოს მიზნად.

ძალიან დიდ ინტერესს იწვევს „მილანი"-„კალიარის" შეხვედრა და ეს მიუხედავად იმისა, რომ არავითარი სატურნირო ინტრიგა არ ახლავს. საქმე იმაშია, რომ ჩემპიონის რანგში „როსონერი" პირველ საშინაო შეხვედრას ატარებს და სტადიონზე რომ საოცარი ატმოსფერო იქნება, ჩვენი თქმა არ უნდა. დიდი [illegible]ები იგეგმება და ბუნებრივია, ყველას უნდა ამ ზეიმის მონაწილე გახდეს. „როსონერი" ახალი, მომავალი სეზონისთვის გათვლილი ამუნიციით წარდგება და რაც მთავარია, გადაჭედილ „სან სიროზე" საჩემპიონო თასს აღმართავს. ამ შემთხვევაში, შემადგენლობებს და ტაქტიკურ სქემებს ნაკლები მნიშვნელობა აქვს, მხოლოდ ის ალვნიშნოთ, რომ „კალიარის" მთავარი მწვრთნელი დაუპირისპირდება მშობლიურ გუნდს - **რობერტო დონადონის** სარდინიიდან აბარგებას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ბოლო ინფორმაციით, კლუბთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებას აპირებს.

სატურნირო თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა არც „ნაპოლი"-„ინტერის" ჯახს აქვს, თუმცა მეორე მხრივ, ეს უდავოდ ტურის ცენტრალური პაექრობაა. ერთმანეთის პირისპირ ჩემპიონატის მეორე და მესამე გუნდები წარდგებიან და თუ შეხვედრა ნეაპოლელთა გამარჯვებით დასრულდა, „ნერაძურის" მეორეობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება – წინააღმდეგ შემთხვევაში კი **ლეონარდოს** გუნდი სწორედ ამ პოზიციაზე დაასრულებს ჩემპიონატს.

**ვალტერ მაძარის** სერიოზული დანაკლისი აქვს – დისკვალიფიკაციის გამო, „ინტერის" წინააღმდეგ **ჯუზეპე მასკარა** და რაც მთავარია, **ედინსონ კავანი** ვერ იასპარეზებენ. ეს მნიშვნელოვნად შეასუსტებს ნეაპოლელთა შემტევ პოტენციალს, რაზეც თავად მწვრთნელმა ისაუბრა: *„დასამალი არაფერია, წინა ხაზზე ლავეცის გავამწესებ და მჯერა, რომ თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენს. ბოლო დროს, ისე ველარ მიგვდის საქმეები, როგორც სასურველია და ეს უიღბლო სერია სწორედ „ინტერის" დამარცხებით უნდა დავასრულოთ. მთავარი პრობლემა მოტივაციაა, ფეხბურთელები თითქოს ინერციით თამაშობენ და ერთი სული აქვთ, როდის გაემგზავრებიან დასასვენებლად, რასაც ხშირად წყობიდან გამოვყავარ. პატივი უნდა ვცეთ გულშემატკივრებს და მათთვის ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ".*

დანაკლისი „ინტერსაც" აქვს – ლეონარდოს **დეიან სტანკოვიჩის**, **ვესლი სნეიდერის** და **ივან კორდობას** გარეშე მოუწევს ფონს გასვლა. გამომდინარე ნახევარდაცვაში არსებული პრობლემებისა, ბრაზილიელი ექსპერიმენტს მიმართავს და ტაქტიკას ცვლის – პირველად ამ სეზონში, „ნერაძური" კლასიკური 4-4-2-ით ითამაშებს. ცენტრში **ხარჯა** და **კამბიასო** გაირჯებიან, მარჯვნივ **ძანეტის** გამოჩენაა ნავარაუდები, მარცხნივ კი **ნაგატომოსი**. აი, ასეთი ორიგინალური შუა ხაზი ეყოლება მილანურ გრანდს და ვნახოთ, რამდენად კომფორტულად იგრძნობენ თავს თავდამსხმელები: **სამუელ ეტოო** და **ჯამპაოლო პაცინი**.

მეოთხე ადგილზე მყოფი „უდინეზე" „კიევოს" ესტუმრება და თანაც, აუცილებლად სამი ქულის ასაღებად. ფავორიტი უდინეური გუნდია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „კიევო" საკუთარ მოედანზე იოლად არაფერს თმობს - მაშინაც კი, როდესაც სრულიად უმოტივაციოდ არის დარჩენილი. ვერონელები იმუქრებიან კიდეც, ფრიულელებს უქულოდ დავტოვებთო. თავის მხრივ, უდინელებიც იმედიანად არიან, რადგან **ალექსის სანჩესიც** მწყობრშია და **ანტონიო დი ნატალეც** – თუ რა შეუძლია ფორვარდთა ამ ტანდემს, ყველასთვის კარგად არის ცნობილი.

„რომა" „კატანიას" ესტუმრება, გუნდს, რომელმაც გასულ ტურში „ბრეშას" უკრა თავი სერია B-ში. „კიევოსი" არ იყოს, იოლად დანებებას არც სიცილიელები აპირებენ, მაგრამ ფავორიტად მაინც დედაქალაქური გუნდი უნდა მივიჩნიოთ. **ფრანჩესკო ტოტიმ** მცირე ტრავმა მოიშუშა და თუ „გაძეტა დელო სპორტს" დავუჯერებთ, კუნძულელებს პირველივე წუთებიდან შეერკინება. მის მხარდამხარ **მირკო ვუჩინიჩი** ითამაშებს, რომელიც „ინტერთან" სათასო პაექრობაში **მარკო ბორიელოზე** გაცილებით უკეთ გაისარჯა – და ეს მიუხედავად იმისა, რომ მილანელთა კარში გატანილი ერთადერთი გოლი სწორედ ბორიელოს ანგარიშზეა. ძირითადში ველოდებით **ლეანდრო გრეკოს**, რომელიც ვუჩინიჩის მსგავსად, ნაანტრაქტევს ჩაერთო „ინტერთან" თამაშში და საკმაოდ კარგად წარმოჩინდა – ნახევარდაცვაში მასთან ერთად **ფაბიო სიმპლისიოს**, **როდრიგო ტადეის** და **ალესანდრო როზის** ვიხილავთ. ვნახოთ, რა ბედს ეწევა **ვინჩენცო მონტელას** სამწყსო.

„ლაციო" „ჯენოას" მიიღებს და შეეცდება სამმატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტოს. **დელიო როსის** გუნდს ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში დაეწყო ჩავარდნა და შედეგად, მეოთხე ადგილი „უდინეზეს" დაუთმო. რომაელთა ბედი, რომ უდინელებმაც უხვად დაკარგეს ქულები, თორემ დღეს ლიგაში მოხვედრის თეორიული შანსიც აღარ ექნებოდათ. „გაძეტას" მტკიცებით, შეტევის წინა ხაზზე **მაურო სარატეს** ვიხილავთ, რომელმაც წინა ტურში „უდინეზესთან" პაექრობაში თერთმეტმეტრიანი გააცუდა და კრიტიკის ქარცეცხლში გაეხვია. არგენტინელი მწვრთნელმა დაიცვა და იქვე დასძინა, რომ მაუროს მომდევნო შეხვედრაშიც დაეყრდნობა. ესეც მომდევნო შეხვედრა და ვნახოთ, როგორ წარმოაჩენს თავს. სარატეს ზურგს უკნიდან სამი შემტევი ნახევარმცველი დაეხმარება: **სტეფანო მაურო**, **ჯუზეპე სკული** და **ერნანესი**. „ჯენოა" უმოტივაციოდ არის დარჩენილი, სერია B-ში დაქვეითება არც არასდროს ემუქრებოდა, ევროსაგზურს კი ნამდვილად ველარ შესწვდება – მხოლოდ იმას ალვნიშნავთ, რომ სამწუხაროდ, **კახა კალაძე** ტრავმირებულ ფეხბურთელთა ჩამონათვალში აღმოვაჩინეთ.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

**დღეს, 20:00**
ლაციო – ჯენოა VS
**დისკვალიფიკაცია:** დიასი, ბროკი, კოზაკი – მესტო.
**ტრავმა:** დიაკიტე, რადუ, მეგნი – სკარპი, კალაძე.

**დღეს, 22:45**
მილანი – კალიარი VS
**დისკვალიფიკაცია:** ბოატენგი (მილანი).
**ტრავმა:** იანკულოვსკი – ნენე, პერიკო, პიზანო.

**ხვალ, 14:30**
ფიორენტინა – ბოლონია VS
**დისკვალიფიკაცია:** ეკდალი (ბოლონია).
**ტრავმა:** იოვეტიჩი – ბუშე, მონტელონგო, გარიჩი, ესპოზიტო.

**ხვალ, 17:00**
ბარი – ლეჩე VS
**დისკვალიფიკაცია:** გლიკი (ბარი).
**ტრავმა:** რუდოლფი, კუტუზოვი, ოკაკა, ს. მაზიელო, ბარეტო, კასტილო – გროსმიულერი, სინი, ოფერე.

**ხვალ, 17:00**
კატანია – რომა VS
**დისკვალიფიკაცია:** დე როსი, პეროტა (რომა).
**ტრავმა:** ლიამა, შაკა, ბელუში – ბრიგი, მექსე, პიზანო.

**ხვალ, 17:00**
ჩეზენა – ბრეშა VS
**დისკვალიფიკაცია:** დიამანტი, ლანცაფამე (ბრეშა).
**ტრავმა:** ფატიჩი, კოლუჩი, ფონ ბერგენი – დალამანო, კორდოვა, სერენი, ძანეტი, მარეკო.

**ხვალ, 17:00**
კიევო – უდინეზე VS
**დისკვალიფიკაცია:** ანჯელა (უდინეზე).
**ტრავმა:** სარდო, ურიბე – ბასტა, კოდა.

**ხვალ, 17:00**
პარმა – იუვენტუსი VS
**დისკვალიფიკაცია:** კრასიჩი, მარკიზიო (იუვენტუსი).
**ტრავმა:** პალადინო, ამაური, კრესპო – აკვილანი, რინაუდო, სისოკო, კვალიარელა, იაკვინტა, გრიგერა.

**ხვალ, 17:00**
სამპდორია – პალერმო VS
**დისკვალიფიკაცია:** მანინი, ციგლერი (სამპდორია).
**ტრავმა:** მარტინესი, პადალინო, სემიოლი – ბრიკეტო.

**ხვალ, 22:45**
ნაპოლი – ინტერი VS
**დისკვალიფიკაცია:** კავანი, მასკარა (ნაპოლი).
**ტრავმა:** სნეიდერი, სტანკოვიჩი, კორდობა (ინტერი).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 36 | 23 | 9 | 4 | 61-23 | 78 |
| 2. ინტერი | 36 | 22 | 6 | 8 | 65-40 | 72 |
| 3. ნაპოლი | 36 | 21 | 5 | 10 | 56-36 | 68 |
| 4. უდინეზე | 36 | 19 | 5 | 12 | 63-43 | 62 |
| 5. ლაციო | 36 | 18 | 6 | 12 | 47-35 | 60 |
| 6. რომა | 36 | 17 | 9 | 10 | 55-49 | 60 |
| 7. იუვენტუსი | 36 | 15 | 12 | 9 | 55-44 | 57 |
| 8. პალერმო | 36 | 16 | 5 | 15 | 55-59 | 53 |
| 9. ფიორენტინა | 36 | 12 | 13 | 11 | 46-41 | 49 |
| 10. ჯენოა | 36 | 13 | 9 | 14 | 40-41 | 48 |
| 11. კალიარი | 36 | 12 | 8 | 16 | 42-46 | 44 |
| 12. კიევო | 36 | 10 | 13 | 13 | 35-37 | 43 |
| 13. კატანია | 36 | 11 | 10 | 15 | 37-48 | 43 |
| 14. პარმა | 36 | 10 | 12 | 14 | 37-46 | 42 |
| 15. ბოლონია | 36 | 11 | 11 | 14 | 34-47 | 41 |
| 16. ჩეზენა | 36 | 10 | 10 | 16 | 35-47 | 40 |
| 17. ლეჩე | 36 | 10 | 8 | 18 | 42-62 | 38 |
| 18. სამპდორია | 36 | 8 | 12 | 16 | 31-44 | 36 |
| 19. ბრეშა | 36 | 7 | 10 | 19 | 32-49 | 31 |
| 20. ბარი | 36 | 4 | 9 | 23 | 23-54 | 21 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს სამი ქულა*

**ბომბარდირები**: 28 – დი ნატალე (უდინეზე); 26 - კავანი (ნაპოლი); 20 - ეტოო (ინტერი); 19 - დი ვაიო (ბოლონია); 19 - მატრი (იუვენტუსი); 15 - პაცინი (ინტერი); 14 - იბრაჰიმოვიჩი (მილანი), პატო (მილანი).



პირველ წრეში პარმამ იუვენტუსს ტურინში 4:1 მოიგო, ჯოვინკომ (მარცხნივ) კი დუბლი შეასრულა



ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

ლიგა 1. XXXVI ტურის წინ



ფრედერიკ ანტონეტის რენს აგერ უკვე ცხრა ტურია არ მოუგია

# დიდიე დეშამის თეორიული შანსი

| კვირა: | |
|---|---|
| არლი-ტულუზი | 19:00 |
| კაენი-მონპელიე | 19:00 |
| მონაკო-ლანსი | 19:00 |
| ნანსი-ნიცა | 19:00 |
| სენტ ეტიენი-რენი | 19:00 |
| ვალანსიენი-ოსერი | 19:00 |
| ლორიანი-მარსელი | 19:00 |
| **ორშაბათი:** | |
| ბრესტი-ლიონი | 19:00 |
| **ოთხშაბათი:** | |
| ლილი-სოშო | |
| ბორდო-პსჟ | |

"რენმა" დიდი ხანი იბრძოლა, რათა ლიდერებში თავი დაემკვიდრებინა. ის ჯერ ჩემპიონობის კანდიდატადაც კი სახელდებოდა, როცა ოთხი ტური ცხრილის სათავეში გაატარა (მე-8-12 ტურები). შემდეგ ისინი ოდნავ დაქვეითდნენ და ფრანგმა ჟურნალისტებმა მათ ჩემპიონთა ლიგისთვის მებრძოლ "დიდ ხუთეულში" მიუჩინეს ადგილი. თუმცა "ერთ მშვენიერ თუ არცთუ მშვენიერ დღეს" **ფრედერიკ ანტონეტის** გუნდი მთლიანად მოიშალა და აგერ უკვე 9 ტურია, არ მოუგია. 27 შესაძლებლიდან ბრეტონელებმა მხოლოდ 4 ქულა აიღეს და თუკი ასევე განაგრძეს, საქმე შეიძლება ისე დაუდგეთ, ევროპის ლიგის საგზურიც გამოეცალოთ ხელიდან. "რენის" ოდინდელმა დიდებულმა შეტევამ სამშაბათს აუტსაიდერ "კაენის" დაცვასაც კი მხოლოდ ერთი გოლი აკმარა. თუმცა ანტონეტი იმედს არ კარგავს და აცხადებს: *"ბიჭებს შრომა არ დაუფასდათ, რადგან "კაენთან" მატჩში ნამდვილად ვიმსახურებდით გამარჯვებას. აშკარად ვხედავ, რომ გუნდს ჰყავს ლიდერები და მათ გარკვეული პასუხისმგებლობა უნდა აიღონ თავის თავზე - ვგულისხმობ მიკოლა დუშეზს, კადერ მანგანეს, ჟერომ ლერუას. მართალია, წარუმატებელი სერია განვავრცეთ, მაგრამ თამაშის ხარისხში პროგრესი აშკარა იყო. სულ 3 მატჩი დაგვრჩა და ვალდებულნი ვართ ასევე განვაგრძოთ".*

*"ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს ევროთასებზე მოხვედრის შანსი, არცთუ ისე დიდი, მაგრამ მაინც. ამ მხრივ მომავალ ტურში გაგვიმართლა, რადგან აღნიშნულ ბრძოლაში უშუალო კონკურენტს ვხვდებით, თანაც შინ. დარჩენილ სამ ტურში შეიძლება ბევრი რამე შეიცვალოს, თუკი "რენს" დავამარცხებთ, მათთან განსხვავება სულ რაღაც 2 ქულა იქნება,"* - განაცხადა "სენტ ეტიენის" კაპიტანმა **ლოიკ პერენმა**.

შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი ინტრიგა "რენის" ამჟამინდელი დამრიგებელია. ანტონეტი "სენტ ეტიენს" 2001-04 წლებში წვრთნიდა და მასთან ერთად 2004 წელს ლიგა 2-ის ჩემპიონიც გახდა.

რაც შეეხება საკადრო საკითხებს... დისკვალიფიკაციის შემდეგ გუნდს უბრუნდება "სენტ ეტიენის" კაპიტანი **ბლეზ მატუიდი**. "მწვანეებს" ბოლო ტურში "ლილთან" ტრავმების გამო **იოან ანდრეუ, იორის რავე** და **კრისტოფ ლანდრინი** აკლდნენ. მათი გამოჩენა ამჯერადაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

"მარსელის" თავკაცი **დიდიე დეშამი** ნამდვილად არ ფიქრობს, რომ მის გუნდს საჩემპიონო შანსი აღარ დარჩა. მარსელელებს შეუძლიათ, რომ "ლორიანთან" მოგების შემთხვევაში დროებით სხვაობა ქულამდე შეამცირონ და "ლილი" დამატებითი ზეწოლის ქვეშ მოაქციონ. უშველის თუ არა ეს მოქმედ ჩემპიონს, ძნელი სათქმელია. შესანიშნავ ფორმაში მყოფი, მაგრამ თასის ფინალით დაღლილი "ლილი" 36-ე ტურის შეხვედრაში, 18 მაისს არანაკლებ ბრწყინვალედ მოთამაშე "სოშოს" დაუპირისპირდება, გუნდს, რომელმაც ბოლო 7 მატჩიდან 5 მოიგო და 2 ფრედ ითამაშა. ამის შემდეგ "ძაღლებს" "პარკ დე პრენსზე" "პარი სენ-ჟერმენთან" ელით გასვლითი მატჩი.

"ლორიანს" ჩემპიონების წინააღმდეგ ძირითადი მეკარე **ფაბიენ ოდარი** არ ეყოლება. თითქმის გამორიცხულია ასევე მარჯვენა მცველის **მაქსიმ ბაკას** ასპარეზობაც. ამ ფეხბურთელებმა ტრავმები "მონპელიესთან" 35-ე ტურის შეხვედრაში მიიღეს. თუკი მასპინძლები დღევანდელ მატჩს დათმობენ, მომავალ სეზონში ევროპაში თამაშის ოცნებას საბოლოოდ დაასამარებენ. *"როცა შენი გუნდი ევროპაში მოსახვედრად იბრძვის და გადამწყვეტ მატჩს ისე ატარებს, როგორც ეს "მონპელიესთან" მოხდა, უამრავი შეკითხვა იბადება. არ ვიცი, რა ვიფიქრო, მაგრამ ვაღიარებ, რომ მატჩის შედეგი კანონზომიერი იყო. გუნდებს შორის კლასში სხვაობაც კი შეინიშნებოდა და ეს ძალზე გულსატკენია,"* – თქვა **კრისტიან გურკუფმა**.

აღსანიშნავია, რომ "ლორიანი" პრაქტიკულად უკვე შეგუებულია, რომ სეზონის შემდეგ მას ორივე წამყვან თავდამსხმელთან გამოთხოვება მოუწევს. **კევინ გამეიროს** რომ ლამის მთელი ევროპა აკვირდება, ეს ალბათ იცით, რაც შეეხება **მორგან ამალფიტანოს**, მას ამბიციური ფრანგული კლუბები იწვევენ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლილი | 35 | 19 | 12 | 4 | 62-32 | 69 |
| 2. მარსელი | 35 | 18 | 11 | 6 | 56-33 | 65 |
| 3. ლიონი | 35 | 16 | 11 | 8 | 58-39 | 59 |
| 4. პსჟ | 35 | 15 | 13 | 7 | 53-37 | 58 |
| 5. რენი | 35 | 14 | 11 | 10 | 34-29 | 53 |
| 6. სოშო | 35 | 15 | 7 | 13 | 55-40 | 52 |
| 7. ლორიანი | 35 | 12 | 12 | 11 | 43-42 | 48 |
| 8. სენტ ეტიენი | 35 | 12 | 12 | 11 | 43-42 | 48 |
| 9. მონპელიე | 35 | 12 | 11 | 12 | 32-38 | 47 |
| 10. ოსერი | 35 | 9 | 18 | 8 | 38-45 | 45 |
| 11. ბორდო | 35 | 10 | 15 | 10 | 40-40 | 45 |
| 12. ტულუზი | 35 | 12 | 8 | 15 | 34-35 | 44 |
| 13. ვალანსიენი | 35 | 9 | 16 | 10 | 40-37 | 43 |
| 14. ნიცა | 35 | 10 | 13 | 12 | 30-43 | 43 |
| 15. ბრესტი | 35 | 10 | 12 | 13 | 34-40 | 42 |
| 16. კაენი | 35 | 10 | 11 | 14 | 42-49 | 41 |
| 17. მონაკო | 35 | 8 | 16 | 11 | 34-37 | 40 |
| 18. ნანსი | 35 | 10 | 9 | 16 | 34-48 | 39 |
| 19. ლანსი | 35 | 7 | 13 | 15 | 34-52 | 34 |
| 20. არლი | 35 | 1 | 11 | 23 | 18-67 | 14 |

საფრანგეთის თასის ფინალი

# დუბლის მოლოდინში

დღეს "სტად დე ფრანსზე" საფრანგეთის თასის მოქმედი გამარჯვებული პსჟ ფინალში "ლილს" დაუპირისპირდება. დედაქალაქელთა თავკაცმა **ანტუან კომბუარემ** ჟურნალისტებს დაუდასტურა, რომ განაპირა მცველებმა **მარკოს სეარამ** (ბარძაყი) და **სილვენ არმანმა** (მარცხენა მუხლი) ტრავმები მოიშუშეს და გადამწყვეტი მატჩისთვის მზად არიან. მართალია, ფეხბურთელებს ბოლო რამდენიმე ვარჯიში გაუცდათ, მაგრამ მათი ფიზიკური კონდიციები მაინც დამაკმაყოფილებელია. თუმცა კომბუარეს ორი წამყვანი ფეხბურთელი **პეგი ლუინდულა** და **კრისტოფ ჟალე** მაინც დააკლდება. გადაწყვეტით ამის თქმა ჯერ შეუძლებელია, მაგრამ ლიგა 1-ის ლიდერს შეიძლება **ფლორან ბალმონი** და **ადილ რამი** დააკლდნენ. პირველმა დაზიანება "სენტ ეტიენთან" შუა კვირაში გამართულ შეხვედრაში მიიღო. სამაგიეროდ **რუდი გარსიას ჟერვინიოსა** და **ლუდოვიკ ობრანიაკის** იმედი შეიძლება ჰქონდეს.







გასულ წელს თასი პსჟ-მ მოიგო

## იცით თუ არა, რომ...

1. პსჟ თასის მოქმედი გამარჯვებულია. შარშან "მონაკოსთან" ფინალურ მატჩში **გილემ ოარომ** 79 ათასი გულშემატკივრის თანდასწრებით 105-ე წუთზე გაიტანა ერთადერთი გოლი.

2. პარიზელები თასის ფინალში 12-ჯერ იყვნენ და აქედან 8-ჯერ გაიმარჯვეს. მათზე მეტჯერ გადამწყვეტი მატჩი მხოლოდ "მარსელს" უთამაშია – 18.

3. პსჟ-მ საკმაოდ კომფორტული გზა განვლო ფინალამდე, სადაც მას ლიგა 1-ის არც ერთი წარმომადგენელი არ გადაყრია. პსჟ-მ გათამაშებას გამოთიშა: "აჟენი", "მარტიგი", "ლე მანი" და "ანჟე".

4. დედაქალაქელები ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრისთვისაც იბრძვიან. მათთან "ლიონის" უპირატესობა სულ რაღაც ერთი ქულაა. "ლილმა" კი ლიგის საგზური უკვე ოფიციალურად გაინაღდა.

5. "ლილი" თასის ფინალში პირველად ბოლო 56 წლის განმავლობაში. უკანასკნელად მათ ეს პატივი 1955-ში ჰქონდათ, როდესაც "ბორდო" 5:2 დაამარცხეს.

6. "ძაღლები" სულ 8-ჯერ იყვნენ გადამწყვეტი მატჩის მონაწილეები და აქედან 5-ჯერ მოიგეს. ამ შედეგით ისინი თასის ისტორიაში მე-4 ყველაზე წარმატებული გუნდის სახელს ატარებენ.

7. რუდია გარსიას გუნდმა ფინალამდე "ფორბაკი", "ვასკეალი", "ნანტი" და "ლორიანი" ჩამოიცილა.

8. პირველად კლუბის ისტორიაში "ლილს" შეუძლია დუბლი შეასრულოს.

სავარაუდო შემადგენლობები

**პსჟ:** კუპე – სეარა, სახო, კამარა, არმანი – მაკელელე, ბოდმერი, შანტომი, ნენე – ერდინგი, ოარო

**ლილი:** ლანდრო – ბერია, დებიუში, რამი, როზენალი – კაბაიე, შეჯუ, მავუბა, აზარი – სოვი, ჟერვინიო

ამბები

## ბლანი თანამდებობაზე რჩება

საფრანგეთში საფეხბურთო სკანდალი ჩაცხრა, თუმცა ფეხბურთის ფედერაციას დღემდე უხდება გარკვეული ინფორმაციების ოფიციალურად დადასტურება. მაგალითად, გუშინდლამდე არავის უთქვამს, საბოლოოდ რჩებოდა თუ არა თანამდებობაზე **ლორან ბლანი**. დაგროვილმა კითხვებმა ფედერაციის პრეზიდენტ **ფერნან დიუშუსუას** სპეციალური განცხადების გაკეთება აიძულა. ჩინოვნიკმა განაცხადა, რომ ის ბოლომდე ენდობა ნაკრების თავკაცს და თანამდებობიდან მის გაშვებაზე ლაპარაკი საფუძველს მოკლებულია.

## გულიტის შვილი დაიჭირეს

ლეგენდარული **რუუდ გულიტის** ვაჟი გუშინ დილას იტალიის პატარა ქალაქ ლეკოში ნარკოტიკებით ვაჭრობის ბრალდებით დააკავეს. 20 წლის ახალგაზრდას ფაქტზე წაასწრეს, როდესაც კლიენტს ის პაკეტით მარიხუანას ხელიდან ხელში გადასცემდა. წყარო იუწყება, რომ პოლიციას ამის დამადასტურებელი ფოტოც მოეპოვება. ბუნებრივია, ამის შემდეგ სამართალდამცავებმა მის საცხოვრებელ სახლშიც ჩაატარეს ჩხრეკა, საიდანაც დამატებით 300 გრამი მსუბუქი ნარკოტიკი ამოიღეს.

## აიაქსის შეთავაზება სტეკეს



მაარტენ სტეკელენბურგ

ამსტერდამის "აიაქსმა" **მაარტენ სტეკელენბურგს** ახალი, გაუმჯობესებული ოთხწლიანი კონტრაქტი შესთავაზა. ბუნებრივია, ხელმძღვანელობას ამით სურს, რომ წამყვან ფეხბურთელს სხვა კლუბში გადასვლა გადააფიქრებინოს. შეთავაზება გოლკიპერის აგენტმა **რობ იანსენმა** მას მერე მიიღო, რაც მან პრესას განუცხადა, რომ მის კლიენტს ძალების მოსინჯვა სხვა ქვეყნის ჩემპიონატში აქვს გადაწყვეტილი. *"აიაქსის" წინადადებას აუცილებლად შევისწავლით, თუნდაც იმიტომ, რომ ის მაარტენის ამჟამინდელი კლუბია, მაგრამ არც ახლა დაგიმალავთ, რომ მისთვის პრიორიტეტი კარიერის სხვა ქვეყანაში გაგრძელება იქნება,"* – განუცხადა იანსენმა "ალგემეენ დანგბლადს".

ფრანგული "ეკიპის" ცნობით, "ბორდო" მომავალი სეზონისთვის "აიაქსიდან" **მუნირ ელ ჰამდაუის** გადაბირებას შეეცდება. კლუბის ხელმძღვანელობას გააზრებული აქვს, რომ კოშმარული სეზონის შემდეგ შემადგენლობის გაძლიერების გარეშე საქმე არ გამოვა. მიმდინარე სეზონში მაროკოელმა შემტევმა "აიაქსის" შემადგენლობაში 13 გოლი გაიტანა.

## საა პსჟ-ში?

"პარი სენ-ჟერმენი" დღე-დღეზე ყატარელი ინვესტორების ხელში გადავა, რაც ხელმძღვანელობას სატრანსფერო ბაზარზე ხელებს გაუხსნის. ისინი მომავალი სეზონისთვის სერიოზულად აპირებენ გაძლიერებას. ასე მაგალითად, ადრეც გაცნობეთ, რომ პარიზელები ოფიციალურად ჩაებნენ **კევინ გამეიროსთვის** ბრძოლაში, შესთავაზეს რა 24 წლის თავდამსხმელში 17 მილიონი ევრო, შესაბამისად ისინი ფავორიტებადაც მიიჩნევიან. ამას გარდა მათ "ევერტონიდან" ვეტერანი **ლუის საას** გადაბირებაც სურთ და ამ მიზნით 6 მილიონი ევრო აქვთ გამზადებული. როგორც ფრანგული ვებგვერდები იტყობინებიან, თავდამსხმელს საკმაოდ მსუყე ანაზღაურებასაც შესთავაზებენ. ლივერპულელები, უბრალოდ, იძულებულნი არიან ფრანგი გაყიდონ, რადგან მისი კონტრაქტი 2012 წელს იწურება და საა მის გახანგრძლივებას არ აპირებს. აი, რას აცხადებს თავად ლუისი: *"თუკი პსჟ-ს ინტერესი მართლაც დადასტურდება, არა მგონია, მათთან კონტრაქტზე უარი ვთქვა, რადგან ამ კლუბს მართლა ბავშვობიდან ვგულშემატკივრობ. არ მინდა ისე გამიგოთ, თითქოს "ევერტონში" რამე მაწუხებდეს, მაგრამ რაც უნდა იყოს, პარიზი ჩემი სახლია".*

## ბენფიკა, რომა და ანსალდი

პორტუგალიის ვიცე-ჩემპიონი "ბენფიკა" ყაზანის "რუბინის" არგენტინელი მცველის **კრისტიან ანსალდის** სამსახურით არის დაინტერესებული. როგორც პორტუგალიური "ა'ბოლა" გვამცნობს, ხელმძღვანელობას მისი შეძენა ჯერ კიდევ იანვარში სურდა, მაგრამ მაშინ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. რუსული მხარე 25 წლის მარცხენა მცველში 10 მილიონს ითხოვს. რამდენის გადამხდელები არიან ლისაბონელები, წყარო არაფერს იუწყება. სამაგიეროდ, იგივე "ა'ბოლა" ამბობს, რომ სამხრეთამერიკელის შეძენას "რომაც" ცდილობს და ისინი თანახმანი არიან, ყაზანელთა მიერ მოთხოვნილი თანხა გაიღონ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



კრისტიან ანსალდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XXXIV ტურის წინ

BUNDES LIGA

# ფრანკფურტი, მიონხენგლადბახი თუ ვოლფსბურგი?

## სად დაეშვება პირველი ბუნდესლიგის ფარდა?

ერთი დღეც და ბუნდესლიგა 2010/2011 ისტორიას ჩაბარდება. ბოლო ტურის მთავარი თემა გადარჩენისთვის ბრძოლაა, რომელშიც სამი კლუბია ჩართული: „ვოლფსბურგი", მიონხენგლადბახის „ბორუსია" და ფრანკფურტის „აინტრახტი". საინტერესოა ის, რომ დღეს სამივე მათგანი სტუმრად თამაშობს. ინტრიგა შერჩენილია მეორე („ლევერკუზენი" თუ „ბაიერნი") და მეოთხე ადგილებისთვის („ჰანოვერი" თუ „მაინცი") ბრძოლებშიც. ჩემპიონი დორტმუნდის „ბორუსია" კი „ვერცხლის სინს" ჩაიბარებს.

**დღეს, 17:30**
**ბაიერნი — შტუტგარტი** VS
**დისკვალიფიკაცია:** რიბერი (ბაიერ)
**ტრავმა:** ბრენო, ჰამით ალთინთოფი, ოლიჩი - დეგენი, გებჰარდტი, კაკაუ

**დღეს, 17:30**
**ჰოფენჰაიმი — ვოლფსბურგი** VS
**ტრავმა:** გულდე, ვუკჩევიჩი, ვაისი, თომალა (ჰოფ)

**დღეს, 17:30**
**ჰანოვერი — ნიურნბერგი** VS
**დისკვალიფიკაცია:** ბუნიაკუ (ნიურნ)
**ტრავმა:** ავევორი, ანდრეასენი, კარლიტოსი, აბდელაუ - ფრანტცი

**დღეს, 17:30**
**ბორუსია (დ) — აინტრახტი** VS
**ტრავმა:** ოვომოიელა, კელი, კრინგე, შაჰინი - კრისი, ფრანცი, ცაველასი, ბაირამოვიჩი, კლერკი, კიტელი

**დღეს, 17:30**
**ჰამბურგი — ბორუსია (მ)** VS
**დისკვალიფიკაცია:** იაროლიმი (ჰამბ)
**ტრავმა:** მიკელი, კასტელენი, იანსენი, პეტრიჩი - ვისინგი

**დღეს, 17:30**
**მაინცი — ზანქტ პაული** VS
**დისკვალიფიკაცია:** პოლანსკი (მაინ)
**ტრავმა:** ჰ. მიულერი, ფუხსი, შალაი - მ. ჰაინი, ოჩიპკა, როთენბახი, ფოლცი, სამბრანო, ბოლი, შულტცი, ჰენინგსი

**დღეს, 17:30**
**კიოლნი — შალკე** VS
**ტრავმა:** შორხი, კლემენსი, ლანიგი, ფრაისი - ჰუგლანდი, პანდერი, ყენია, მორიტცი, გავრანოვიჩი

**დღეს, 17:30**
**ფრაიბურგი — ლევერკუზენი** VS
**დისკვალიფიკაცია:** ტოპრაკი (ფრაიბ)
**ტრავმა:** პუპლინი, კრმასი, აბდესადკი, ფლუმი, ბეხმანი

**დღეს, 17:30**
**კაიზერსლაუტ. — ვერდერი** VS
**ტრავმა:** დიკი, შიმუნეკი, ილიჩევიჩი, მორავეკი - ბიონიში, მერტეზაკერი, ნალდო, პრიოდლი, სილვესტრი, ბოროვსკი, ჰანტი, პისარო, ვაგნერი



სამი მწვრთნელის ბრძოლა გადარჩენისთვის: ლუსიენ ფავრი (გლადბახი), კრისტოფ დაუმი (აინტრახტი) და ფელიქს მაგათი (ვოლფსბურგი)

გავარდნის კანდიდატი 1:

### ვოლფსბურგი ყველაზე უკეთეს მდგომარეობაშია

ორი აზრი არ არსებობს, მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების კანდიდატებს შორის ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში „ვოლფსბურგია". საკმარისია, „მგლებმა" „ჰოფენჰაიმი" დაამარცხონ, რომ ულაპარაკოდ გადარჩებიან. მართალია, „ვოლფსბურგს" ზუსტად იმდენივე ქულა აქვს, რამდენიც სარელეგაციო მე-16 ადგილზე მყოფ „გლადბახს", მაგრამ ბურთების შეფარდების მხრივ, **ფელიქს მაგათის** გუნდი მიონხენგლადბახურ კლუბს დიდი უპირატესობით სჯობნის. თანაც, გერმანიის 2009 წლის ჩემპიონს წამყვანი ფეხბურთელები გამოუჯანმრთელდნენ: ბრაზილიელებმა, **ჟოსუემ** და **დიეგომ** ოთხშაბათს სრული დატვირთვით ივარჯიშეს და დღეს მოედანზე აუცილებლად გავლენ. სამაგიეროდ, ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშაა თავდამსხმელ **პატრიკ ჰელმესის** ასპარეზობა.

„ვოლფსბურგის" მეტოქე „ჰოფენჰაიმში" კი უკვე მომავალი სეზონისთვის მზადება დაიწყო. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „ჰოფეს" დღევანდელ მატჩში არაფერი აღარ აინტერესებს გარდა იმისა, რომ გუნდმა მწვრთნელ **მარკო პეცაიუოლის** ღირსეული დამშვიდობება მოუწყოს.

გავარდნის კანდიდატი 2:

### გლადბახი კარგ ფორმაშია

„გლადბახი" „ვოლფსბურგზე" ოდნავ უარეს მდგომარეობაშია. მიონხენგლადბახელთა მთავარი კოზირები კარგ ფორმაში ყოფნა და გასვლით მატჩებში წარმატების მიღწევის ნიჭია, რითაც **ლუსიენ ფავრის** შეგირდები ვოლფსბურგელებსაც სჯობნიან და ფრანკფურტელებსაც. „გლადბახმა" ამ სეზონში სტუმრად 5 მატჩის მოგება შეძლო, „აინტრახტმა" ოთხის, „ვოლფსბურგმა" კი სამის. ამასთან, „გლადბახის" ფეხბურთელებმა იციან, როგორ უნდა დაამარცხონ „ჰამბურგი" სტუმრად - წინა სეზონში მათ ჰამბურგში 3:2 გაიმარჯვეს. „ჰამბურგს" სპორტული მოტივაცია აღარ აქვს. ჩრდილოგერმანული გუნდის მიზანი **ზე რობერტოსთან** და **რუუდ ვან ნისტელროისთან** ღირსეული დამშვიდობებაა. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ „გლადბახს" სასურველი შედეგის მიღწევის ძალიან კარგი შანსი აქვს.

გავარდნის კანდიდატი 3:

### რისი იმედი უნდა ჰქონდეს აინტრახტს?

ყველაზე მძიმე მდგომარეობაში კი ფრანკფურტელები არიან. **კრისტოფ დაუმის** გუნდს ექვსმატჩიანი მოუგებელი სერია და კონკურენტებზე ერთით ნაკლები ქულა აქვს. თანაც, „აინტრახტი" დღეს ჩემპიონ „დორტმუნდს" სტუმრობს, გუნდის ფანებმა კი წინა ორ ტურში სკანდალები მოაწყვეს. მოკლედ, „ზანქტ პაულისთან" ერთად, მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების ყველაზე რეალური კანდიდატი სწორედ „აინტრახტია" - ფრანკფურტელებს გადარჩენისთვის დორტმუნდში მოგება სჭირდებათ და ამავე დროს, „ვოლფსბურგმა" ან „გლადბახმა" უნდა წაიფორხილონ. აქვე იმასაც გეტყვით, რომ „აინტრახტს" ყველაზე ცოტა, სულ რალაც 30 გოლი აქვს გატანილი.

ფრანკფურტულ კლუბს კარგს არაფერს უქადის ის ფაქტიც, რომ დაუმის გუნდის მეტოქე ჩემპიონი „ბორუსიაა". მართალია, დორტმუნდელებს სპორტული მოტივაცია აღარ აქვთ, მაგრამ ყველანაირად შეეცდებიან, არ დაუშვან ის, რომ ზეიმი წაგებით ჩაიმწარონ. თანაც, „ბორუსიას" მეკარე **რომან ვაიდენფელერს** ძალიან უნდა **ოლივერ კანის** მიღწევის გამეორება: „ტიტანმა" 2007/08 წლების სეზონში მხოლოდ 21 გოლი გაუშვა და ამით ბუნდესლიგის რეკორდი დაამყარა. ვაიდენფელერსაც სწორედ ამდენი გოლი აქვს გაშვებული...

### დუელი მეორე ადგილისთვის

მიუნხენის „ბაიერნს" მესამე ადგილს და ჩემპიონთა ლიგის საგზურს ველარავინ წაართმევს, მაგრამ რეკორდმაისტერს ბოლო ტურისთვის მადა გაეზარდა, რადგან მეორე ადგილის დაკავების შანსი გაუჩნდა. გარდა იმისა, რომ ეს ვიცე-ჩემპიონობას ნიშნავს, მეორე ადგილი პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის გარანტიაცაა. თუმცა „ბაიერნი" „ლევერკუზენს" სამი ქულით ჩამორჩება, რაც იმას ნიშნავს, რომ ვიცე-ჩემპიონობისთვის მხოლოდ „შტუტგარტის" დამარცხება საკმარისი არ იქნება - ამისათვის „ლევერკუზენმა" „ფრაიბურგთან" უნდა წააგოს. მიუნხენელებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ უმოტივაციოდ დარჩენილ შტუტგარტელებს დაამარცხებენ - **მარიო გომესი** კი ყოფილი გუნდის კარში გოლების გატანასა და ფაქტობრივად განაღდებული ბომბარდირობის გაუმჯობესებას შეეძლება. შეგახსენებთ, რომ ბოლო ტურის წინ მარიოს ანგარიშზე 27 გოლია.

რაც შეეხება „ლევერკუზენს", რომელიც „ფრაიბურგს" სტუმრობს. ამ შეხვედრაში საკმაოდ კომიკური ვითარება იქმნება: როგორც იცით, „ლევერკუზენის" მწვრთნელი **იუპ ჰაინკესი** „ბაიერნში" გადადის. შესაბამისად, მას ნაღდად ურჩევნია, რომ „ლევერკუზენი" დამარცხდეს და მეორე ადგილზე მისი მომავალი გუნდი, „ბაიერნი" გავიდეს. თავის მხრივ, ასეთივე სურვილი „ფრაიბურგის" თავკაც **რობინ დუტსაც** აქვს, რადგან ეს უკანასკნელი ზაფხულიდან სწორედ „ლევერკუზენს" გაწვრთნის და მას ნაღდად არ უნდა, რომ მისმა მომავალმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშოს. შესაბამისად, დუტს აწყობს, რომ „ლევერკუზენმა" მოიგოს.

თუმცა მწვრთნელების სურვილი ერთია, ფეხბურთელებისა კი - მეორე: „ლევერკუზენის" თავდამსხმელი **შტეფან კისლინგი** ამბობს, თითოეული ჩვენგანი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ფრაიბურგში არ წავაგოთო. აქვე იმასაც გეტყვით, რომ „ლევერკუზენის" დაცვის ვეტერანი ბურჯი **სამი ჰიიპია** დღეს უკანასკნელ მატჩს ჩაატარებს - ფინელი ხომ კარიერას ამთავრებს.

### დუელი მეოთხე ადგილისთვის

ბრძოლა გაიმართება „ჰანოვერსა" (57 ქულა, ბურთების შეფარდება +2) და „მაინცს" შორისაც (55, +12) - ევროპის ლიგის საგზური ორივემ გაინაღდა, ახლა კი ორივეს მეოთხე ადგილზე გასვლა სურს. განსხვავება იმაშია, რომ მეხუთეადგილოსანი ევროპის ლიგის გათამაშებაში ერთი რაუნდით ადრე ჩაერთვება. აქტუალური მდგომარეობა „ჰანოვერის" უპირატესობაზე მეტყველებს, რადგან **მირკო სლომკას** ბიჭებს ორით მეტი ქულა აქვთ. სამაგიეროდ, „მაინცი" გაცილებით უკეთეს ფორმაშია - **თომას ტუხელის** გუნდმა ბოლო 4 შეხვედრაში 10 ქულა მოიპოვა. „ჰანოვერი" წინა ტურებში „გლადბახთან" (0:1) და „შტუტგარტთან" (1:2) დამარცხდა, რითაც ჩემპიონთა ლიგის საგზურზე ოცნება დაასრულა. საინტერესოა ისიც, რომ ორივე გუნდი საკმაოდ მარტივი ამოცანის წინაშე დგას: „ჰანოვერი" უმოტივაციო „ნიურნბერგს" მასპინძლობს, მაინცელები კი გავარდნილ „ზანქტ პაულის" დაუხვდებიან.

### დორტმუნდი ზეიმისთვის ემზადება

მთელი დორტმუნდი უდიდესი ზეიმისთვის ემზადება: „ბორუსია" დღეს „ვერცხლის სინს" ჩაიბარებს (გუნდის მეშვიდე ჩემპიონობა), რის შემდეგაც ქალაქის მთავარ მოედანზე 300 000 ქომაგს ელოდებიან...

ამ ტურის ორი თამაშის შედეგს კი არანაირი მნიშვნელობა არ აქვს: „შალკე" კიოლნში ჩადის, „ვერდერი" კი კაიზერსლაუტერნში.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 33 | 22 | 6 | 5 | 64:21 | 72 |
| 2. ლევერკუზენი | 33 | 19 | 8 | 6 | 63:44 | 65 |
| 3. ბაიერნი | 33 | 18 | 8 | 7 | 79:39 | 62 |
| 4. ჰანოვერი | 33 | 18 | 3 | 12 | 46:44 | 57 |
| 5. მაინცი | 33 | 17 | 4 | 12 | 50:38 | 55 |
| 6. ნიურნბერგი | 33 | 13 | 8 | 12 | 46:42 | 47 |
| 7. ჰამბურგი | 33 | 12 | 8 | 13 | 45:51 | 44 |
| 8. ფრაიბურგი | 33 | 13 | 5 | 15 | 41:49 | 44 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 33 | 11 | 10 | 12 | 49:47 | 43 |
| 10. კაიზერსლ. | 33 | 12 | 7 | 14 | 45:49 | 43 |
| 11. შტუტგარტი | 33 | 12 | 6 | 15 | 59:57 | 42 |
| 12. ვერდერი | 33 | 10 | 11 | 12 | 45:58 | 41 |
| 13. კიოლნი | 33 | 12 | 5 | 16 | 45:61 | 41 |
| 14. შალკე | 33 | 11 | 7 | 15 | 37:42 | 40 |
| 15. ვოლფსბურგი | 33 | 8 | 11 | 14 | 40:47 | 35 |
| 16. ბორუსია (მ) | 33 | 10 | 5 | 18 | 47:64 | 35 |
| 17. აინტრახტი | 33 | 9 | 7 | 17 | 30:46 | 34 |
| 18. ზანქტ პაული | 33 | 8 | 5 | 20 | 34:66 | 22 |

**ბომბარდირები:** 27 - გომესი (ბაიერნი); 22 - სისე (ფრაიბურგი); 16 - გეკასი (აინტრახტი), ნოვაკოვიჩი (კიოლნი); 15 - ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი).

ამბები

## გადაწყდა: პეტერსენი ბაიერნში!

მოსალოდნელი ტრანსფერი ახლა უკვე შემდგარი გარიგებაა: „კოტბუსის" 22 წლის ფორვარდი **ნილს პეტერსენი**, რომელიც მეორე ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირია, კარიერას მიუნხენის „ბაიერნში" გააგრძელებს. „ზიუდდოიჩე ცაიტუნგის" ინფორმაციით, რეკორდმაისტერის ხელმძღვანელები პეტერსენს სამწლიან კონტრაქტზე შეუთანხმდნენ. თავდამსხმელში, რომელმაც მეორე ბუნდესლიგაში 24 გოლის გატანა მოახერხა, ბავარიელები 2.5-დან 2.8 მილიონ ევრომდე გადაიხდიან.

გაირკვა ისიც, რომ „ბაიერნს" **თომას კრაფტთან** ერთად, **ანდრეას ოტლი** და **ჰამით ალთინთოფი** დატოვებენ. ეს ინფორმაცია „ბაიერნის" ოფიციალურ ვებ-გვერდზეც დადასტურდა. კრაფტი ბერლინის „ჰერტაში" მიდის და **ლევან კობიაშვილის** თანაგუნდელი გახდება. ალთინთოფს კონტრაქტი უმთავრდება და ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარი თქვა, თუმცა მისი



ნილს პეტერსენი

მომავალი ჯერ გაურკვეველია. ასევე უცნობია, სად გააგრძელებს კარიერას ოტლი - მისი გადაბირება ყველაზე მეტად „ჰერტას" უნდა.

## ლივერპულმა მარინს დაუმიზნა

„ლივერპული" ბრემენის „ვერდერის" ახალგაზრდა შემტევი ნახევარმცველით, **მარკო მარინით** დაინტერესდა. ფეხბურთელმა „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში დაადასტურა, რომ ინგლისური გრანდის ხელმძღვანელები მის აგენტს თითქმის ყოველდღე ეკონტაქტებიან. „ბილდის" ცნობით, „ლივერპული" მზადაა, „ვერდერს" 22 წლის მარინის სანაცვლოდ 10 მილიონი ევრო გადაუხადოს. ალსანიშნავია, რომ მისი შეძენა „ტოტენჰემსაც" უნდა. მარკო მარინს ბრემენულ კლუბთან კონტრაქტი 2013 წლამდე აქვს გაფორმებული.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



მარკო მარინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XXXVI ტურის წინ

# ზეიმი და სევდა: ლორკა ჩვენს გულებში

## ვინ მიყვება ერკულესსა და ალმერიას?

**ხვალ, 23:00**
**ალმერია VS მალიორკა**
**დისკვალიფიკაცია:** ბერნარდელო (ალმ)
**ტრავმა:** ნიეტო, ფეგული - ავატე, კორალესი, ენრიხი, ტეხერა

**ხვალ, 23:00**
**ბილბაო VS მალაგა**
**დისკვალიფიკაცია:** გურპეგი - ნაჩო კამაჩო, დუდა
**ტრავმა:** ოსიო, სუსაეტა, კამპო, აურტენეჩე, კასერასი, რამალიო, სერიო - ასენხო, ოვუსუ-აბეიე, კალა, მალაგუენო

**ხვალ, 23:00**
**ატლეტიკო VS ერკულესი**
**დისკვალიფიკაცია:** უიფალუში - აგილარი
**ტრავმა:** გოდინი, პერეა - რუფეტე, სარი, ტომერი, ტოტე, კრისტიანი, დრენტე

**ხვალ, 23:00**
**ბარსელონა VS დეპორტივო**
**ტრავმა:** მონტოია, მილიტო, მაქსველი (?), კრკიჩი (?), ადრიანო (?), პუიოლი (?) - დეზმარე, ჟუკა, როდრიგესი, ურეტა, ტომასი

**ხვალ, 23:00**
**ხეტაფე VS ოსასუნა**
**ტრავმა:** დელ მორალი, ალბინი (?), ლოპესი, გავილანი - მასუდი, რუპერი, რობერტო, ფლანიო (?), არანდა

**ხვალ, 23:00**
**სპორტინგი VS რასინგი**
**დისკვალიფიკაცია:** ტონიო (რას)
**ტრავმა:** ხიმენესი, სასტრე, კუელიარი - კოლსა, სერანო

**ხვალ, 23:00**
**სევილია VS სოსიედადი**
**დისკვალიფიკაცია:** მედელი, ზოკორა - ტამუდო
**ტრავმა:** რაკიტიჩი, კასერესი, ნავარო, გუარენტე, ალექსისი, ნავასი, ჩიგარინი (?) - ხ. ლორენტე

**ხვალ, 23:00**
**ვალენსია VS ლევანტე**
**ტრავმა:** ვისენტე, ბრუნო, დომინგესი, ნავარო (?), ტ. კოსტა - გონსალესი, ხუანლუ, პერესი, სერხიო, დელ ორნო

**ხვალ, 23:00**
**ვილიარეალი VS რეალი**
**დისკვალიფიკაცია:** ლ დიარა
**ტრავმა:** გონსალო, ოლივა, ა. ლოპესი - კაკა, გაგო, ხედირა

**ხვალ, 23:00**
**სარაგოსა VS ესპანიოლი**
**ტრავმა:** დიოგო, კონტინი, ლაგუარდია - დატოლო, დუშერი, ფორლინი, მატიონი, ს. გარსია, პენია, ბაენა, ალვარესი (?)

წინა 36 ტურმა ჩემპიონი გაარკვია. ასე თუ ისე, ცხადია ევროთასების 7 საგზურის მფლობელთა ვინაობა. „პიჩიჩის" **კრიშტიანო რონალდო** აღარ დაანებებს **ლეო მესის**. რაღა დარჩა? გასარკვევია იმ ერთი უიღბლო კლუბის სახელი, რომელიც „ერკულესთან" და „ალმერიასთან" ერთად დატოვებს ელიტას. აი, აქ კი სუპერდაძაბულობაა - თეორიულად მე-10 ადგილზე მყოფი „მალაგას" დაწევა მე-18 ადგილოსან „სარაგოსას" კი შეუძლია.

ასე რომ, სეგუნდადივიზიონში გავარდნა რეალურად 9 კლუბს ემუქრება: „სარაგოსას" (39 ქულა), „ხეტაფეს" (40), „დეპორტივოს" (42), „სპორტინგს" (43), „რეალ სოსიედადს" (44), „ოსასუნას" (44), „მალიორკას" (44), „ლევანტეს" (44) და „მალაგას" (45). ყველაზე ცუდად საქმე, რა თქმა უნდა, **ხავიერ აგირეს** „სარაგოსას" აქვს, რომელიც კვირას „ესპანიოლს" მასპინძლობს. მუნდიალზე მექსიკის ნაკრების გამწვრთნელმა ხავიერ აგირემ განაცხადა: *„ახლა მხოლოდ იმის იმედი გვაქვს, რომ დარჩენილი ორივე თამაში მოვიგოთ, ქულათა მაქსიმუმი ავიღოთ და ვნახოთ, რა მოხდება".* აგირეს გუნდს, ისევე როგორც ბევრ სხვას, რომელიც გავარდნის პირასაა, ურთულესი ფინანსური მდგომარეობა აქვს და სეგუნდაში დაქვეითება მისთვის ძალზე სერიოზული დარტყმა იქნება. შეგახსენებთ, რომ არაგონულმა კლუბმა 16 წლის წინათ ევროპის თასების მფლობელთა თასის ფინალში 2:1 დაამარცხა ლონდონის „არსენალი".

„მარკას" ვებგვერდი გულშემატკივართა გამოკითხვას აწარმოებს, ერთადერთი კითხვით - ვინ გაიზიარებს „ერკულესისა" და „ალმერიას" ბედს. 40% მიიჩნევს, რომ უიღბლო „სარაგოსა" იქნება, 39,9% კი - „ხეტაფე", რომელიც დუბაის კონსორციუმმა შეიძინა. „დეპორტივოს" „შანსებს" 9%-ით აფასებენ, შემდეგ მოდიან: „ოსასუნა" (3,3%) და „რეალ სოსიედადი (2,2%). სხვებს კი ნაკლები საფრთხე ემუქრებათ.

„მალაგას" ჩილელი თავკაცი **მანუელ პელეგრინი** აცხადებს, ერთი თვის წინათ რომ ეთქვათ სეზონის ბოლოს 45 ქულით დაასრულებთო, ეგრევე მოვუწერდი ხელსო. ახლა კი, შესაძლოა, ეს 45 ქულაც არ იყოს საკმარისი დასარჩენად.

ჩემპიონი „კამპ ნოუზე" ზეიმისთვის ემზადება, „ბარსამ" ტრიუმფი უნდა ჩაიბაროს. აი, მის მეტოქეს, ერთ დროს „ბარსელონას" სერიოზულ კონკურენტ „დეპორტივოს" კი სულაც არა აქვს საზეიმოდ საქმე - გუნდი გავარდნის პირასაა.

**პეპ გვარდიოლამ** „ლევანტესთან" ქულის მოპოვებისა და გაჩემპიონების შემდეგ პირველად გუნდი ხუთშაბათს ავარჯიშა. ეს იყო „ბარსას" ყველაზე სახალისო ვარჯიში სეზონში - ფეხბურთელთა და მწვრთნელთა განწყობა ამაღლებული იყო. გუნდთან ერთად ივარჯიშა **ადრიანომ**, სხვა ტრავმირებულებმა კი (**მილიტო, პუიოლი**) - კვლავ ცალკე. გვარდიოლამ პარასკევი დასვენების დღედ გამოაცხადა, ასე რომ, გუნდი მხოლოდ დღეს შეიკრიბება „დეპორტივოსთან" მატჩისთვის მოსამზადებლად. გუშინ კი გუნდმა ღია ავტობუსით ბარსელონას ქუჩები ზეიმით მოიარა.

ხოსეპ გვარდიოლა ესპანეთის ჩემპიონატის ტიტულების მოგროვების სპეციალისტია - „ბარსელონამ" ბოლო 20 წელიწადში 11 ტიტული მოიგო და აქედან 9 შემთხვევაში გვარდიოლაც ტრიუმფატორთა შორის იყო, 6-ჯერ როგორც ფეხბურთელი და 3-ჯერ როგორც მწვრთნელი. სულ კი გვარდიოლას 25 ტიტული აქვს მოპოვებული (16 ფეხბურთელობისას, 9 მწვრთნელობისას), „რეალის" ყოფილმა ფეხბურთელმა და მწვრთნელმა **მიგელ მუნიოსმა** კი 23 ტიტული მოაგროვა.

„ბარსელონას" ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ზეიმი ოდნავ შეკვეცეს. ამის მიზეზი ესპანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში მომხდარი მიწისძვრაა - მურსიის ქალაქ ლორკაში 9 ადამიანი დაიღუპა. ამის გამო „კამპ ნოუზე" და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დროშები სანახევროდ დაშვებული იყო, ხოლო მოზეიმე „ბარსას" ავტობუსზე ბანერი იყო გამოკრული: *„ლორკა ჩვენს გულებში"*. „დეპორტივოსთან" მატჩიც წუთიერი დუმილით დაიწყება.

„რეალი" ბოლო საგარეო მატჩს „ვილიარეალთან" თამაშობს, რომელსაც ჯერ კიდევ აქვს მე-3 ადგილის დაკავების თეორიული შანსი. **ჟოზე მოურინიომ** 2-დღიანი დასვენების შემდეგ პარასკევს გამოიყვანა გუნდი სავარჯიშოდ, თუმცა მედიას კარი მიუხურა...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 36 | 29 | 5 | 2 | 92-20 | 92 |
| 2. რეალი | 36 | 27 | 5 | 4 | 91-31 | 86 |
| 3. ვალენსია | 36 | 20 | 7 | 9 | 62-44 | 67 |
| 4. ვილიარეალი | 36 | 18 | 8 | 10 | 53-40 | 62 |
| 5. ბილბაო | 36 | 17 | 3 | 16 | 56-53 | 54 |
| 6. სევილია | 36 | 15 | 7 | 14 | 56-58 | 52 |
| 7. ატლეტიკო | 36 | 15 | 7 | 14 | 56-49 | 52 |
| 8. ესპანიოლი | 36 | 15 | 4 | 17 | 44-51 | 49 |
| 9. რასინგი | 36 | 12 | 10 | 14 | 39-52 | 46 |
| 10. მალაგა | 36 | 13 | 6 | 17 | 52-64 | 45 |
| 11. მალიორკა | 36 | 12 | 8 | 16 | 37-49 | 44 |
| 12. ლევანტე | 36 | 12 | 8 | 16 | 40-50 | 44 |
| 13. სოსიედადი | 36 | 14 | 2 | 20 | 47-62 | 44 |
| 14. ოსასუნა | 36 | 12 | 8 | 16 | 44-44 | 44 |
| 15. სპორტინგი | 36 | 10 | 13 | 13 | 33-41 | 43 |
| 16. დეპორტივო | 36 | 10 | 12 | 14 | 31-45 | 42 |
| 17. ხეტაფე | 36 | 11 | 7 | 18 | 46-59 | 40 |
| 18. სარაგოსა | 36 | 10 | 9 | 17 | 37-52 | 39 |
| 19. ერკულესი | ს36 | 9 | 7 | 20 | 35-58 | 34 |
| 20. ალმერია | 36 | 5 | 12 | 19 | 32-61 | 27 |

**ბომბარდირები:** 36 - რონალდო (რეალი); 31 - მესი (ბარსელონა); 18 - ვილია (ბარსელონა), როსი (ვილიარეალი); 17 - ნეგრედო (სევილია), ფ. ლორენტე (ბილბაო), აგუერო (ატლეტიკო), სოლდადო (ვალენსია).




ბარსა ზეიმობს

XXXV ტურის მიმოხილვა



ბეტისი გამარჯვებას და ელიტაში ალზევებას ზეიმობს

# ბეტისის დაბრუნება

ტური, რომელმაც საბოლოოდ დაასახელა ჩემპიონი, შუა კვირაში გაიმართა. ამიტომაც, დღეს ერთდროულად გთავაზობთ ბოლო ტურის მიმოხილვასა და მომავლის წინათქმას, რასაკვირველია, საგაზეთო ფართის გათვალისწინებით, ერთიც და მეორეც შემჭირდოვებულ ფორმატში უნდა შემოგთავაზოთ.

36-ე ტურმა „ბარსელონა" ზედიზედ მესამედ გააჩემპიონა, „ვილიარეალს" ჩემპიონთა ლიგის საგზური დაუმტკიცა, „ერკულესს" კი სეგუნდადივიზიონში დაბრუნება გამოუწერა.

## ნაკრები და ანტინაკრები

ამჯერად, ტრადიციას გადავუხვევთ და გთავაზობთ არა მარტო ტურის სიმბოლურ ნაკრებს, არამედ ტურის ანტინაკრებსაც. ორივე Goal.com-ის ესპანურენოვანი რედაქციის მიერაა შედგენილი.

**ტურის სიმბოლური ნაკრები: კაბალიერო** (მალაგა) - **ნანო** (ლევანტე), **კოლოტო** (დეპორტივო), **აბიდალი** (ბარსელონა) - **ბაპტიშტა** (მალაგა), **იოზილი** (რეალი), **კეიტა** (ბარსელონა), **ვალერონი** (დეპორტივო) - **ტამუდო** (რეალ სოსიედადი), **კიკე სოლა** (ოსასუნა), **რონალდო** (რეალი); ***მწვრთნელი: მარსელინო*** *(რასინგი).*

**ტურის ანტინაკრები: სესარი** (ვალენსია) - **მანე** (ხეტაფე), **დომინგესი** (ატლეტიკო), **კასტილიო** (ბილბაო), **პიკე** (ბარსელონა) - **პარეხო** (ხეტაფე), **მედელი** (ატლეტიკო), **ელიასი** (ატლეტიკო) - **არისმენდი** (ხეტაფე), **ბილიჩი** (სპორტინგი), **ფორლანი** (ატლეტიკო); ***მწვრთნელი:*** *კიკე ფლორესი (ატლეტიკო).*

## ტურის მსხვერპლნი

**ნელსონი** და **კამუნიასი** (ოსასუნა): „სევილიასთან" მატჩში ნავარელთა მცველმა კოჭი იტკინა და სეზონის ბოლომდე გამოაკლდა „ოსასუნას". პორტუგალიელი **ლაუტარო აკოსტასთან** შეჯახებისას დაშავდა. ამავე მატჩში ხავიერ კამუნიასს თვალთან რამდენიმე ნაკერი დაადეს, თუმცა ნახევარმცველი ახლა უკეთაა და „ხეტაფესთან" თამაშს შეძლებს.

## პირველი...

მადრიდის „რეალში" დებიუტი ჰქონდა 22 წლის გოლკიპერ **ტომას მეხიასს.** მან „ხეტაფესთან" მატჩის 8[illegible]-ე წუთზე ანტონიო ადანი შეცვალა. მეხიასი 12 წლის ასაკიდან „რეალის" აკადემიაში ვარჯიშობდა.

## ბეტისი დაბრუნდა

სეგუნდადივიზიონის 38-ე ტურში ლიდერმა „ბეტისმა" 3:1 დაამარცხა „ტენერიფე" და პრიმერადივიზიონს 2-წლიანი განშორების შემდეგ დაუბრუნდა. „ვერდიბლანკოსის" შემადგენლობაში გოლები **რუბენ კასტრომ, სალვა სევილიამ** და **ისიდორომ** გაიტანეს. ახლა **პეპე მელის** გუნდი 13 ქულით უსწრებს მესამეადგილოსან „გრანადას", სეგუნდაში კი 4 ტურია დარჩენილი.

შეგახსენებთ, რომ „ბეტისი" სევილიის კლუბია. 2009 წელს „ბეტისმა" 42 ქულა მოაგროვა, მაგრამ „ხეტაფესთან" ცუდი ბალანსის გამო დაქვეითდა. შარშან კი სევილიური კლუბი პლეი ოფში „ლევანტესთან" დამარცხდა. „ბეტისი" 1935 წელს ესპანეთის ჩემპიონიც კი იყო...

## ტურის სტატისტიკა

10 თამაშში 30 გოლი გავიდა (3 გოლი მატჩში). მასპინძლებმა იძალეს: 6 მატჩი მოიგეს და 4 ფრედ დაასრულეს. ტურში მსაჯებმა 45 ყვითელი ბარათი და 1 წითელი აჩვენეს.

**ყველაზე მეტი მაყურებელი:** 55 000 - სანტიაგო ბერნაბეუ.
**ნაკლები მაყურებელი:** 7 000 - მედიტერანეო.
**ყველაზე მეტი დარტყმა:** 20 - ესპანიოლი
**ზუსტი:** 8 - ოსასუნა, რეალი
**ჯარიმა:** 24 - რასინგი
**კუთხური:** 10 - ალმერია
**თამაშგარე:** 5 - მალაგა, რასინგი, რეალი, ალმერია, ერკულესი
**ბურთის ფლობის %:** 84 - ბარსელონა

TOP-10 „დონ ბალონის" მიხედვით

| ფეხბ. | გუნდი | ქ. (თამ) | საშ. |
|---|---|---|---|
| 1. მესი | ბარსელონა | 235 (32) | 7,34 |
| 2. რონალდო | რეალი | 230 (32) | 7,19 |
| 3. როსი | ვილიარეალი | 234 (33) | 7,09 |
| 4. ინიესტა | ბარსელონა | 237 (34) | 6,97 |
| 5. კასორლა | ვილიარეალი | 236 (34) | 6,94 |
| 6. ბ. ვალერო | ვილიარეალი | 222 (32) | 6,94 |
| 7. დ. ალვეში | ალმერია | 227 (33) | 6,88 |
| 8. ჩავი | ბარსელონა | 201 (30) | 6,70 |
| 9. არანსუბია | დეპორტივო | 201 (30) | 6,70 |
| 10. დანი ალვეში | ბარს. | 201 (30) | 6,69 |

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXVI ტურის წინ

# დღეს დიდი დღეა, დეზი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დღეს, 15:45**
**ბლექბერნი VS მანჩესტერ იუნ.**
**დისკვალიფიკაცია:** გულონი - მორისონი, ბლეკეტი
**ტრავმა:** დ. დანი, ნილსენი, გრელა - ჰარგრივზი

**ხვალ, 19:00**
**არსენალი VS ასტონ ვილა**
**დისკვალიფიკაცია:** დივაინი (ასტონ ვილა)
**ტრავმა:** კლიში, ფაბრეგასი, ნასრი, ისტმონდი, ფაბიანსკი - მაკოუნი

**დღეს, 15:45**
**ბლექპული VS ბოლტონი**
**ტრავმა:** კერნი - შ. დევისი, ჰოლდენი, რიკეტსი

**ხვალ, 19:00**
**ბირმინგემი VS ფულჰემი**
**დისკვალიფიკაცია:** ჯერვისი, გარდნერი, რიჯუელი (ყველა ბირმინგემი)
**ტრავმა:** მარტინსი, მ. ტეილორი, ვალესი, მაკფადენი, ს. დანი - კამარა, დ. დაფი

**დღეს, 15:45**
**სანდერლენდი VS ვულვზი**
**დისკვალიფიკაცია:** დოჰერტი (ვულვ)
**ტრავმა:** ბრამბლი, უილბეკი, ასამოა, რიჩარდსონი, გორდონი, კემპბელი - მოუიოკოლო, ედუარდსი, ზუბარი, დოილი

**ხვალ, 19:00**
**ლივერპული VS ტოტენჰემი**
**ტრავმა:** იოვანოვიჩი, კელი, აურელიო, აგერი, ჯერარდი - ბეილი, ჯენასი, ჰადლსტოუნი, ასუ-ეკოტო, პალასიოსი, ჰატონი, კინგი, ვუდგეიტი

**დღეს, 15:45**
**ვესტ ბრომვიჩი VS ევერტონი**
**ტრავმა:** იბანესი, დორანსი, რიდი - ბაქსტერი, საა, ფელაინი

**ხვალ, 19:00**
**უიგანი VS ვესტ ჰემი**
**ტრავმა:** დიამე, პოლიტი - პარკერი, ო'ნილი, დაიერი, ნობლი, სტანისლასი

**ხვალ, 16:30**
**ჩელსი VS ნიუკასლი**
**ტრავმა:** კადარი, უილიამსონი, ბესტი, გოსლინგი, სმიტი, ბენ არფა (ყველა ნიუკასლი)

**სამშაბათს, 22:45**
**მენჩესტერ სიტი VS სტოკი**
**ტრავმა:** გივენი, ბოატენგი - ფულერი, სიდიბე




მანჩესტერი მთავარი ზეიმისთვის ემზადება

დღეს, დიდი შანსია პრემიერლიგის ჩემპიონის ვინაობა გაირკვეს, მაგრამ ეს საკითხი ასე თუ ისე მოგვარებულია და ამიტომ, ყველაზე მეტ ყურადღებას მეხუთე ადგილისთვის ბრძოლა იპყრობს. აქ, ლივერპულის „ენფილდ როუდზე" „ლივერპული" „ტოტენჰემ ჰოთსპურს" მასპინძლობს.

როგორ დღეში არიან ეს გუნდები? „ტოტენჰემი", ერთი შეხედვით, უგუნებოდ უნდა იყოს, რადგან წინა ტურში „მანჩესტერ სიტიმ" 1:0 მოუგო და ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობის შანსი მოუსპო. ამას დაამატეთ, რომ სეზონის მეორე ნახევარში გამოცოცხლებულმა „ლივერპულმა" ცხრილში გადაასწრო და... თუმცა, ეს უკვე მერსისაიდელთა ბოლოდროინდელი მდგომარეობის აღწერაც გამოგვივიდა. ამ გუნდების პირველი შეხვედრა, „უაით ჰართ ლეინზე", „სფურზმა" მოიგო 2:1. მაშინ, 28 ნოემბერს, გამარჯვების გოლი **აარონ ლენონმა** მსაჯის დამატებულ დროში შეაგდო.

თუ დღეს ისევ „დეზები" გაიმარჯვებენ, მეხუთე ადგილზე დაბრუნდებიან და მერე ბოლო ტურშილა დარჩებათ თავისი სამი ქულა მოსაპოვებელი, მაგრამ თუ „ლივერპული" მოიგებს, **ჰარი რედნაპის** გუნდს შეუძლია მეხუთე ადგილი დაივიწყოს.

ამ თამაშის წინ „ლივერპულში" ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა — **კენი დალგლიშმა** სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. „კოპის მეფე კენიმ" გუნდი იანვარში, ცუდ დღეში ჩაიბარა და თუ დღეს მეხუთე ადგილზე გაიყვანს, გმირობად ჩაუთვლიან. რაც დალგლიში მერსისაიდელთა თავკაცია, გუნდმა პრემიერლიგის 16 შეხვედრიდან 10 მოიგო. მის ხელში გუნდს 24 წლის ურუგვაელი თავდამსხმელი **ლუის სუარესი** შეემატა, რომელმაც ბევრ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. მისი გამოჩენის მერე **დირკ კუიტსა** და **მაქსი როდრიგესს** ხელ-ფეხი გაეხსნათ და არაერთი გოლი გაიტანეს — ესეც, რასაკვირველია, დალგლიშის აქტივად უნდა ჩაითვალოს. პრემიერლიგის ბოლო 5 შეხვედრაში „ლივერპულმა" 17 გოლი შეაგდო. ძალიან შთამბეჭდავი გახლდათ მერსისაიდელთა ბოლო გამარჯვება „კრეივენ კოტეჯზე" „ფულჰემთან" — 5:2.

„ტოტენჰემს" კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, ბოლოხანს დალმასვლა დაეწყო, რაც „მანჩესტერ სიტისთან" მარცხით და მეოთხე ადგილის დაკარგვით დაგვირგვინდა. ნიშანდობლივი გახლდათ, რომ იმ შეხვედრაში „სფურზის" კარში გოლი მისმავე თავდამსხმელმა, **პიტერ კრაუჩმა** გაიტანა. შეგახსენებთ, ეს სწორედ ის კრაუჩია, რომელმაც შარშან, იმავე „სიტის" კარში გოლის გატანით „დეზებს" ჩემპიონთა ლიგის საგზური მოუტანა.

„ტოტენჰემს" ტრავმების ფრონტზეც ცუდად აქვს საქმე — დაშავებულთა სიას **უილიამ გალასიც** შეემატა.

ახლა კი იმ შეხვედრაზე ვთქვათ, რომელშიც შესაძლოა ჩემპიონის ვინაობა გაირკვეს: „ბლექბერნი" „მანჩესტერ იუნაიტედს" მასპინძლობს. თუ გავითვალისწინებთ, რომ დღესვე ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალია, მივხვდებით, რომ დიდი შანსია საღამოს, ქალაქ მანჩესტერის ორივე გუნდს საზეიმოდ გაუხდეს საქმე.

სერ **ალექს ფერგიუსონის** ბიჭებს „ივუდ პარკზე" ერთადერთი ქულა სჭირდებათ. სხვა სიტყვებით, „იუნაიტედმა" თუ არ წააგო, ჩემპიონობას ოფიციალურადაც გაიფორმებს. „ბლექბერნს" კი მოგება უნდა. დახედეთ ცხრილს, მასპინძლები გასავარდნთა ზონასთან ძალიან ახლოს არიან, სამად სამი ქულა აშორებთ.

„ბლექბერნს" სულ ცოტა ხნის წინ საშინელი პერიოდი ჰქონდა — გუნდმა ზედიზედ 11 შეხვედრიდან ერთიც ვერ მოიგო, თუმცა ბოლო ორ ტურში მდგომარეობა ცოტა გამოასწორა, ჯერ „ბოლტონს" აჯობა და მერე „ვესტ ჰემთან" ფრედ ითამაშა. მეორე მხრივ კი, როგორ გინდა მოუგო გამძვინვარებულ „იუნაიტედს"? ეს ხომ ის გუნდია, რომელმაც ბლექბერნელებს, 27 ნოემბერს, არც მეტი არც ნაკლები, 7:1 მოუგო... თან, მოდი ნუ დაგვავიწყდება, რომ „იუნაიტედისთვის" ეს ჩვეულებრივი ჩემპიონობა არ არის — გუნდი უძლიერესის ტიტულს მეცხრამეტედ მოიგებს და „ლივერპულს" რეკორდს დაუმხობს. ამიერიდან „მანჩესტერ იუნაიტედი" იქნება ინგლისის ყველაზე ტიტულიანი კლუბი.

მოდი, ხვალის ერთ თამაშსაც ჩავხედოთ: „უიგანი" „ვესტ ჰემს" მასპინძლობს. ცხრილის ფსკერზე მოფართხალეთათვის ეს დიდი მატჩია. თუ „უიგანი" მოიგებს, „ვესტ ჰემს" განაჩენს გამოუტანს, თავად კი იმედს დაიტოვებს, რომ მომავალ სეზონშიც პრემიერლიგის წევრი იქნება, ხოლო თუ „ვესტ ჰემი" მოიგებს... რა გითხრათ, უკეთეს შემთხვევაში ბოლო ტურამდე მაინც არ გამოაცხადებენ გავარდნილად.

„ვულვერჰემპტონსაც" გადასარჩენად აქვს საქმე. ამ გუნდმა შესაძლოა სანდერლენდის „სთედიუმ ოფ ლაითზე" ამოისუნთქოს. **მიკ მაკარტის** გუნდი მთელი სეზონის განმავლობაში აუტსაიდერთა შორის იყო, თუმცა დღეს, როდესაც ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურილა რჩება, „ვულვზი" გასავარდნთა ზონას ერთი ქულით აღემატება. ეს, გასულ კვირას, „ვესტ ბრომვიჩის" 3:1 დამარცხების წყალობით მოხდა. არადა, მაკარტის ფეხბურთელები იშვიათად იგებდნენ — „ვესტ ბრომვიჩამდე", ბოლოს, 19 მარტს მოიგეს „ასტონ ვილასთან".

ბოლოხანს, ხელი მოეცარა „სანდერლენდსაც". თავად განსაჯეთ, იანვარში „ბლექპულს" 2:1 რომ მოუგეს, მას მერე 23 აპრილამდე („უიგანთან" 4:2) გამარჯვების გემო აღარ იცოდნენ. თუმცა, მთავარია, რომ **სტივ ბრიუსის** გუნდი უსაფრთხოდ არის და... „ვულვზთან" შეხვედრაში არაფერი სჭირდება — ვერც ევროთასზე გადის და არც ვარდება. მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ „სანდერლენდმა" შესაძლოა არ... უფრო სწორად ვერ მოინდომოს. აბა, რა აზრი აქვს?

დაახლოებით იგივე სურათია „ბლექპულისა" და „ბოლტონის" შეხვედრაშიც. „ბლექპულს მოგება უნდა, „ბოლტონს" კი დასასვენებლად წასვლა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 36 | 22 | 10 | 4 | 73-34 | 76 |
| 2. ჩელსი | 36 | 21 | 7 | 8 | 67-30 | 70 |
| 3. არსენალი | 36 | 19 | 10 | 7 | 69-39 | 67 |
| 4. სიტი | 36 | 19 | 8 | 9 | 55-33 | 65 |
| 5. ლივერპული | 36 | 17 | 7 | 12 | 59-41 | 58 |
| 6. ტოტენჰემი | 36 | 14 | 14 | 8 | 51-45 | 56 |
| 7. ევერტონი | 36 | 12 | 15 | 9 | 50-44 | 51 |
| 8. სტოკი | 36 | 13 | 7 | 16 | 46-44 | 46 |
| 9. ბოლტონი | 36 | 12 | 10 | 14 | 49-50 | 46 |
| 10. ფულჰემი | 36 | 10 | 15 | 11 | 45-41 | 45 |
| 11. ნიუკასლი | 36 | 11 | 11 | 14 | 51-52 | 44 |
| 12. სანდერლენდი | 36 | 11 | 11 | 14 | 41-53 | 44 |
| 13. ვესტ ბრომვიჩი | 36 | 11 | 10 | 15 | 52-68 | 43 |
| 14. ასტონ ვილა | 36 | 10 | 12 | 14 | 45-58 | 42 |
| 15. ბლექბერნი | 36 | 10 | 9 | 17 | 42-56 | 39 |
| 16. ბირმინგემი | 36 | 8 | 15 | 13 | 36-54 | 39 |
| 17. ვულვზი | 36 | 10 | 7 | 19 | 41-62 | 37 |
| 18. ბლექპული | 36 | 9 | 9 | 18 | 49-71 | 36 |
| 19. უიგანი | 36 | 7 | 15 | 14 | 36-59 | 36 |
| 20. ვესტ ჰემი | 36 | 7 | 12 | 17 | 41-64 | 33 |

**ბომბარდირები:** 21 - ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი); 19 - ტევესი (მანჩესტერ სიტი); 16 - ვან პერსი (არსენალი); 15 - ბენტი (ასტონ ვილა), ოდემვინგე (ვესტ ბრომვიჩი); 13 - ქეროლი (ლივერპული), ერნანდესი (მანჩესტერ იუნაიტედი), კუიტი (ლივერპული), მალუდა (ჩელსი); 12 - დემპსი (ფულჰემი), ნოლანი (ნიუკასლი), ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი); 11 - კემპბელი (ბლექპული), დროგბა (ჩელსი); 10 - ადამი (ბლექპული).

ინგლისი. ფეხბურთის ასოციაციის თასი. ფინალის წინ.

**დღეს, 18:00**
**მანჩესტერ სიტი VS სტოკ სიტი**




## ფავორიტები, შეუპოვრები და სასტუმროს ქურდე-

მაშ ასე, „მანჩესტერ სიტის" 30 წელიწადია ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში არ უთამაშია, მაგრამ ეს ხელს არ უშლის, რომ ფავორიტად მიეჩნიათ. მეორე მხრივ, „სტოკ სიტი" შესანიშნავ ფორმაშია და, თუ რამე განსაკუთრებული არ მოხდა, დიდი ბრძოლა უნდა გაუმართოს მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს გუნდს.

რა გადახდათ თავს ისტლენდელებს 30 წლის წინ? მაშინ, 1981-ში, „სიტიმ" და „ტოტენჰემ ჰოთსპურმა" ჯერ 1:1 ითამაშეს, ხუთი დღის მერე კი, გადათამაშებაში „სფურზმა" გაიმარჯვა 3:2. „სფურზის" სამი გოლიდან ორი (მათ შორის გადამწყვეტი) არგენტინელმა **რიკი ვილამ** გაიტანა — ვინ იცის, დღეს ბედმა კვლავ არგენტინულად გაიღიმოს, ოღონდ, ახლა უკვე, „მანჩესტერ სიტის" სასარგებლოდ. ალბათ მიხვდით, **კარლოს ტევესზე** ვამბობთ, არგენტინელ ვარსკვლავზე, რომელმაც ორთავა კუნთის ტრავმა მოიშუშა და სამშაბათს, პრემიერლიგის შეხვედრაში, ზემოხსენებულ „ტოტენჰემთან", შვიდი წუთით შევიდა მოედანზე. იმ დღეს „სიტიმ" 1:0 მოიგო და მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში გამოსვლის უფლება დაიბევა.

რაც ზემოთ გიამბეთ, „სიტის" მიერ ფინელის წაგების ამბავი იყო. და როდის მოიგო მანჩესტერის გუნდმა, ბოლოს, ფეხბურთის ასოციაციის თასი? ეს 1969 წელს მოხდა. ხოლო, თუ ზოგადად ჯილდოზე ვილაპარაკებთ, ასეთი რამ გუნდს 1976 წლის შემდეგ არ რგებია — 76-ში „სიტიმ" ლიგის თასი მოიპოვა.

რაც შეეხება „სტოკს", მისი წარმატებათა ნუსხა კიდევ უფრო მწირია. ეს გუნდი ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში არასდროს ყოფილა. ბოლო წარმატება 1972 წელს იგემა, როდესაც ლიგის თასის ფინალში „ჩელსის" 2:1 მოუგო.

თუმცა, როგორც მოგახსენეთ, ბოლოხანს „სტოკი" ჩინებულად ათამაშდა — პრემიერლიგაში აგერ უკვე ოთხი თამაშია არ წაუგია, მერვე ადგილზეა და 8 მაისს თვით „არსენალს" მოუგო „ბრიტანია სთედიუმზე" 3:1 — საკუთარი ძალების რწმენისთვის უკეთესი რა გინდა?

ახლა, მოდი გავიხსენოთ გზა ფინალამდე: „სიტის" გზა საკმაოდ „ქვალორღიანი" გამოდგა: „ლესტერ სიტისა" და „ნოთს ქაუნთისთან" გადათამაშებები დასჭირდა. თუმცა, შემდეგ, ყველაფერი კარგად აეწყო. **რობერტო მანჩინის** ქვეშევრდომებმა სძლიეს ჯერ „ასტონ ვილას", შემდეგ „რედინგს" და ბოლოს, ყველაზე დასამახსოვრებელ შეხვედრაში თვით „მანჩესტერ იუნაიტედს", 1:0.

რაც შეეხება „სტოკს", მან „კარდიფს" გადათამაშებით აჯობა, თუმცა შემდეგ „ვულვზი", „ბრაიტონი" და „ვესტ ჰემი" მიაყოლა ერთმანეთს და... მიადგა ნახევარფინალს, სადაც საბრალო „ბოლტონი" გაანადგურა 5:0.

„მანჩესტერ სიტი" და „სტოკი" ამ სეზონში ჯერჯერობით ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს. ეს ამბავი ნოემბერში მოხდა, როდესაც **მეტიუ ეზერინგტონმა მიკა რიჩარდსის** გოლი 90-ე წუთზე გაათანაბრა. საინტერესოა, რომ დღევანდელი ფინალის შემდეგ ეს გუნდები სამ დღეში კიდევ შეხვდებიან ერთმანეთს, ამჯერად პრემიერლიგაში. ეს შეხვედრა „სიტი ოფ მანჩესტერ სთედიუმზე" გაიმართება.

ფინალის წინ „სტოკს" ჯანმრთელობის პრობლემები აქვს. ეზერინგტონი აპრილში, „ვულვზთან" შეხვედრაში დაშავდა და მას მერე მოედანზე ფეხი არ დაუდგამს. „არსენალთან" შეხვედრაში დაშავებული **რობერტ ჰუთი** კი ამ დღეებში სამკურნალოდ ესპანეთში იყო. ექიმები ყველა ღონეს ხმარობენ, რომ ეს ორი ფეხბურთელი დღეს „უემბლის" მოედანზე გავიდეს. სტოკელთა მწვრთნელ **ტონი პულისს** უკვე კარგა ხანია აკლია **დენი ჰიგინბოტემი** და **რიკარდო ფულერი**. ერთს მუხლი სტკივა, მეორეს კოჭი.

ბოლოს კი ერთი სახალისო ამბავი... ჩვენთვის სახალისო, ყოველ შემთხვევაში: „სტოკ სიტიმ" მეტოქეს ბრალად ცხვირწინ სასტუმროს აწაპვნა დასდო. საქმე ის გახლავთ, რომ ნახევარფინალების წინ (ასოციაციის თასის ნახევარფინალები კი, მოგეხსენებათ, ფინალის მსგავსად „უემბლიზე" ტარდება) ორივე გუნდი ჰერტფორდშირში მდებარე პრესტიჟულ სასტუმრო The Grove-ში გახლდათ დაბანაკებული. და აი, ფინალის წინ, როდესაც სტოკელები კვლავ მიადგნენ იმავე სასტუმროს, მათ უთხრეს, რომ მდიდარმა მეტოქემ დაასწრო და ოთახები დაჯავშნა. სტოკელებს ეჭვი გაუჩნდათ, რომ აქ მთავარი დასწრება კი არა, გადახდა იყო, მაგრამ რა უნდა ექნათ — Luton Hoo-ს მიაკითხეს. ეს სასტუმრო ოდნავ იაფია და „უემბლიდან" 16 კილომეტრით უფრო შორს არის ვიდრე The Grove. გუნდთან დაახლოებულმა მავანმა ტაბლოიდებს უამბო: *„ტონი პულისი გაბრაზდა. ის ამბობს, რომ The Grove-ის ადმინისტრაციას მისთვის პირობა ჰქონდა მიცემული და ეგონა, რომ „სტოკ სიტის" ამ სასტუმროს ვერავინ შეეცილებოდა. ეს დეტალი სტოკელთა დიად დღეს ჩრდილს ვერ მიაყენებს, მაგრამ რასაკვირველია, უსიამოვნო იყო".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ჭადრაკი

# ჩმილიტე, ხოტენაშვილი: 6–6



გუშინ „შერატონ მეტეხი პალასის“ საკონფერენციო დარბაზში, სადაც მოჭადრაკე ქალთა ევროპის მე-12 ჩემპიონატი მიმდინარეობს, უამრავმა გულშემატკივარმა მოიყარა თავი იმ მაგიდასთან, რომელსაც **ბელა ხოტენაშვილი** და ბულგარელი მსოფლიოს და ევროპის ექსჩემპიონი **ანტოანეტა სტეფანოვა** უსხდნენ. ლიდერთა მე-7 ტურის პარტია დაძაბულად წარიმართა. თითქმის ოთხსაათიანი პაექრობის შემდეგ ქართველმა დიდოსტატმა უკეთესი პოზიცია მიიღო, რაც წარმატების საწინდარი უნდა გამხდარიყო. სტუმარმა 43-ე სვლაზე 20 წუთზე მეტ ხანს იფიქრა და თითქოს ამოსუნთქვის საშუალებას მიაგნო, მაგრამ ხოტენაშვილი ზუსტად თამაშობდა და ეტლების ენდშპილში ორი ზედმეტი პაიკი დარჩა, ამის მიუხედავად, გამოცდილ მეტოქესთან მატერიალური უპირატესობის რეალიზებას კარგა ხანს მოუნდა. საბოლოოდ მაინც გაიმარჯვა და გათამაშების ცხრილში მე-6 ქულა ჩაიწერა.

— მომქანცველი შეხვედრა იყო, როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად, — მითხრა მატჩის შემდეგ ბელა ხოტენაშვილმა, — სტეფანოვასთან უწინ არასდროს მითამაშია. კარგია, რომ მოვიგე და სატურნირო მდგომარეობა განვიმტკიცე.

**— ექვს-ექვსი ქულით შენ და ვიქტორია ჩმილიტე ლიდერობთ. ჩემპიონატის დაწყებამდე თუ გეგმავდი ასეთ შედეგს?**

— მართალი გითხრათ, მოკრძალებული მიზნით ჩავები შეჯიბრებაში — 14 საუკეთესოში მოხვედრა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მომეპოვებინა. პირველი სამი ტურის შემდეგ ვიგრძენი, რომ მედლებისთვის ბრძოლაც შემიძლია. თბილისური ბატალიებისთვის მონდომებით ვემზადებოდი — ჯერ დიდოსტატ ზურაბ სტურუას ხელმძღვანელობით, შემდეგ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ ბაზალეთზე საწვრთნელი შეკრება მოგვიწყო. მე, ლელა ჯავახიშვილს, მაია ლომინეიშვილსა და სალომე მელიას ზურაბ სტურუა და დავით ჯოჯუა გვავარჯიშებდნენ. კარგია, რომ შაბათს ვისვენებთ, ძალებს მოვიკრებ. მედლების ბედს სწორედ დარჩენილი ოთხი ტური გადაწყვეტს...

გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ ხოტენაშვილმა ზედიზედ სძლია **ეკატერინი ფახირიდუს** (საბერძნეთი), **კარინა ჰოროვსკას** (პოლონეთი) და **მარია რომანკოს** (რუსეთი), შემდეგ **ელინა დანიელიანსა** (სომხეთი) და **ანასტასია ბოდნარუკს** (რუსეთი) დაუზავდა, ბოლო ორ ტურში კი **ნაზი პაიკიძე** და ანტოანეტა სტეფანოვა დაამარცხა.

გუშინ ასევე წარმატებით ითამაშა ლიტველმა ვიქტორია ჩმილიტემ, რომლის ხუთდღიანი დრეიფი წინა ტურში სტეფანოვამ შეაფერხა. ბალტიისპირელმა დიდოსტატმა მე-7 ტურში იოლად სძლია მარია რომანკოს. ხუთქულიანთაგან ყაიმზე შეთანხმდნენ ორგზის ევროპის ჩემპიონები — **კატერინა ლახნო** (უკრაინა) და **პია კრამლინგი** (შვედეთი), **ლელა ჯავახიშვილმაც** რატომღაც უკეთეს პოზიციაში ასევე კონტინენტის ორგზის ოქროსმედალოსან **ტატიანა კოსინცევასთან** (რუსეთი) დაზავება არჩია.

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოვთქვით ვარაუდი, რომ საქართველოს ქალთა ნაკრების ლიდერი **ნანა ძაგნიძე** აშკარად არ არის ჩვეულ სპორტულ ფორმაში. ეს გუშინდელ ტურში კიდევ ერთხელ დადასტურდა — თეთრი ფიგურებით მან ნაზი პაიკიძესთან წააგო.

აქვე გაუწყებთ რამდენიმე საინტერესო შეხვედრის შედეგებს: ელინა დანიელიანი (სომხეთი)-ანა მუზიჩუკი (სლოვენია) 0,5:0,5, ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი)-ჰოანგ თან ტრანგი (უნგრეთი) 0,5:0,5, კრისტინა-ადელა ფოიშორი (რუმინეთი)-ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი) 0:1, იოლანტა ზავადსკა (პოლონეთი)-ქეთევან არახამია-გრანტი (შოტლანდია) 0:1, სალომე მელია-ლაურა როგულე (ლატვია) 1:0, ელენა სედინა (იტალია)-ნინო ხურციძე 0:1, ანასტასია ბოდნარუკი (რუსეთი)-მირანდა მიქაძე 1:0, ნინო ბაციაშვილი-ზოია სევერიუხინა (რუსეთი) 1:0, სოფიო გურამიშვილი-ტატიანა შადრინა (რუსეთი) 1:0.

შვიდი ტურის შემდეგ: **ჩმილიტე, ხოტენაშვილი-6-6, ლახნო, ჯავახიშვილი, კრამლინგი - 5,5-5,5 ქულა. ჩვენებურთაგან 5-5 ქულა მოაგროვეს პაიკიძემ, ხურციძემ და მელიამ. ჩემპიონატის მონაწილეები დღეს დაისვენებენ, მათთვის კულტურული ღონისძიებები მოეწყობა. ხვალ მე-8 ტურში კი ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ხოტენაშვილი (6)-ჩმილიტე (6), კრამლინგი (5,5)-ჯავახიშვილი (5,5), ანა მუზიჩუკი (5)-ლახნო (5,5), ხურციძე (5)-ნადეჟდა კოსინცევა (5), ტატიანა კოსინცევა (5)-მელია (5), სავინა (5)-კოსტენიუკი (5), ჰოანგი (5)-დანიელიანი (5), სტეფანოვა (5)-ბოდნარუკი (5), არახამია-გრანტი (5)-გალოიანი (5), პაიკიძე (5)-ოვოდი (5), რომანკო (5)-ბაციაშვილი (4,5).**

ვაჟა დანელია

ავტორის ფოტო

მშვილდოსნობა. ევროპის თასი

# სომხეთში მხოლოდ ჭაბუკებით

## საფრანგეთის ნაცვლად - ბანგლადეშში

ხვალ ჭაბუკ მშვილდოსანთა ნაკრები სომხეთში გაემგზავრება, სადაც 17 მაისიდან ეჩმიაძინში ევროპის ახალგაზრდული თასის პირველ ტურნირში იასპარეზებს. ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიციის საწინააღმდეგოდ, როცა აქცენტი უფრო ქალთა გუნდზე კეთდებოდა, ამჯერად მწვრთნელებმა არჩევანი ძირითადად ბიჭებზე შეაჩერეს - ხუთკაციან გუნდში მხოლოდ ერთი გოგოა. **ლაშა ფხაკაძე, ირაკლი ქვლივიძე, თორნიკე რიჟამაძე, თორნიკე ელოშვილი** და **თეონა კუტალაძე** - ასეთია მათი არჩევანი, რომელიც თანაბრად, კონსესუსის და შეთანხმების საფუძველზე შეარჩიეს ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრებების თავკაცმა **გია მაკიევმა** და ეროვნულ ნაკრებთა კორეელმა მთავარმა მწვრთნელმა **ან იონ სეუნმა**. შეგახსენებთ, რომ კორეელს ეროვნული გუნდების გაწვრთნის გარდა, ასაკობრივი ნაკრებების მეთვალყურეობაც ევალება, მათაც უწევს კონსულტაციას და ეს შემადგენლობაც ამიტომ შეუთანხმეს. თანაც, ამ ხუთეულიდან კუტალაძე პირადად მისი დაწინაურებულია. ბიჭების წარმოდგენილ ოთხეულზე მწვრთნელები ადრეც საკმაოდ დიდ იმედებს ამყარებდნენ და მაშინაც დაჰყავდათ შეჯიბრებებზე, კუტალაძე კი ასე იმედისმომცემად არ მიიჩნეოდა. ის სეუნმა შეამჩნია და წინ წამოსწია, როცა ჯერ კიდევ „ოლიმპიური სოლიდარობის“ პროგრამის ფარგლებში აქაურ მშვილდოსნებს ტრენინგებს უტარებდა, როგორც საერთაშორისო ფედერაციის კონსულტანტი. მისივე გადაწყვეტილებით, კუტალაძემ უკვე ორჯერ იასპარეზა ეროვნულ ნაკრებში - აპრილში ანტალიაში გამოვიდა ევროპის „დიდ პრიზზე“, ცოტა ხნის წინ კი - ხორვატულ პორეჩში მსოფლიოს თასზე.

მაკიევი და კორეელი ერთად გაჰყვებიან გუნდს სომხეთში. სამწუხაროდ, ფინანსური პრობლემების გამო იქ ახალგაზრდული ნაკრების გაგზავნა ვერ ხერხდება. ალბათ, ჩვენები (ორივე ასაკობრივი ნაკრები იგულისხმება) ამავე მიზეზით ვერც ევროპის მომდევნო ახალგაზრდულ თასებზე გამოვლენ. ყოველ შემთხვევაში, სადღეისო რეალობა ისეთია, რომ ვერ დააფინანსებენ და ღმერთმა ქნას, ვითარება სასიკეთოდ შეიცვალოს.

ამასობაში ქალთა ეროვნული ნაკრების მოსამზადებელი გეგმაც შეიცვალა, თუმცა აქ უფულობა არაფერ შუაშია. მათ 24-28 მაისს ფრანგულ ბოეში ევროპის რიგით მეორე „დიდ პრიზზე“ უნდა ეასპარეზათ, მაგრამ მოულოდნელად ბანგლადეშიდან მიიღეს მიწვევა და იქ წასვლა გადაწყვიტეს. ამ აზიური ქვეყნის დედაქალაქ დაკაში 27-31 მაისს აზიის თასის გათამაშების რიგით მესამე შეჯიბრებაა და ჩვენებიც იმ შეჯიბრებაში მიიპატიჟეს თავიანთ ხარჯზე, ჩვენებს მხოლოდ გზის ფული რჩებათ გადასახდელი და, გასაგებია, ასეთ პირობას რატომაც დაეთანხმნენ და გეგმებიც რატომ შეცვალეს.

ჯერჯერობით გაურკვეველია ბანგლადეშში წამსვლელი გუნდის შემადგენლობა. სავარაუდოდ, მასში **ქრისტინე ესებუა** და **ასმათ დიასამიძე** ნამდვილად იქნებიან, ხათუნა ნარიმანიძე კი, შესაძლოა, ამჯერად დაასვენონ, თუმცა ეს საკითხი ჯერ საბოლოოდ არაა გარკვეული და გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. სეუნი ნაკრებს ტესტირებას უტარებს, რომელიც დღეს დამთავრდება და არაა გამორიცხული, მწვრთნელთა გუნდი დღესვე დააკომპლექტოს. არც იმას გამოვრიცხავთ, მასში ცვლილებები არც შეიტანოს და ნარიმანიძეც წაიყვანოს, მაგრამ ის კი გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ბანგლადეშში მხოლოდ ოთხკაციანი გუნდი გაემგზავრება - სამი მონაწილე და ერთი მწვრთნელი, მეტის დაფინანსება კი ვერ ხერხდება.

ირაკლი თავაძე

FM 107,9

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის“ (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ“ დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო“.

ჩოგბურთი




# ასეული მედგრად

ფრანგულ სენ გოდენში (50 ათასი დოლარი) მე-2 ნომრად განთესილმა **ანა ტატიშვილმა** (105) ვერ შეძლო ნახევარფინალში გასვლა. ჩვენებურმა მე-5 ნომრად განთესილ რუს **ვესნა დოლონცთან** (108) წააგო - 2:6, 1:6. ასე რომ, ამ კვირაშიც ვერ შეძლო ჩვენმა პირველმა ჩოგანმა საწუკვარ ასეულში შესვლა, თუმცა 24 სარეიტინგო ქულა შეიმატა (1 შარშანდელი დააკლდება).

იტალიურ რეჯო ემილიაში (50 ათასი დოლარი) **მაკა ჩახნაშვილმა** (224) მერვედფინალში წააგო ტურნირის პირველ ჩოგან ბელარუს **ანასტასია იაკიმოვასთან** (109) - 4:6, 6:4, 2:6.

სტამბოლის საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი დოლარი) ნახევარფინალში გააღწია მე-3 ნომრად განთესილმა **სოფიო ქვაცაბაიამ** (412), რომელმაც მე-5 ნომრად განთესილ პოლონელ **სანდრა ზანიევსკას** (540) აჯობა - 2:6, 6:2, 6:3. ქართველის მორიგი მეტოქე მე-8 ნომრად განთესილი იტალიელი **ანდრეა-როქსანა ვაიდეანუა** (757).

ნიკოლოზ ნეფარიძე

სუმო. ნაცუ ბაშო. 8-22 მაისი

# სამი ქართული გამარჯვება

**ლევან გორგაძეს** (ტოჩინოშინი) ელიტაში ასეთი კარგი სტარტი მხოლოდ ერთხელ ჰქონდა, მაშინ ის ვიცე-ჩემპიონი გახდა და კომუსუბის ტიტული მოიპოვა. ახლა ჩვენებურს, რომელსაც მისმა თანაკლუბელმა **ტოჩინოვაკამ** ელიტის ყველაზე ახალგაზრდა წევრის სტატუსი დააკარგვინა, შესანიშნავი შანსი აქვს, სულ მცირე, გაიმეოროს ორი წლის წინანდელი მიღწევა. გუშინ ნაცუ ბაშოზე „ქართული დღე“ იყო, წლეულს პირველად, სამივე ჩვენებურმა მოიგო.

ტოჩინოშინი მე-8 მაეგაშირა **შოტენროს** შეხვდა, მან მარჯვენა ხელით დაიჭირა მეტოქის მავაში და ისე განახორციელა გდება (არადა, ლევანი ცაციაა). 5-1, ასეთია დღეისათვის ტოჩინოშინის ბალანსი. ლევანის მორიგი მეტოქე 29 წლის მონღოლი **ასასეკირიუა**, ყოფილი სეკივაკე. ჩვენებურისთვის ასასეკირიუ მეტად უხერხული მეტოქეა, 7 ორთაბრძოლიდან 5 მოუგო, თანაც ბოლო სამი იაპონელის სასარგებლოდ დასრულდა.

**თეიმურაზ ჯუღელმა** (გაგამარუ) ძურიოს დივიზიონის სუმოისტ **ტაკაიასუს** აჯობა ღონით. 200-კილოგრამიანმა ქართველმა ბალანსი გამოისწორა - 3-3. გაგამარუს დღევანდელი მეტოქე 22 წლის **ტოჩინოვაკაა**, ელიტის დებიუტანტი. ისინი ერთმანეთს ამ სამი წლის წინათ, მაკუშიტას დივიზიონში შეხვდნენ. მაშინ გაგამარუმ ოშიდაშით იმარჯვა.

როგორც იქნა, პირველად მოიგო **ლევან ცაგურიამ** (კოკაი). მან **ბუშუიამა** დაამარცხა და ახლა მაინც საგანგაშო, 1-5 ბალანსი აქვს. კოკაიმ თითქმის რვაწლიანი პაუზის შემდეგ იმარჯვა ძურიოს დივიზიონში. დღეს „შავი ზღვა“ **შირონორიუს** შეერკინება.

ნაცუ ბაშოს ორი ლიდერი ჰყავს, 6-6 გამარჯვება დიდ მონღოლ **ჰაკუჰოსა** და ბრაზილიელ **კაისეის** აქვთ. 27 წლის ჰაკუჰომ „მატადორ“ **ამინიშიკის** აჯობა. როცა ამინიშიკი ჩემპიონებს ებრძვის, ყოველთვის საინტერესო რამ ხდება დოჰიოზე. ასე იყო ამჯერადაც, დაჯახებისას ამინიშიკიმ მარცხნივ გაიწია, თუმცა ეს ხერხი არ გამოუვიდა, იოკოძუნამ მაინც შეუტია, მაგრამ „მატადორმა“ დროულად გაითავისუფლა ცაცია, ის-ის იყო კონტრშეტევაზეც გადადიოდა, როცა დიდმა ჩემპიონმა ერთი კარგი ჩვენებური მოგვერდი ჩაუტარა. 24 წლის კაისეი კი ამ ტურნირის სენსაციაა, ბრაზილიელი ხომ დებიუტანტია, თუმცა ჯერაც ვერავინ მოახერხა მისი წაქცევა. 5-5 მოგება ტოჩინოშინთან ერთად კიდევ 4 სუმოისტს აქვს, მათ შორის ესტონელ ჩემპიონ **ბარუტოს** და სეკივაკე **კოტოშოგიკუს**.

### VI დღე

**მაკუუჩი:** ჰაკუჰო-ამინიშიკი (უვატენაგე), ოკინოუმი-კაიო (იორიკირი), ბარუტო-კისენოსატო (ცუკიოტოში), ჰარუმაფუჯი-კიტატაიკი (ოშიდაში), ტაკეკაძე-კოტოოშუ (ცუკიოტოში), კოტოშოგიკუ-ტოიონოშიმა (იორიკირი), კაკურიუ-გოეიდო (ოშიდაში), არანი-ტოჩიოძანი (კიმედაში), ვაკანოსატო-ჰომაშო (ოშიდაში), **ტოჩინოშინი**-შოტენრო (უვატენაგე), ტამავაში-ასასეკირიუ (უვატენაგე), იოშიკაძე-ვაკაკოიუ (ცუკიოტოში), კიოკუტენჰო-ტოიოჰიბიკი (იორიტაოში), ტოსაიუტაკა-ტოჩინონადა (იორიკირი), კაისეი-ტოჩინოვაკა (ოშიდაში), ტოკიტენკუ-მიაბიამა (კეტაგური), **გაგამარუ**-ტაკაიასუ (იორიკირი), კიმურაიამა-ტაკამისაკარი (ჰიკიოტოში); **ძურიო: კოკაი**-ბუშუიამა (შიტატენაგე).

### სატურნირო მდგომარეობა

**6-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), კაისეი (მაეგაშირა 16).
**5-1:** ბარუტო (ოძეკი), კოტოშოგიკუ (სეკივაკე), **ტოჩინოშინი** (მ 6), ტოსაიუტაკა (მ 9), ტოიოჰიბიკი (მ 12)... **3-3:** **გაგამარუ** (მ 14).

### VII დღე

**მნიშვნელოვანი ბრძოლები - მაკუუჩი:** ჰაკუჰო-კაკურიუ, ბარუტო-კიტატაიკი, ჰარუმაფუჯი-ოკინოუმი, კოტოოშუ-ამინიშიკი, კაიო-კოტოშოგიკუ, კისენოსატო-გოეიდო, ტოიონოშიმა-ჰომაშო, ტოჩიოძანი-ტაკეკაძე, არანი-იოშიკაძე, **ტოჩინოშინი**-ასასეკირიუ, **გაგამარუ**-ტოჩინოვაკა; **ძურიო: კოკაი**-შირონორიუ.

ნიკოლოზ ნეფარიძე



# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ნაკლებად ცნობილი ასპარეზობები

## ცალბორბალა ჰოკეი

**ცალბორბალა ჰოკეი.** ცალბორბლიან ველოსიპედზე ამხედრებული და ჰოკეის ჯოხებით შეიარაღებული სპორტსმენებისგან შემდგარი ორი გუნდის შეჯიბრება. თამაშის მიზანია კარში ბურთის გატანა. ბარიერშემოვლებული მოედნის სიგრძეა 35-45 მ, სიგანე — 20-25 მ. კარის სიმაღლეა 1,2 მ, სიგანე — 1,8 მ. გუნდში 5 მოთამაშეა. შეცვლა არ ჰყავთ. თამაში გრძელდება 30 წუთს და იყოფა ორ ტაიმად. საერთაშორისო წესებით, უნიციკლური ჰოკის ველოსიპედის ბორბლის დიამეტრი 60 სმ-ს არ უნდა აღემატებოდეს. სხვადასხვა ქვეყანაში სათამაშოდ იყენებენ ჩოგბურთის ან ბალახის ჰოკეის ბურთს. საერთაშორისო შეხვედრის დროს ასეთი წესია: თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ, რომელი ბურთით ითამაშონ, გადაწყვეტილებას მასპინძელი გუნდი იღებს. გოლად ითვლება მხოლოდ ჯოხით გატანილი ბურთი. საკუთარი მოედნიდან ბურთის პირდაპირ კარში დარტყმა იკრძალება. ცალბორბალა ჰოკეი წარმოიშვა XX საუკუნის 70-იან წლებში, ყველაზე მეტად განვითარებულია გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. მსოფლიო ჩემპიონატი იმართება ორ წელიწადში ერთხელ. გათამაშებაში მონაწილეობს 24 ქვეყანა.

● იყო ასეთი შემთხვევა...

## ბევრი მოინდომა, სულ დაკარგა



სტეინიცი

დიდი ხნის წინათ, ლონდონის ერთ-ერთ კაფეში, მსოფლიოს მაშინდელი ჩემპიონი ვ. სტეინიცი ფულზე ეთამაშებოდა ერთ მდიდარ ჭადრაკის მოყვარულს, რომელსაც ფორად ეტლს აძლევდა (საზღვარგარეთ, კაფეში მიღებულია ჭადრაკის თამაში ფულზე).

სტეინიცი პარტიას პარტიაზე იგებდა, ცხადია, მასთან ერთად ფულსაც. მაგრამ იმის შიშით, ვაითუ ამდენმა წაგებამ ხასიათი გაუფუჭოს და სარფიანი პარტნიორი დავკარგოო, მოულოდნელად „ეშმაკური" გადაწყვეტილება მიიღო: განზრახ წაეგო ერთი პარტია.

მორიგ პარტიაში სტეინიცმა მუქარის ქვეშ დატოვა ლაზიერი და როგორც კი იგი მოწინააღმდეგემ აიღო, მაშინვე დანებდა.

სტეინიცმა ფიგურები აურია და შემდეგ პარტიისათვის მოემზადა, მაგრამ სამწუხაროდ ფუჭი გამოდგა: პარტნიორმა იქაურობა შესძრა: „მსოფლიოს ჩემპიონს მოვუგე", „მსოფლიოს ჩემპიონს მოვუგე" და ალტაცებული ქუჩაში გავარდა.

მას შემდეგ ის მდიდარი კლიენტი კაფეს ახლოსაც ალარ გაჰკარებია.

**გ. მახარაძის წიგნიდან „ჭადრაკის ქალღმერთი ილიმება"**

● ცნობილთა აზრით...

„ზოგი მიიჩნევს, რომ ფეხბურთი ფიზიკურ მომზადებაზეა დაფუძნებული (ძალა პლუს სისწრაფე), დანარჩენები ფიქრობენ, რომ მთავარია ფეხების მოქნილობა (ტექნიკა). ჩემი აზრით კი, ფეხბურთი იწყება თავიდან (ინტელექტი) და დამამტკიცებელი საბუთიც აქვე მაქვს: ზინედინ ზიდანი. ეს არის ფეხბურთელი, რომელიც სიტუაციიდან გამომდინარე ავლენს ან ლოგიკურ ინტელექტს, ანაც ნოვაციურ ინტელექტს. პირველი მას აქცევს კონსტრუქტორად, მეორე — არქიტექტორად."

***ხორხე ვალდანო***






**1952 წელი. ოსლო, ნორვეგია ზამთრის VI ოლიმპიური თამაშების ემბლემა და მედალი**

● პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** ნაბეჭდი წიგნი ფარიკაობის შესახებ 1516 წლით თარიღდება და დასტამბულია ვენაში. ავტორი **ანდრეას პაუნფაინდტია.**

■ ■ ■

**პირველმა** მოფარიკავის ვარჯიშის დროს დამცავი საშუალება — ტყავის ნიღაბი დახელოვნებულმა მოფარიკავემ **ვერნესონ დე ლიანკურმა** გამოიგონა.

■ ■ ■

**პირველად** საჯარო ორთაბრძოლა კრივში ინგლისში გაიმართა 1681 წელს. ერთმანეთს ხვდებოდნენ ალბერმარლის ჰერცოგის ლაქია და ვინმე ყასაბი. გაიმარჯვა ყასაბმა.

● ვიქტორინა. თქვენთვის, ერუდიტებო

**1. დაასახელეთ ეროვნული ნაკრები, რომელსაც მონაწილეობა აქვს მიღებული მსოფლიოს ყველა საფეხბურთო ჩემპიონატში.**

ა – ინგლისი
ბ – იტალია
გ – ბრაზილია

**2. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რომელ წელს განახლდა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარება?**

ა – 1946 წელს
ბ – 1950 წელს
გ – 1954 წელს

**3. დაასახელეთ გუნდი, რომელმაც ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატი პირველმა მოიგო თავისი კონტინენტის გარეთ.**

ა – ბრაზილია
ბ – იტალია
გ – არგენტინა

**4. ლეგენდარულმა ინგლისელმა გოლკიპერმა პიტერ შილტონმა 825 ოფიციალური საფეხბურთო მატჩი ითამაშა. რომელ კლუბში დაასრულა მან გამოსვლა?**

ა – „ლივერპულში"
ბ – „მანჩესტერ იუნაიტედში"
გ – „დერბი ქაუნთიში"

**5. ლონდონის „არსენალის" ქალ ფეხბურთელთა გუნდმა მეათედ ზედიზედ მოიპოვა ინგლისის თასი. ფინალში მოუგო „სანდერლენდს" 2:1. რომელ წელს?**

ა – 1986 წელს.
ბ – 2009 წელს
გ – 2010 წელს

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-ა, 4-გ, 5-ბ

● თარიღი. 14 - 20 მაისი

**14. 1975 წ.** საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში ევროპის სათასო ტურნირში პირველად გაიმარჯვა საბჭოთა გუნდმა — კიევის „დინამო"-„ფერენცვაროში" 3:0 (თასების თასის მატჩი)

**14. 1942 წ.** დაიბადა **ვალერი ბრუმელი** — მძლეოსნობა (სიმაღლეზე ხტომა)

**15. 1910 წ.** პირველი საერთაშორისო მატჩი ჩაატარა იტალიის ნაკრებმა და 6:2 მოუგო საფრანგეთის ნაკრებს

**16. 1927 წ.** დაიბადა **ნილტონ სანტოსი** — ფეხბურთი (ბრაზილია)

**17. 1928 წ.** ამსტერდამში (ნიდერლანდები) გაიხსნა ზაფხულის II ოლიმპიური თამაშები

**18. 1960 წ.** მადრიდის „რეალმა" თასების თასზე 128 ათასი მაყურებლის თვალწინ 7:3 მოუგო გერმანიის „აინტრახტს"

**19. 1936 წ.** დაიბადა **ანდრეი კვაშნიაკი** — ფეხბურთი (ჩეხოსლოვაკია)

**19. 1944 წ.** დაიბადა **იან ტალტსი** — მძლეოსანი (ესტონეთი).



ნილტონ სანტოსი

● ღვთისავარ ანთაძის კუთხე

## ფეხბურთი ახლო ხედით
## კარის აღების განსაზღვრა

თუკი არბიტრმა შეცდომით მისცა ნიშანი გოლის ჩათვლაზე, ვიდრე ბურთი მთლიანად გადაკვეთდა კარის ხაზს და მაშინვე მიხვდა თავის შეცდომას, თამაში განახლდება სადავო ბურთით.

თუკი ასისტენტი ანიშნებს მთავარ მსაჯს, რომ შემტევი გუნდის ერთ-ერთი მოთამაშე დამნაშავეა აგრესიულ საქციელში, მთავარი მსაჯი კი მხოლოდ გოლის გასვლის შემდეგ ამჩნევს ამ ქმედებას, მაშინ: თუ გოლის შემდეგ თამაში არ განახლებულა, შესაძლებელია მისი გაუქმება. დამნაშავე მოთამაშე შესაბამისად დაისჯება და დაინიშნება თავისუფალი ან საჯარიმო დარტყმა. მსაჯს შეუძლია განახლების შემდეგაც შეაჩეროს თამაში, მაგრამ ამ შემთხვევაში მას მხოლოდ ფეხბურთელის დასჯა შეუძლია და შემდეგ თამაში განახლდება სადავო გდებით; ცენტრიდან გათამაშების შემდეგ გოლს ველარ გააუქმებს.

შესაძლოა, მთავარმა მსაჯმა ვერ დააფიქსიროს კარის ხაზის გადაკვეთის ფაქტი, მან აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ასისტენტის აზრი და მისი პოზიციის სიმტკიცის მიხედვით მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

აუცილებელია, კარის აღებისას მსაჯმა მისცეს სასტვენი და მოედნის ცენტრისკენ მიმართოს ხელი.

# კროსვორდი



**თარაზულად:** 1. სპორტულ ტანვარჯიშში: თავისუფალი პროგრამის შეფასების მომატების ერთ-ერთი კრიტერიუმი; 8. სავალდებულო სპორტული ცეკვა ფიგურულ ციგურაობაში; 9. ქარის გავლენით იალქნის სვლის მიმართულების შეცვლა; 10. რუმინელი ფეხბურთელი, ნახევარმცველი; 11. ბუერების კლასებად დაყოფა მათი მასისა და ზომების მიხედვით. 13. პოლონეთის "ვიძევში" მოთამაშე ქართველი ნახევარმცველი; 16. "ზესტაფონის" ყოფილი თავდამსხმელი; 18. ხის, მეტალის ან პლასტმასის წვრილი ძელი, რომელიც უნდა გადალახონ სიმაღლეზე ხტომისას. 21. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი; 22. ესპანეთის საფეხბურთო ნაკრების ფეხბურთელი; 24. "ბარსელონას" ნახევარმცველი; 25. ერთ-ერთი უძლიერესი გერმანელი თავდამსხმელი; 26. ცხენოსნობაში: ცხენის რიტმული მოძრაობა ერთ ადგილზე; 28. "ჩელსის" შემტევი ნახევარმცველი; 29. საჭადრაკო გამბიტის ერთ-ერთი ავტორი.

**შვეულად:** 1. საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ნაკრების ერთ-ერთი მეკარე; 2. სახელგანთქმული საბჭოთა მოთხილამურე ქალი; 3. კრივში: ბრძოლა ახლო დისტანციაზე; 4. ქართული ფეხბურთის სამწვრთნელო სკოლის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი; 5. პერუს ნაკრებისა და იერუსალიმის "ბეითარის" ნახევარმცველი; 6. სპორტული სარბიელი; 7. ცხენოსნის წკეპლა; 12. მელბურნის ოლიმპიური თამაშების ქართველი ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში; 14. მსაჯის ერთ-ერთი ამპლუა; 15. თბილისის "დინამოს" ყოფილი აფხაზი მცველი; 17. ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში; 19. ჩოგბურთის მატჩში: გასათამაშებელი ქულა, რომელიც წყვეტს გეიმის შედეგს; 20. საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მცველი; 23. სპორტის სახეობა; 27. ავტომობილისტთა საერთაშორისო ფედერაციის აბრევიატურა.

*პასუხები მომდევნო ნომერში*

***შეადგინა ლალი ჭიჭინაძემ***

● თავსატეხი „ანთა"

„ანთა" ინტელექტუალურ-გასართობი თავსატეხია საფეხბურთო ცხრილის შესახებ, თუმცა მის ამოსახსნელად სპორტის ამ სახეობის განსაკუთრებული ცოდნა საჭირო არ არის. თავსატეხის არსი კი შემდგომში მდგომარეობს: ჩვენ შემოგთავაზებთ პირობით ქვეჯგუფს ოთხი გუნდის შემადგენლობით, თუმცა, ყველა გრაფა, გარდა ბურთების ბალანსის, ქულისა და დაკავებული ადგილისა, იქნება ცარიელი. თქვენ უნდა დააკვირდეთ თითოეულ მონაცემს და ლოგიკურად შეავსოთ ცარიელი ისე, რომ არ დაირღვეს არსებული მონაცემები. დაადგინეთ ურთიერთშეხვედრების ანგარიშები და ასევე ის, რამდენი მოგება, ფრე და წაგება აქვთ პირობითად A, B, C და D გუნდებს.

*შენიშვნა: თ-თამაში; მ-მოგება, ფ-ფრე; წ-წაგება; ბ-ბურთების ბალანსი; ქ-ქულა; ა-ადგილი.*

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | ■ | | | | | | | | 5-0 | 7 | I |
| B | | ■ | | | | | | | 3-4 | 6 | II |
| C | | | ■ | | | | | | 1-3 | 2 | III |
| D | | | | ■ | | | | | 1-3 | 1 | IV |

**წინა ამოცანის პასუხი**

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | ■ | 1:1 | 5:1 | 1:0 | 3 | 2 | 1 | 0 | 7-1 | 7 | I |
| B | 1:1 | ■ | 3:2 | 1:0 | 3 | 2 | 1 | 0 | 5-3 | 7 | II |
| C | 0:5 | 2:3 | ■ | 1:0 | 3 | 1 | 0 | 2 | 3-8 | 3 | III |
| D | 0:1 | 0:1 | 0:1 | ■ | 3 | 0 | 0 | 3 | 0-3 | 0 | IV |

გვერდი მომზადებულია **თენგიზ თომაშვილის პროექტით**

● სუპერლიგა. 1/2 ფინალი



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# სოხუმური საოცრება

13 მაისი. თბილისი, სპორტის სასახლე

**სოხუმი-არმია 82:77**

15:23, 11:14, 23:26, 33:14

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, დ. ბერიშვილი

| სოხუმი | წთ | მ | პ | ფ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფარლალავა | 39:08 | 6 | 7 | 3 | 3 | 3 | 0 | 18 |
| ჰარისი | 30:25 | 5 | 5 | 1 | 2 | 1 | 0 | 15 |
| ჩლაიძე | 04:04 | 1 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 0 |
| კვეტენაძე | 01:12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| შანიძე | 23:58 | 6 | 0 | 3 | 2 | 1 | 0 | 19 |
| სორდია | 05:54 | 1 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კანკია | 16:24 | 2 | 1 | 5 | 2 | 3 | 0 | 2 |
| კ. დამუსი | 31:57 | 11 | 1 | 3 | 3 | 3 | 2 | 20 |
| რ. დამუსი | 13:52 | 4 | 0 | 5 | 0 | 0 | 1 | 0 |
| ფაცაცია | 33:06 | 6 | 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 8 |
| **არმია** | **წთ** | **მ** | **პ** | **ფ** | **შ** | **ჩ** | **დ** | **ქ** |
| ბაძრაძე | 15:17 | 0 | 1 | 2 | 4 | 0 | 0 | 0 |
| ბაბიაშვილი | 33:09 | 6 | 1 | 2 | 2 | 1 | 1 | 21 |
| ბოისა | 35:31 | 8 | 3 | 5 | 2 | 4 | 0 | 8 |
| ტულუში | 36:04 | 8 | 3 | 2 | 5 | 1 | 0 | 15 |
| პირველაშვილი | 05:35 | 0 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 6 |
| ათანელიშვილი | 03:53 | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 |
| ათუაშვილი | 03:26 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 1 | 0 |
| შარაბიძე | 34:03 | 3 | 0 | 2 | 2 | 0 | 2 | 11 |
| ბ. ბერიშვილი | 33:02 | 7 | 4 | 5 | 2 | 1 | 0 | 16 |

**სერიას იგებს არმია – 2:1**

*შენიშვნა: წთ - წუთი, ქ - ქულა, მ - მოხსნა, პ - პასი, ჩ - ჩაჭრა, დ - დაფარება, ფ - ფოლი, შ - შეცდომა.*

საოცარი, შთამბეჭდავი, შეუდარებელი... არ მახსოვს ასეთი ეპითეტები საგაზეთო სტატიებში გამომეყენებინოს. ზედმეტობებს ყოველთვის ვერიდები, მაგრამ ამჯერად თამამად დავწერ - „სოხუმმა“ საოცრება მოახდინა, „არმიასთან“ 21-ქულიანი ჩამორჩენა ალმოფხვრა და 5-ბალიანი უპირატესობით გაიმარჯვა (82:77).

21 ქულა 15 წუთში... თანაც „არმიასთან“, სუპერლიგის ყველაზე გამოცდილ გუნდთან... წარმოუდგენელია. მეოთხე პერიოდამდე ისევე დაუჯერებელი იყო „სოხუმის“ გამარჯვებაზე ფიქრი, როგორც ბურთის საკუთარი საჯარიმოდან მეტოქის კალათში ჩაგდება. მით უმეტეს, რომ „არმია“ ჩვეული სიდინჯით უტევდა და თავსაც კარგად იცავდა.

...მაგრამ კარგად გვახსოვს „სოხუმის“ მწვრთნელის, **აინარს ბაგაცკისის** სიტყვები: ჩემი გუნდი ამოუცნობი ფენომენია, ზოგჯერ საკუთარი თავისთვისაც არაპროგნოზირებადები ვართო. ჰოდა, მწვრთნელის მითითებით სოხუმელებმა თამაშის ტემპს უმატეს, შედეგად არმიელები დაცვაში მწყობრში ჩადგომას ვერ ახერხებდნენ, ხოლო მეოთხე პერიოდში ბაგაცკისის შეგირდებმა დაცვაში რომ ითამაშეს, მსგავსი გარჯა ამ ჩემპიონატში ნამდვილად არ მახსოვს. როგორც ჩანს, მხოლოდ „სოხუმის“ კალათბურთელებსღა სჯეროდათ, რომ იმ მატჩის შემოტრიალება შეიძლებოდა.

მეოთხე რაუნდი **კარლ დამუსმა** ორი ორქულიანით გახსნა. ამას მოჰყვა **ლაშა ფარლალავას** ორი ზუსტი სამქულიანი, რითაც „სოხუმის“ 11:0 გაქცევას ჩაეყარა საფუძველი. სპურტი **შანიძის** სამქულიანმა და **ჰარისის** ორიანმა დაასრულა და - 73:69 „სოხუმის“ სასარგებლოდ.

აფეთქებული სოხუმელების შემჩერებელი იმ დღეს არავინ იყო. აინარს ბაგაცკისმა საკუთარი კლასი კიდევ ერთხელ დაგვანახა და სერიაში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა - 1:2. მომდევნო შეხვედრა დღეს სპორტის სასახლეში 14 საათზე გაიმართება.

გთავაზობთ ბოლო წუთების ქრონოლოგიას:

| | |
|---|---|
| 5:09 | შანიძე 3ქ (65:69) |
| 4:17 | ფაცაცია 2ქ (67:69) |
| 3:49 | ჰარისი 2ქ (69:69) |
| 3:26 | შანიძე 2ქ (71:69) |
| 2:42 | ჰარისი 2ქ (73:69) |
| 1:41 | ბოისა 1ქ (73:70) |
| 1:15 | კ. დამუსი 2+1ქ (76:70) |
| 1:09 | პირველაშვილი 2+1ქ (76:73) |
| 0:33 | კ. დამუსი 1+1ქ (78:73) |
| 0:29 | ბოისა 1ქ (78:74) |
| 0:26 | ჰარისი 1+1ქ (80:74) |
| 0:10 | ფარლალავა 1+1ქ (82:74) |
| 0:04 | პირველაშვილი 3ქ (82:77) |

ვაჟა სიმონიშვილი

● კომენტარი

## ლუკა შანიძე:

- ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი ექვსთვიანი შრომა წყალში არ ჩაიყარა. მიუხედავად იმისა, რომ მეტოქემ 21 ქულით გაგვასწრო, გამარჯვების რწმენა არ დავკარგეთ და შეუძლებელი შევძელით. 2:1-ს ვაგებთ, ერთი გამარჯვებაც და ანგარიში გათანაბრდება. შაბათსაც ბოლომდე ვიბრძოლებთ, დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

13 მაისი. ქუთაისი, სპორტის სასახლე

**ქუთაისი-თსუ 75:87**

25:22, 15:22, 11:21, 15:12

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, ბ. ბერიშვილი

| ქუთაისი | წთ | მ | პ | ფ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბაბუნაშვილი | 09:23 | 2 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 |
| დიდია | 39:19 | 9 | 6 | 2 | 3 | 1 | 1 | 12 |
| კვიმსაძე | 40:00 | 5 | 9 | 1 | 1 | 2 | 0 | 8 |
| ბოლქვაძე | 29:55 | 11 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 15 |
| ლომინაშვილი | 09:49 | 1 | 0 | 1 | 2 | 1 | 0 | 2 |
| გ. ბარბაქაძე | 33:10 | 5 | 6 | 2 | 0 | 1 | 0 | 14 |
| ცეკვავა | 30:37 | 0 | 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 11 |
| კოლუაშვილი | 07:47 | 3 | 0 | 1 | 0 | 1 | 1 | 2 |
| **თსუ** | **წთ** | **მ** | **პ** | **ფ** | **შ** | **ჩ** | **დ** | **ქ** |
| ხიზანიშვილი 07:28 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | |
| ფანჩულიძე | 15:55 | 0 | 3 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გაფრინდაშვილი | 40:00 | 2 | 4 | 1 | 1 | 1 | 0 | 12 |
| მარხვაშვილი | 27:40 | 5 | 4 | 0 | 2 | 1 | 0 | 14 |
| ლონდარიძე | 35:13 | 10 | 3 | 3 | 4 | 0 | 0 | 17 |
| რიჩარდ მათიაშვილი | 35:16 | 8 | 6 | 4 | 2 | 1 | 3 | 19 |
| მიხეილ ბერიშვილი | 38:28 | 11 | 4 | 3 | 3 | 2 | 0 | 12 |

**სერიას იგებს თსუ– 2:1**

*შენიშვნა: წთ - წუთი, ქ - ქულა, მ - მოხსნა, პ - პასი, ჩ - ჩაჭრა, დ - დაფარება, ფ - ფოლი, შ - შეცდომა.*

# სტუდენტური შოკი ქუთაისში

„ქუთაისი“ - თსუ ძალიან საინტერესო ნახევარფინალური წყვილი აღმოჩნდა. პირველ შეხვედრაში სტუდენტებმა დამაჯერებლად გაიმარჯვეს, მეორე კი „ქუთაისის“ გამარჯვებით დასრულდა. ამდენად, გუშინდელ შეხვედრამდე ნახევარფინალურ სერიაში ანგარიში 1:1 იყო და პირველ ქუთაისურ დაპირისპირებას ორივე გუნდისთვის ძალზედ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იმერეთის ცენტრში კალათბურთის მიმართ ინტერესი ისედაც დიდია, მაგრამ გუშინ გულშემატკივართა რაოდენობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სრული პასუხისმგებლობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქუთაისის სპორტის სასახლის 1500-კაციან დარბაზში სულ მცირე – 2000 მაყურებელი მაინც იყო. დარბაზში ფეხზე მდგომთათვისაც აღარ მოიძებნებოდა ადგილი და VIP და პრეს ლოჟებიც გადავსებული იყო. ასეთი გულშემატკივრობის ფონზე ისედაც საინტერესო და დაძაბული პაექრობა კიდევ უფრო კარგი საცქერი გამოდგა. პირველ პერიოდში მცირეოდენ უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ. ფარქვეშ შეუჩერებელი იყო **მამუკა ბოლქვაძე,** რომელმაც საბოლოოდ ორმაგი დუბლი შეასრულა (15ქ. 11მ.) და ქუთაისელთაგან საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა. კარგად გამოიყურებოდნენ სასტარტო ხუთეულის სხვა წევრებიც: **რევაზ დიდია, ბუბა კვიმსაძე, გოგა ბარბაქაძე და გიორგი ცეკვავა.** პირველი ათწუთეული ქუთაისელთა სამქულიანი უპირატესობით დასრულდა-25:22. მეორე პერიოდში უპირატესობას თსუ დაეუფლა. თბილისელებს ფარქვეშაც კარგად წაუვიდათ შეტევები და რამდენჯერმე სამქულიანიც ზუსტად ისროლეს. ქუთათურებს ძალიან უჭირდათ თბილისელთა ცენტრის **რიჩარდ მათიაშვილის** შეჩერება, რომელმაც თავისი გუნდის გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა. მის ანგარიშზე 19 ქულა და 8 მოხსნაა. თბილისელთაგან ორმაგი დუბლი შეასრულეს **მიხეილ ბერიშვილმა** (12ქ. 11მ.) და **ილია ლონდარიძემ** (17ქ. 10მ.) საერთოდაც, უნდა ითქვას, რომ ჭეიშვილის შეგირდები ძალიან კარგად თამაშობდნენ დაცვაში, ისინი მეტოქეს ხშირად აიძულებდნენ შეცდომის დაშვებას და ამის გამო მასპინძელთა არაერთი მწვავე შეტევა ჩაიშალა. ამ პერიოდში აღსანიშნავია ახალგაზრდა **გიორგი გაფრინდაშვილის** კარგი თამაშიც, რომლის სამქულიანმაც სტუმრები დააწინაურა და „თსუ“ დიდ შესვენებაზე 4-ქულიანი უპირატესობით გავიდა (40:44) თბილისელებმა ყველაზე კარგად და ქუთათურებმა ყველაზე ცუდად მესამე პერიოდი ჩაატარეს. თუ იქამდე თამაში ძირითადად ქულა - ქულაში მიმდინარეობდა მესამე მეოთხედში თსუ-მ მეტოქე აშკარად დასჯაბნა. ანგარიში არითმეტიკული პროგრესიით იზრდებოდა და **გიორგი მარხვაშვილის** სამქულიანის შემდეგ ტაბლოზე 49:61 გამოისახა თსუ-ს სასარგებლოდ. მალე კი სხვაობა 14 ქულამდეც გაიზარდა (51:65). ბოლო მეოთხედში ქუთაისმა კიდევ გაიბრძოლა. კვიმსაძის ორი სამქულიანისა და ბოლქვაძის ორქულიანის შემდეგ სხვაობა 8 ქულამდე შემცირდა (59:67), თუმცა ქუთათურებმა მეტის გაკეთება ვერარ მოახერხეს. თსუ-მ უშეცდომოდ ითამაშა და საბოლოოდ 11 ქულით გაიმარჯვა. ხვალ ამ გუნდებს შორის ქუთაისშივე კიდევ ერთი მატჩი გაიმართება და გამარჯვების შემთხვევაში თსუ ფინალის საგზურს მოიპოვებს. „ქუთაისის“ მოგების შემთხვევაში კი ფინალისტის გამოსავლენად კიდევ ერთი თამაში იქნება საჭირო.

**ნუგზარ ჭეიშვილი** (თსუ): *„ქუთაისი ძალიან ძლიერი გუნდია. მასთან სამი შეხვედრა გვქონდა წაგებული და ვიცოდით, რომ ძალიან რთული თამაში გველოდა. მძიმე მატჩი გამოვიდა. მეტოქე კარგად თამაშობდა, მაგრამ გასალები მოვუძებნეთ და ამჯერად გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა. ხვალ კიდევ ერთი რთული გამოცდა გველის...“*

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

სპორტ ტივი
პლეი ოფი
1/2 ფინალი
14 მაისი
თბილისის სპორტის სასახლე
სოხუმი – არმია 14:00
ქუთაისის სპორტის სასახლე
ქუთაისი – თსუ 18:00

● ქართველები NBA-ში

# ზაზამ 13-იანი რეკორდით დაასრულა

„ორლანდო მეჯიქთან“ მერვედფინალურ სერიაში „ატლანტას“ მეფარეებმაც, ფორვარდებმაც და უკანახაზელებმაც დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულეს, გუნდური თამაშის წყალობით „ჯადოქრები“ გზიდან ჩამოიცილეს. მეოთხედფინალში ატლანტელებმა „ჩიკაგოსთან“ ისე ვერ ითამაშეს, როგორც „ორლანდოსთან“. პირველ რიგში, ეს პერიმეტრის კალათბურთელებზე უნდა ითქვას - ჩიკაგოეელბმა სამქულიანი ზონა კარგად გადაუკეტეს და ჯორჯიელები მატჩში 3-ზე მეტ სამქულიანს ვერ აგდებდნენ. ბოლო შეხვედრაში შორი დისტანციიდან „ატლანტამ“ ერთადერთი ტყორცნა გამოიყენა, რაც სერიის წაგების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო.

ფარქვეშ „ატლანტას“ არაფერი დაუთმია, **ზაზა ფაჩულიამ** სულაც სეზონის რეკორდი დაამყარა - 13 მოხსნა მიითვალა. თუმცა, შეტევაში ჯორჯიელებმა ვერ ივარგეს და სერია „ჩიკაგომ“ მოიგო - 4:2.

**ატლანტა–ჩიკაგო 73:93**

ზაზა ფაჩულია: 22:41 წუთი, 1 ქულა (2-დან 0 ორქულიანი, 2-დან 1 საჯარიმო), 13 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 2 შეცდომა, 4 ფოლი.



ფაჩულია როუზს უფარებს

**ქრონოლოგია**

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 03:25 | ზაზამ კოლინზი შეცვალა |
| 02:46 | ჩაჭრა: 1 (ნოას ჩაუჭრა) |
| 02:25 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 02:25 | პასი: 1 (სმიტი 2ქ, 15:20) |
| 01:45 | ფოლი: 1 |
| 01:45 | შეცდომა: 1 |
| **II პერიოდი** | |
| 09:36 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 08:53 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 08:44 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 08:03 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |
| 06:57 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 |
| 02:34 | მოხსნა: შეტ-1, დაც-5 |
| 00:59 | მოხსნა: შეტ-1, დაც-6 |
| 00:45 | მოხსნა: შეტ-2 დაც-6 |
| 00:45 | საჯარიმოები: 2/1 (1ქ, 35:45) |
| **III პერიოდი** | |
| 04:49 | ზაზამ კოლინზი შეცვალა |
| 03:44 | მოხსნა: შეტ-2 დაც-7 |
| 03:44 | ფოლი: 2 |
| 03:44 | შეცდომა: 2 |
| 03:03 | მოხსნა: შეტ-3, დაც-7 |
| 01:52 | ფოლი: 3 |
| 01:18 | ფოლი: 4 |
| 00:44 | მოხსნა: შეტ-4, დაც-7 |
| 00:42 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 00:41 | მოხსნა: შეტ-5, დაც-7 |
| **IV პერიოდი** | |
| 11:33 | მოხსნა: შეტ-5, დაც-8 |
| 09:33 | უილიამსმა ზაზა შეცვალა |

ვაჟა სიმონიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# პლეი ოფში ქართველების ცხრა გუნდი იბრძვის


ბურთით მამუკა გორგოძე

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ და ფედერალ დივიზიონებში გადამწყვეტი, პლეი ოფების ეტაპი იწყება. პირველ დივიზიონში საფრანგეთის ჩემპიონობისთვის ბრძოლას ქართველ მორაგბეთა სამი გუნდი, „კლერმონი", „კასტრი" და „მონპელიე" განაგრძობს.

შარშანდელი ჩემპიონი, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი" შინ ეთამაშება ბასკურ „ბიარიცს". „ვულკანებს" საკუთარ მოედანზე 2009 წლის ნოემბრის შემდეგ არ წაუგია. კლერმონელებმა შინ ზედიზედ 26 შეხვედრა მოიგეს. ალსანიშნავია, რომ საშინაო შეხვედრების სტატისტიკით ჩვენებურის გუნდი საუკეთესოა პირველ დივიზიონში. ახალზელანდიელი მწვრთნელის **ვერნ კოტერის** სამწყსო თამაშში საშუალოდ 30 ქულის მოგროვებას ახერხებდა, მეტოქეებს კი მხოლოდ 13 ქულის მოპოვების საშუალებას აძლევდა.

„კლერმონს" დადებითი ბალანსი აქვს „ბიარიცთან" ურთიერთშეხვედრებში. ბოლო 45 თამაშიდან „ვულკანებმა" 25-ში მოიგეს. თუმცა ისიც ალსანიშნავია, რომ ბოლო მარცხი „ზირაქამ" და კომპანიამ შინ სწორედ ამ ბასკურ გუნდთან განიცადა.

„ბიარიცი", რომლის წამყვანი მოთამაშე ქართული წარმოშობის ცხრა ნომერი **დიმიტრი იაშვილია,** პლეი ოფში 2007 წლის შემდეგ პირველად მოხვდა და ყველანაირად ეცდება მიღწეულით არ დაკმაყოფილდეს. ბასკებს დაუბრუნდათ ტრავმამოშუშებული შერკინების ბურჯი **სილვენ მარკონე,** თუმცა დაშავებულია და ვერ ითამაშებს გარემარბი **დამიენ ტრაი.** რვა ნომრის პოზიციას საფრანგეთის ნაკრებში გამოძახებული **რაფაელ ლაკაფია** დაიკავებს.

„კლერმონმა", საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში, „ტულუზთან" წაგებული მატჩის შემდეგ შემადგენლობაში შვიდი ცვლილება განახორციელა. ზირაქაშვილმა სათადარიგოთა შორის გადაინაცვლა, მისი ადგილი კი არგენტინელმა **მარტინ სკელსომ** დაიკავა. ასევე ძირითად შემადგენლობაშია მისი თანამემამულე **მარიო ლედესმა.** ტრავმირებულ **ორელიან რუჟერის** შუმარბის პოზიციაზე **მარიუს ჟუბერი** შეცვლის.

რეგულარულ გათამაშებაში „ბიარიცმა" შინ 16:13 მოიგო, სტუმრად კლერმონში კი 13:41 წააგო. ამ წყვილში გამარჯვებული ნახევარფინალში „ტულუზს" შეხვდება.

პლეი ოფის მეორე წყვილში ერთმანეთს „ქართული გუნდები" დაუპირისპირდებიან. **ანტონ ფეიქრიშვილისა** და **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრი" შინ **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, გიორგი ჩხაიძის, გოდერძი შველიძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიეს" უმასპინძლებს.

კასტრელებმა რეგულარული გათამაშების დასკვნითი ეტაპი შესანიშნავად ჩაატარეს. გუნდს წლეულს საკუთარ მოედანზე არ წაუგია. ჩვენებურთა გუნდმა ბოლო ტურებში ფრანგული რაგბის ისეთი „ვეშაპები" დაამარცხა „კლერმონი", „ტულონი", „ბიარიცი" და „პერპინიანი" რომ არიან.

ალსანიშნავია, რომ „მონპელიემ" სტუმრად „კასტრს" თერთმეტი თამაშიდან მხოლოდ ორჯერ მოუგო. ყველაზე უხვლელოიანი კი წლევანდელი სტუმრობა გამოდგა, კასტრელებმა მეტოქე 43:29 დაამარცხეს.

„მონპელიე" მეტოქეს სტატისტიკურად მაინც სჯობნის. მათ წლევანდელ გათამაშებაში 56 ლელო გაიტანეს, მაშინ როცა „კასტრის" ანგარიშზე 51 ლელოა. მონპელიელებმა მეტოქეს ლელოს გატანის საშუალება 40-ჯერ მისცეს, კასტრელებმა კი 43 ლელო გაუშვეს.

„იმის მერე, რაც ვნახეთ, თუ როგორ გაანადგურა „მონპელიემ" ჩემპიონატის ბოლო ტურში „ტულონი", ვფიქრობთ, რომ ძალიან დიდი სიფრთხილე გვამრთებს. ეს გუნდი საკმაოდ სახიფათოა, ვერ გაიგებ, მისგან როდის, რას უნდა ელოდო. ამიტომ მაქსიმალური ყურადღებით უნდა გავისარჯოთ" - თქვა „კასტრის" მთავარმა მწვრთნელმა **როლან ტრავერსმა.**

გორგოძე და ჟღენტი ძირითად შემადგენლობაში არიან, შველიძე და გიორგაძე კი თადარიგში იქნებიან. რეგულარულ გათამაშებაში, როგორც უკვე ვთქვით, „მონპელიემ" სტუმრად უხვლელოიან მატჩში წააგო - 43:29. შინ კი 23:12 მოიგო. ამ წყვილში გამარჯვებული ნახევარფინალში „მეტრო რასინგს" ეთამაშება.

## I დივიზიონი

### პლეი ოფი

**კლერმონი-ბიარიცი, კასტრი-მონპელიე**

მეორე დივიზიონში პირველი ადგილი და ელიტური, პირველი დივიზიონის საგზური ავტომატურად მოიპოვა **გურამ კავთიძის** „ლიონმა". კიდევ ერთი საგზურისთვის ბრძოლას კი ოთხი გუნდი განაგრძობს. მათ შორისაა **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლი", რომელიც ნახევარფინალში „ბორდოს" უმასპინძლებს.

მეორე წყვილში კი ერთმანეთს „ალბი" და „მონ დე მარსანი" დაუპირისპირდებიან. ამ შეხვედრებში გამარჯვებულები მეორე საგზურის მფლობელის ვინაობას, ერთი კვირის თავზე, ნეიტრალურ მოედანზე გაარკვევენ.

## II დივიზიონი

### ნახევარფინალი

**გრენობლი-ბორდო, ალბი-მონ დე მარსანი**

ფედერალ 1 დივიზიონში ელიტურ, მეორე დივიზიონში მიმავალ გზას ცოტა უფრო შორიდან შეუყვნენ. აქ უკვე გაიმართა პლეი ოფის მერვედფინალის პირველი მატჩები. რანგით უფრო მაღალ დივიზიონში ალზევებისთვის ქართველ მორაგბეთა ერთბაშად ხუთი გუნდი იბრძვის.

მეოთხედფინალში გასვლის ყველაზე კარგი შანსი აქვს **თედო ზიბზიბაძის, ალექსანდრე მარგველაშვილის, ირაკლი ნინიძისა** და **დავით დადუნაშვილის** „პერიგოს", რომელმაც პირველ მატჩში სტუმრად იოლად მოუგო „ლავორს" - 32:12.

სტუმრად მოიგო „მარმანდთან" **ლაშა მალაღურაძისა** და **გიორგი მჭედლიშვილის** „ბეზიემაც" - 25:22. ამ შეხვედრაში საქართველოს ნაკრების მგეზავმა გუნდს 15 ქულა მოუტანა. ლანგედოკელებს, სავარაუდოდ, მეოთხედფინალში გასვლა არ უნდა გაუჭირდეთ.

**გიორგი ნემსაძის** „მონტობანმა" სტუმრად მინიმალური სხვაობით მოუგო „ვანს" - 21:20. განმეორებით შეხვედრაში, ვფიქრობთ, მწვანეები, რომლებსაც წლეულს შინ ჯერ არ წაუგიათ, მეტოქეს გაცილებით მეტ პრობლემებს შეუქმნიან.

**დავით კაჭარავას** „ნიცამ" შინ წააგო „ლიმოჟთან" - 20:26 და სტუმრად წარმატების მიღწევა ძალიან გაუჭირდება. სტუმრად დამარცხდა „ლანამეზანთან" **შალვა სუთიაშვილის, სანდრო ესაკიას, დავით აშვეთიასა** და **არჩილ კობაურის** „მასი" - 26:29. პარიზელებს, ვფიქრობთ, რეალურად ხელეწიფებათ შინ, განმეორებით შეხვედრაში სამქულიანი დეფიციტის ალმოფხვრა.

## ფედერალ 1

### მერვედფინალი

მასი-ლანამეზანი (26:29), ლიმოჟი-ნიცა (26:20), ბობინი-ლილი (3:15), პერიგო-ლავორი (32:12), კასტანე-ბურგ ან ბრესი (23:28), ბეზიე-მარმანდი (25:22), ტიროსი-დიჟონი (23:14), მონტობანი-ვანი (21:20).


დავით ზირაქაშვილის შეტევა

ზე რაგბი


რედსი - ბლუზი

# წითლები აღარ ხუმრობენ

ზე რაგბის გათამაშების მე-13 ტური ცენტრალური შეხვედრით, A ჯგუფის ლიდერის ბრიზბენის „რედსისა" და B ჯგუფის პირველადგილოსან ოქლენდის „ბლუზის" დაპირისპირებით გაიხსნა. მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო საკმაოდ საინტერესო გამოდგა და ბრისბენელთა გამარჯვებით 37:31 დასრულდა.

„წითლებმა" თამაში შესანიშნავად დაიწყეს და 31- ე წუთისთვის უკვე 24:0-ს იგებდნენ. მასპინძლებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს და პირველი ტაიმის დარჩენილ დროში ოქლენდელებს ორი ლელოს გატანის საშუალება მისცეს. თვითონ კი მონაგარს საჯარიმოთი მხოლოდ სამი ქულა მიუმატეს - 27:14.

მეორე ნახევარი უკვე „ბლუზის" უპირატესობით წარიმართა, თუმცა „რედსმა" გამარჯვების მოპოვება მაინც შეძლო. გუნდებმა ოთხ-ოთხი ლელო გაიტანეს და, ისე გამოვიდა, რომ მასპინძლებმა ორით მეტი საჯარიმოს წყალობით მოიგეს.

ყველაზე მეტი ქულა „რედსს" მგეზავმა **ქუადე კუპერმა** მოუტანა, მის ანგარიშზე ოთხი გარდასახვა და სამი საჯარიმოა (17 ქულა). მისმა ვიზავი **ლუკ მაკალისტერმა** კი ოთხი გარდასახვა და ერთი საჯარიმო მიითვალა.

კიდევ ერთი შეხვედრა დანიდინში გაიმართა, სადაც ერთმანეთს B ჯგუფის წარმომადგენლები, „ჰაილენდერზი" და ველინგთონის „ჰარკენზი" დაუპირისპირდნენ. თამაში კარგი სანახავი ვერ გამოდგა და მასპინძლებმა 13:6 მოიგეს.

დღეს C ჯგუფის ლიდერი კეიპთაუნის „სტორმერზი" სტუმრად ეთამაშება ჰემილთონის „ჩიფსს", რომელიც B ჯგუფში 25 ქულით მე-4 ადგილზეა. სტორმერზელები წლეულს „ჩიფსს" პირველად დაუპირისპირდებიან. შარშანდელ სეზონში კი „ვაიკატოს" სტადიონზე 45:17 მოიგო.

*„შეცდომა იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ ჰემილთონელები უბრძოლველად რამეს დაგვითმობენ. ჩვენთან გამარჯვების შემთხვევაში მათ შანსი ეძლევათ პლეი ოფში გაალწიონ. ასე რომ, უმძიმესი ბრძოლა გველის. ჩვენ კარგად მოვემზადეთ, რათა გამარჯვებას მივაღწიოთ, რადგან მომდევნო ტურში გაცილებით ძლიერ მეტოქეს, ოქლენდის „ბლუზს" უნდა დავუპირისპირდეთ"* - თქვა „სტორმერზის" მწვრთნელმა **ალისტერ კუციამ.**

ზე რაგბის შარშანდელი ჩემპიონი პრეტორიის „ბლუ ბულზი" წლევანდელი გათამაშების დებიუტანტ „მელბურნ რებლზს" მასპინძლობს. „ლურჯმა ხარებმა ასპარეზობა წარუმატებლად დაიწყეს, პირველ ცხრა შეხვედრაში ხუთი მატჩი წააგეს და ახლა ყველა დარჩენილი თამაშის მოგება მართებთ, რათა პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვოს.

წინა ტურში პრეტორიელებმა შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვეს „ჩიფსთან" - 43:27. კვლავ ძველებურად ათამაშდნენ „ბლუ ბულზის" ლიდერები მესამეხაზელი **პიერ სპისი** და ცხრა ნომერი **ფური დუ პრი,** ისევ შესანიშნავად ითამაშა ფეხით მგეზავმა **მორნი სტეინმა.**

მელბურნელებს, რომელთა გუნდიც ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, კრიზისი დაეწყოთ. ბოლო სამ ტურში მათ ზედიზედ სამი შეხვედრა წააგეს, „რედსთან", „ჰაილენდრზთან" და „ვორათაზთან". მთავარმა მწვრთნელმა **როდ მაკქუინმა** ინგლისელი მგეზავი შემადგენლობდან ამოაგდო, თუმცა „ახალბედებს" ამან ვერაფერი უშველა.

ტურნირის კიდევ ერთი ფავორიტი ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზი" სტუმრად ეთამაშება ბლუმფონტეინის „ჩიტაზს". მასპინძლებმა მეტოქე ორი წლის წინ შინ მათთვის უმნიშვნელოვანეს მატჩში 20:13 დაამარცხეს და ახლა კრაისთჩერჩელები რევანშის აღებას ეცდებიან. არადა, ჩიტაზელები 25 ქულით მე-9 ადგილზე არიან და პლეი ოფში მოხვედრის შანსი აქვთ.

„კრუსეიდერზს" დაუბრუნდა მგეზავი **დენ კარტერი,** ჩვეულ ფორმაში შედის ახალი ზელანდიის ნაკრების კაპიტანი **რიჩი მაკქოუც.**

## XIII ტური

### A ჯგუფი

რედსი-ბლუზი 37:31, ბრამბიზი-ლაიონზი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. რედსი - 50 ქულა, 2. ვორათაზი - 40, 3. ფორსი - 25, 4. ბრამბიზი - 22, 5. მელბურნ რებლზი - 19

### B ჯგუფი

ჰაილენდერზი-ჰარიკენზი 13:6, ჩიფსი-სტორმერზი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბლუზი - 49 ქულა, 2. კრისეიდერზი - 44, 3. ჰაილენდერზი - 39, 4. ჩიფსი - 25, 5. ჰარიკენზი - 25.

### C ჯგუფი

ბლუ ბულზი-მელბურნ რებლზი, ჩიტაზი-კრუსეიდერზი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სტორმერზი - 43 ქულა, 2. ნატალ შარქსი - 43, 3. ბლუ ბულზი - 31, 4. ჩიტაზი - 25, 5. ლაიონზი - 14.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# მესამე სერია რუსეთმა მოიგო

ფინეთმა ოდნავ ანერვიულა თავისი გულშემატკივრები, მაგრამ ბოლოს მაინც კლასის ხარჯზე გაუსწორდა ნორვეგიას. ამასთან, „სუომიზე" დადებითად იმოქმედა მეორე პერიოდის დასაწყისში გაშვებულმა შაიბამ. ამ მომენტამდე ნორვეგია კარგად იდგა და ბევრით არაფრით ჩამორჩებოდა სახელოვან მეტოქეს, ბოლოს კი ანგარიშის გახსნაც მოახერხა. **ობიმბი** გავიდა მეკარე **ვეჰანენთან** პირისპირ და ის უხეში ილეთით შეაჩერეს - ნორვეგიელმა ბრწყინვალე სტილში გამოიყენა ბულიტი.

თუმცა „ვიკინგების" სიხარული დიდი ხანი არ გაგრძელებულა. ფინეთმა მაშინვე მოუმატა თამაშს, წესი დაარღვევინა **მორტენ ოსკს** და ეფექტურად გაითამაშა ზედმეტი მოთამაშე. იქვე ნორვეგიამაც მიიღო რიცხობრივი უპირატესობა, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა, შემდეგ კვლავ უმცირესობაში აღმოჩნდა და ისევ გაუშვა შაიბა, ამჯერად **ტუომო რუუტუსგან**. გავიდა რამდენიმე წუთი და **იმონენმა** დუბლი შეასრულა (გოლი კვლავ რიცხობრივი უპირატესობისას გავიდა), ნორვეგიელთა იმედები კი **ლაიუნენმა** დაასამარა, ვინც ერთი ერთზე გასვლა გამოიყენა.

ამის შემდეგ ანგარიში აღარ შეცვლილა, თუმცა გუნდებმა მომენტები საკმარისად შექმნეს. მაგრამ ნორვეგიას აშკარად ეტყობოდა, რომ ბრძლისთვის თავი დანებებული ჰქონდა - გუნდი მეორე მეოთხედში გატყდა. ფინეთი მშვიდად გავიდა ნახევარფინალში და კანადისა და რუსეთის ნახევარფინალის შედეგს დაელოდა.

■ ■ ■

კანადურ-რუსული დაპირისპირება მეოთხედფინალური ეტაპის მთავარი ჰიტი იყო. ეს გუნდები ზედიზედ მესამე წელია სწორედ ამ ეტაპზე ხვდებიან ერთმანეთს. თავიდან იყო რუსეთის განადგურება ვანკუვერის ოლიმპიადაზე, შარშან კი მსოფლიოს ჩემპიონატზე რუსებმა რევანში აიღეს.

მესამე სერია კანადელთა აქტიურობით დაიწყო - **კენ ჰიჩკოკის** შეგირდებმა სწრაფ გოლზე გააკეთეს აქცენტი და რამდენიმე წუთი რუსების ზონიდან არ გამოსულან. მით უმეტეს, რომ **კოვალჩუკმა** უკვე მე-5 (!) წამზე დაიმსახურა ორწუთიანი ჯარიმა. ოკეანისგაღმელთა ჩანაფიქრმა არ გაამართლა. ყველაზე რეალური მომენტი **ტავარესს** ჰქონდა, რომელმაც ახლო მანძილიდან ისე დაარტყა, რომ ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ მეკარეს გაარტყა შაიბა.

მიუხედავად იმისა, რომ კანადამ მეტოქეზე 17 ზუსტი დარტყმით მეტი შეასრულა (37-20), თამაში თანაბარ ბრძოლასა და ორმხრივ იერიშებში განვითარდა. მაგალითად, **ოვეჩკინმა** ცარიელ კარში ვერ გაიტანა, **ნეშმა** ძელს გაარტყა... ბოლოს კი ყველაფერი **სპეცას** გოლით დასრულდა - კანადელი ფორვარდი მეკარესთან პირისპირ გავიდა და ფეხებს შუა გაუძვრინა შაიბა.

ამ მატჩში ორივე გუნდს ხუთ-ხუთჯერ ჰქონდა რიცხობრივი უპირატესობის გამოყენების საშუალება, მაგრამ არც ერთი ცდა წარმატებული არ აღმოჩნდა. სამაგიეროდ, რუსებმა რიცხობრივ უმცირესობაში გაიტანეს. მესამე პერიოდის შუაში კანადამ ათი წამით ხუთი სამზე უპირატესობა მიიღო, მაგრამ რუსეთმა არათუ გაუძლო, არამედ ანგარიში გაათანაბრა - **კაიგოროდოვმა** სამ კანადელს აჯობა და მეკარესთან პირისპირ გაიქცა - 1:1. ეს იყო მატჩის გარდამტეხი მომენტი.

ამ გოლმა რუსებზე კარგად იმოქმედა, თუმცა თავიდან მათ კანადის რამდენიმე პოზიციური შეტევის მოგერიებამ მოუწიათ და როგორც კი თამაშმა კანადელთა ზონაში გადაინაცვლა, **რადულოვმა** კარის უკნიდან კოვალჩუკი მონახა და რუსების ვარსკვლავმა ამ ჩემპიონატში პირველი გოლი გაიტანა - 2:1. თამაშის სურათი კარდინალურად შეიცვალა. დაბნეული კანადელები შოკისგან ველარ გამოვიდნენ, რუსებმა კი იდეალურად „მოკლეს" დარჩენილი დრო და მოიპოვეს ნახევარფინალში თამაშის უფლება. იქ მათ ფინეთთან ელით შეხვედრა.



რუსეთი-კანადა

| 1/4 ფინალი | |
|---|---|
| ფინეთი-ნორვეგია | 4:1 |

0:0, 4:1, 0:0

**გოლები**: 0:1 ოლიმბი-3, 1:1 იმონენი-6 (გრანლუნდი-4, ნისკალა-3), 2:1 ტ. რუუტუ-6 (მ. კოივუ-4, პესონენი-4), 3:1 იმონენი-7 (გრანლუნდი-5, ვიალივაარა-3), 4:1 ლაიუნენი-1 (კომაროვი-1, იაკოლა-1).

| კანადა-რუსეთი | 1:2 |
|---|---|

0:0, 1:0, 0:2

**გოლები**: 1:0 სპეცა-4 (პიეტრანჯელო-3), 1:1 კაიგოროდოვი-1, 1:2 კოვალჩუკი-1 (რადულოვი-3, კალინინი-3).

| 1/2 ფინალი | |
|---|---|
| 13 მაისი | |
| ჩეხეთი-შვედეთი | 2:5 |
| რუსეთი-ფინეთი | 0:3 |

# ფორმატი შეიცვალა

მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩების წინ გაიმართა ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი, რომელზეც ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს - ის ტურნირის ჩატარების ფორმატს შეეხება.

მომავალი წლიდან მოყოლებული, შეჯიბრების რეგლამენტი კარდინალურად შეიცვლის სახეს. ტურნირის 16 მონაწილე ორ ჯგუფად (თითოში - რვა გუნდი) დაიყოფა. თითო გუნდი ქვეჯგუფში შვიდ მატჩს ჩაატარებს. აღარ გაიმართება მეორე ჯგუფური ეტაპი - თითო ჯგუფიდან ოთხი საუკეთესო გუნდი პირდაპირ მეოთხედფინალში გადავა. ბოლო ადგილზე გასული ნაკრებები ავტომატურად გავარდებიან მსოფლიო ჰოკეის ქვედა დივიზიონში.

აქამდე არსებული ფორმატის თანახმად, 16 გუნდი ოთხ ჯგუფში იყო განაწილებული, საიდანაც სამი საუკეთესო ნაკრები აგრძელებდა ბრძოლას. ამასთან, მათ მეორე რაუნდში პირველ ეტაპზე დაგროვილი ქულები გადაჰყვებოდათ. მხოლოდ მეორე ეტაპის შემდეგ ვლინდებოდნენ მეოთხედფინალისტები.

ჩოგბურთი. ტურნირები



ფედერერს გამხნევებამ ვერ უშველა

# როჯერის გარეშე

რომის მასტერსის მერვედფინალურ ეტაპზე ურთიერთობის გარკვევა შუაღამემდე გაიწელა და შესაბამისად, მაყურებელი არაერთი საინტერესო მატჩის მოწმე გახდა.

რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი მოულოდნელობა **როჯერ ფედერერის** წაგება იყო. ლეგენდარულმა შვეიცარიელმა სამ სეტში დაუთმო მეოთხედფინალის საგზური **რიშარ გასკეს**, რომელთანაც აქამდე არ უჭირდა თამაში - ამ ჩოგბურთელთა წინა რვა შეხვედრა შვეიცარიელის გამარჯვებით დასრულდა.

ეს წაგება მხოლოდ მეორე იყო ამ სეზონში ფედერერისთვის იმ ჩოგბურთელებისგან, რომლებიც რეიტინგის პირველი სამეულის მიღმა იმყოფებიან (მანამდე როჯერი მეცხრე ჩოგანმა **იურგენ მელცერმა** დაამარცხა). აღსანიშნავია, რომ რიშარ გასკე ამ სეზონში მხოლოდ მესამედ გავიდა მეოთხედფინალში და იქ მისი მეტოქე ჩეხი **ტომაშ ბერდიხი** იქნება, რომელმაც ასევე სამ სეტში მოუგო ფინელ **იარკო ნიემინენს**. ეს მატჩი ორ საათსა და 42 წუთს გაგრძელდა.

**რობინ სიოდერლინგი ნიკოლას ალმაგროს** წინააღმდეგ თამაშობდა და მეტოქის ცხრა ეისის მიუხედავად, შეძლო გამარჯვების მოპოვება. მესამე პარტიაში 4:4-ზე ესპანელს ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, რომელსაც შეეძლო მატჩის ბედის გადაწყვეტა, მაგრამ შვედმა ჯერ ეს საფრთხე მოიგერია, მომდევნო გეიმში კი ბრეიკის აღებით პრაქტიკულად გაარკვია გამარჯვებულის საკითხი.

მეოთხედფინალში სიოდერლინგი **ნოვაკ ჯოკოვიჩს** შეხვდება, რომელმაც ძალიან დამაჯერებლად მოუგო **სტანისლას ვავრინკას**. შვეიცარიელს ექვსი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ ვერც ერთი შანსი ვერ გამოიყენა. თავად სერბი კარგად აწვდიდა და საერთო ჯამში „თავისი" ბურთების 69 პროცენტი მოიგო. ეს ჯოკოვიჩის ზედიზედ 36-ე მოგებაა მიმდინარე სეზონში.

ამერიკელ **მარდი ფიშს** უმძიმესი მატჩი ჰქონდა **მარინ ჩილიჩის** წინააღმდეგ. ამ შეხვედრაში მეტოქეებმა მხოლოდ თითო ბრეიკ-პოინტი მიიღეს, შანსი კი მხოლოდ ხორვატმა გამოიყენა, რისი წყალობითაც მეორე სეტი მოიგო, პირველში კი ჩილიჩმა ტაი-ბრეიკზე იმარჯვა. საერთოდ, მარინს უადვილდება ფიშის წინააღმდეგ თამაში - ხორვატმა ამერიკელი ზედიზედ მეოთხედ დაამარცხა. შემდეგ ეტაპზე ჩილიჩს **რაფაელ ნადალი** ელის. წინა დღისგან განსხვავებით, ესპანელს ამჯერად პრობლემა არ ჰქონია თანამემამულე **ფელისიანო ლოპესის** წინააღმდეგ.

დიდი ხანია ასეთი კარგი თამაში არ გვინახავს **ენდი მიურეის** მხრიდან. ბრიტანელმა სულ რაღაც 67 წუთში დაამარცხა **პოტიტო სტარაჩე** და რომში პირველად მოიპოვა მეოთხედფინალში თამაშის უფლება. ნახევარფინალში გასასვლელად ბრიტანელს გერმანელი ფლორიან მაიერის წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევს.

ATP

Internazionali BNL d'Italia

რომი (იტალია). გრუნტი

**საპრიზო ფონდი**: 2 227 500 ევრო

1/8 ფინალი

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 6:4, 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც) 6:4, 6:1; **რიშარ გასკე (საფ)**-როჯერ ფედერერი (შვეიც, 3) 4:6, 7:6(2), 7:6(4); **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-პოტიტო სტარაჩე (იტა) 6:2, 6:3; **რობინ სიოდერლინგი (შვედ)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ) 6:3, 3:6, 6:4; **ტომაშ ბედიხი (ჩეხ)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 6:2, 6:7(4), 6:2; **მარინ ჩილიჩი (ხორ)**-მარდი ფიში (აშშ) (აშშ, 11) 7:6(6), 6:3; **ფლორიან მაიერი (გერ)**-ხუან იგნასიო ჩელა (არგ) 7:5, 6:4.

# მარიამ ჩაწოდება ისწავლა

ქალთა ტურნირში დღემ უსენსაციოდ ჩაიარა - ყველა ფავორიტი ბრძოლას აგრძელებს.

როლან გაროსის ჩემპიონმა **ფრანჩესკა სკიავონემ** სამ სეტში მოუგო სლოვაკ **დანიელა ჰანტუხოვას** და ამისთვის საათი და 39 წუთი დაეხარჯა. იტალიელი მეოთხედფინალში **სამანტა სტოსურს** შეხვდება, რომელმაც შინ გაამგზავრა სლოვენიელი ამომავალი ვარსკვლავი **პოლონა ჰერცოგი**. ორივეს სამ-სამი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, ამასთან, ავსტრალიელმა ორჯერ აიღო ბრეიკი, მეტოქეს კი ერთხელაც არ დაანება საკუთარი გეიმი.

ასე რომ, მეოთხედფინალში შედგება შარშანდელი როლან გაროსის ფინალის გამეორება, რაც, წესით, საინტერესო ბრძოლას გვპირდება.

ამ დღეს ყველაზე დამაჯერებელი გამარჯვება ჩინელმა **ნა ლიმ** მოიპოვა, რომელმაც ოთხიდან ოთხი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა და მეოთხედფინალის საგზურის მოპოვებას 64 წუთი მოანდომა. შემდეგ წრეში აზიელი გამოცდილ უნგრელს **გრეტა არნს** შეხვდება. ამ უკანასკნელს სამსაათიანი ბრძოლის გადატანამ მოუწია რუსი **ელენა ვესნინას** წინააღმდეგ და წესით, მისი ასაკის გათვალისწინებით, ძალიან უნდა გაუჭირდეს ნა ლისთან ბრძოლა.

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ** ხარისხიანი და დამაჯერებელი თამაში აჩვენა **იანინა ვიკმაიერის** წინააღმდეგ და ეს ჩოგბურთელი კარიერაში მესამედ დაამარცხა. დანიელს შემდეგ ეტაპზე **ელენა იანკოვიჩი** ელოდება, ვისაც 2 საათი და 45 წუთი დასჭირდა **ანაბელ მედინა გარიგესის** წინააღმდეგობის დასაძლევად. აღსანიშნავია, რომ მეტოქეებს ჯამში 30-ზე (!) მეტი ბრეიკ-პოინტი ჰქონდათ.


მარია შარაპოვა

მოულოდნელად ძალიან კარგად ითამაშა მოწოდებაზე **მარია შარაპოვამ**, რის ხარჯზეც მან ისრაელელი **შაარ პეერი** დაამარცხა. რუსმა ფანტასტიკური მაჩვენებელი დააფიქსირა - მის მოწოდებაზე სულ 30 ბურთი გათამაშდა და მარიამ აქედან მხოლოდ ოთხი წააგო. რაც მთავარია, შარაპოვას არც ერთი ორმაგი შეცდომა არ დაუშვია, რაც კიდევ ერთი სასწაული გახლავთ.

მარიას მზადყოფნას მეოთხედფინალში ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა** შეამოწმებს. ვიკას, თავის მხრივ, სამი სეტი დასჭირდა მეორე რუსის - **ანასტასია პავლიუჩენკოვას** დასამარცხებლად. წესით, ეს ყველაზე საინტერესო მეოთხედფინალი უნდა იყოს, თუნდაც მონაწილეთა ვიზუალური მხარიდან გამომდინარე.

WTA

Internazionali BNL d'Italia

რომი (იტალია). გრუნტი

**საპრიზო ფონდი**: 2 050 000 დოლარი

1/8 ფინალი

**კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)**-იანინა ვიკმაიერი (ბელ) 6:1, 7:6(4); **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 2)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) 3:6, 6:2, 7:5; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 3)**-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 16) 6:4, 4:6, 6:2; **ნა ლი (ჩინ, 4)**-იარმილა გაიდოშოვა (ავსტრა) 6:2, 6:1; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 5)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ) 6:4, 2:6, 6:2; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 6)**-პოლონა ჰერცოგი (სლოვენ) 6:3, 6:4; **მარია შარაპოვა (რუს, 7)**-შაარ პეერი (ისრ, 10) 6:2, 6:2; **გრეტა არნი (უნგ)**-ელენა ვესნინა (რუს) 3:6, 7:6(3), 7:6(3).

# როლან გაროსის უაილდ ქარდები

ახლოვდება როლან გაროსი და „დიდი სლემის" რიგით მეორე ტურნირის სტარტამდე ორგანიზატორებმა სპეციალური მიწვევის, ე. წ. უაილ ქარდის მფლობელთა ვინაობა დაასახელეს. ამ ჩოგბურთელებს არ მოუწევთ საკვალიფიკაციო ეტაპის გავლა და ისინი პირდაპირ ჩაჯდებიან ძირითად ბადეში.

უაილდ ქარდების უმეტესობა ფრანგ ჩოგბურთელებს ერგოთ. მამაკაცთაგან ესენი არიან: **არნო კლემანი, ბენუა პერი, მაქსიმ ტეიშეირა, ედუარდ როჟე-ვასელენი, გიიომ რუფენი** და **ვენსან მიიო**, ქალებიდან - **პოლინ პარმენტიე, კაროლინ გარსია, კრისტინა მლადენოვიჩი, სტეფანი ფორეც-გასონი** და **ირინა ბრემონი** (ბელარუსის ყოფილი წარმომადგენელი **ირინა კურიანოვიჩი**, რომელიც ცოლად გაჰყვა ფრანგ მწვრთნელ **ჟერალდ ბრემონს**).

ამერიკისა და ავსტრალიის ჩოგბურთის ფედერაციებთან შეთანხმებით, სპეციალური მიწვევები მიიღეს ამერიკელებმა - **ტიმ შმიჩეკმა** და **ირინა ფალკონიმ** და ავსტრალიელებმა - **ბერნარდ ტომიჩმა** და **კეისი დელაკუამ**.

დარჩენილია კიდევ ერთი უაილდ ქარდი ქალთა ბადეში და მის მფლობელს როლან გაროსის ორგანიზატორები უახლოეს ხანში გამოაცხადებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი



ასპროცენტიანი ლებრონი

# წლის ნაკრები ცნობილია

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ დაასრულა მიმდინარე სეზონის ლაურეატთა გამოვლენა. NBA-ის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა რეგულარული ჩემპიონატის პირველი, მეორე და მესამე სიმბოლური ნაკრებების შემადგენლობები. სია პრესის წარმომადგენელთა გამოკითხვით შედგა. სულ არჩევანის უფლება 119 ჟურნალისტს ჰქონდა. ერთადერთი კალათბურთელი აღმოჩნდა **ლებრონ ჯეიმსი**, ვინც ყველა ანკეტაში პირველი ადგილი დაიკავა, ანუ „მაიამი ჰიტის" ლიდერმა ასპროცენტიანი მაჩვენებელი დააფიქსირა. მას მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩა სეზონის უძვირფასესი მოთამაშე, „ჩიკაგოს" გამთამაშებელი **დერიკ როუზი**.

კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი ის არის, რომ 15 საუკეთესოს შორის არ აღმოჩნდა ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის - „ბოსტონ სელტიქსის" არც ერთი კალათბურთელი.

| | |
|---|---|
| **I ნაკრები** | |
| **მცველები** | |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 551 |
| დერიკ როუზი (ჩიკ) | 593 |
| **ფორვარდები** | |
| ლებრონ ჯეიმსი (მაი) | 595 |
| კევინ დურანტი (ოკლ) | 492 |
| **ცენტრი** | |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 593 |

| | |
|---|---|
| **II ნაკრები** | |
| **მცველები** | |
| დუეინ უეიდი (მაი) | 392 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 184 |
| **ფორვარდები** | |
| პაუ გასოლი (ლეი) | 259 |
| დირკ ნოვიცკი (დალ) | 437 |
| **ცენტრი** | |
| ამარე სტაუდმაიერი (ნ-იორ) | 258 |
| **III ნაკრები** | |
| **მცველები** | |
| მანუ ჯინობილი (ს-ანტ) | 106 |
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 157 |
| **ფორვარდები** | |
| ლამარკუს ოლდრიჯი (პორ) | 135 |
| ზაკ რენდოლფი (მემ) | 67 |
| **ცენტრი** | |
| ელ ჰორფორდი (ატლ) | 62 |

**სხვა პრეტენდენტები**: რაჟონ რონდო (ბოს) - 68; პოლ პირსი (ბოს) - 55; კარმელო ენტონი (დენ/ნ-იორკ) - 53; კევინ ლავი (მინ) - 48; ტიმ დანკანი (ს-ანტ) - 43; ბლეიკ გრიფინი (კლი) - 36; ტონი პარკერი (ს-ანტ) - 27; კევინ გარნეტი (ბოს) - 22; დერონ უილიამსი (იუტ/ნ-ჯერ) - 19; სტივ ნეში (ფინ) - 17; ენდრიუ ბოგუტი (მილ) - 13; მონტა ელისი (გ-სტე) - 11; ნენე (დენ) - 11; ენდრიუ ბინუმი (ლეიკ) - 9; კევინ მარტინი (ჰიუ) - 7; ტაისონ ჩენდლერი (დალ) - 7; ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) - 5; მარკ გასოლი (მემ) - 3; ელ ჯეფერსონი (იუტ) - 3; კენდრიკ პერკინსი (ბოს/ოკლ) - 3; ანდრეა ბარნიანი (ტორ) - 2; კრის ბოში (მაი) - 2; ანდრე იგუოდალა (ფილ) - 1; ემეკა ოკაფორი (ნ-ორლ) - 1; ერიკ გორდონი (კლიპ) - 1; ჯერალდ უოლასი (შარ/პორ) - 1; ჯეისონ კიდი (დალ) - 1; ლუის სკოლა (ჰიუ) - 1; ლუოლ დენგი (ჩიკ) - 1; რეი ალენი (ბოს) - 1.

## NHL პლეი ოფი. 1/4 ფინალი

# და მაინც სან ხოსე

ყველასთვის მოულოდნელად გუნდებმა ყოველგვარი სიფრთხილის გარეშე დაიწყეს სერიის მეშვიდე მატჩი და მარტო პირველ პერიოდში ჯამში 28 ზუსტი დარტყმა შეასრულეს. „ზვიგენების" მეკარე **ანტი ნიემი** ბრწყინვალედ გაუმკლავდა თავის საქმეს, ჰოვარდმა კი ორი შაიბა გაუშვა, თუმცა ამ ეპიზოდებში „რედ უინგზის" გოლკიპერის დადანაშაულება მართალი არ იქნებოდა. განსაკუთრებით მეორე გოლის დროს, როცა **ზეტერბერგმა** საკუთარ კართან დაკარგა შაიბა, რითაც კარგად ისარგებლა დებიუტანტმა **კუტურმა**.

სტუმრებს არ აწყობდათ მოვლენათა ამგვარი განვითარება და კიდევ უფრო დიდი ძალებით წავიდნენ წინ. ნიემი კარგა ხანი ინარჩუნებდა „მშრალად" საკუთარ კარს, მაგრამ ბოლოს ვერაფერი მოუხერხა ზეტერბერგის ბრწყინვალე დარტყმას. თითქოს „რედ უინზს" მეორე გოლიც უნდა გაეტანა, მაგრამ მასპინძლებმა გაძლეს მეორე შესვენებამდე.

მესამე პერიოდში „სან ხოსემ" შეძლო თამაშის გათანაბრება და ნიემიმაც ამოისუნთქა. უფრო მეტი სამუშაო ჰოვარდს გაუჩნდა და ორ ეპიზოდში ბრწყინვალედაც ითამაშა, თუმცა 53-ე წუთზე **პატრიკ მარლოს** დარტყმას ვერ გაუმკლავდა. ამ ფორვარდისთვის ეს გოლი უმნიშვნელოვანესი იყო - მთელი სერიის განმავლობაში მარლომ 20-ზე მეტი დარტყმა შეასრულა, მაგრამ მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა, სამაგიეროდ, ყველაზე მნიშვნელოვანი.

„დეტროიტმა" დანებება არ ისურვა - მან ამ სერიაში არაერთხელ მოახერხა თითქმის უიმედო სიტუაციიდან გამოძრომა და ახლაც კინაღამ სასწაული მოახდინა. **პაველ დაციუკმა** ძალიან მახვილი კუთხიდან შორეულ ცხრიანში გაიტანა, შემდეგ კი მასვე შეეძლო მატჩის ოვერტაიმში გადაყვანა, მაგრამ საფინალო სირენამდე 30 წამით ადრე ნიემიმ აჯობა. ეს უკანასკნელი სერიის მთავარი გმირი იყო. ფინელმა შარშან „ჩიკაგოსთან" ერთად მოიგო სტენლის თასი, მაგრამ, სავარაუდოდ, სწორედ ამ სეზონში ჩამოყალიბდა უდიდეს მეკარედ.

ასე რომ, „სან ხოსემ" ზედიზედ მეორედ გამოთიშა სტენლის თასისთვის ბრძოლას „დეტროიტი" და არსებობის ისტორიაში მესამედ გავიდა დასავლეთი კონფერენციის ფინალში. იქ მას „ვანკუვერთან" დუელი ელის.

**სან ხოსე–დეტროიტი 3:2**

2:0, 0:1, 1:1

**გოლები:** 1:0 სეტოგუჩი-6 (ტორნტონი-9, ბოილი-8), 2:0 კუტური-6, 2:1 ზეტერბერგი-3 (ფილპულა-6), 3:1 მარლო-3 (სეტოგუჩი-2, ბოილი-9), 3:2 დაციუკი-4 (სტიუარტი-2, ერიქსონი-2)

**სერია: 4-3**

**1/2 ფინალი**

**ბოსტონი (3)–ტამპა ბეი (5)**

14 მაისი. ბოსტონი-ტამპა ბეი
17 მაისი. ბოსტონი-ტამპა ბეი
19 მაისი. ტამპა ბეი-ბოსტონი
21 მაისი. ტამპა ბეი-ბოსტონი
23 მაისი. ბოსტონი-ტამპა ბეი
25 მაისი. ტამპა ბეი-ბოსტონი
27 მაისი. ბოსტონი-ტამპა ბეი

**ვანკუვერი (1)–სან ხოსე (2)**

15 მაისი. ვანკუვერი-სან ხოსე
18 მაისი. ვანკუვერი-სან ხოსე
20 მაისი. სან ხოსე-ვანკუვერი
22 მაისი. სან ხოსე-ვანკუვერი
24 მაისი. ვანკუვერი-სან ხოსე
26 მაისი. სან ხოსე-ვანკუვერი
28 მაისი. ვანკუვერი-სან ხოსე

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| რიდინგი-კარდიფი | 0:0 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ასკოლი-სიენა | 3:2 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ჰამბურგი A-თურქიემი | 4:1 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| მიუნხენი A-კასელი | 2:0 |
| ჰოფენჰაიმი A-კარლსრუე A | 1:5 |
| პფიულენდორფი-მემინგენი | 2:0 |
| შტ. კიკერსი-აინტრახტი A | 2:1 |
| დარმშტადტი-ფრანქფურტი A | 2:0 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| კიოლნი A-მუნსტერი | 0:3 |
| ლევერკუზენი A-მაინცი A | 3:1 |
| ელვერსბერგი-არმინია A | 0:0 |
| ჰომბურგი-დორტმუნდი A | 0:2 |
| გლადბახი A-ტრირი | 0:4 |
| ვიდენბრუკი-ლოტე | 1:1 |
| ფერლი-ვუპერტალი | 4:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ანჟერსი-აიაჩო | 3:1 |
| ბულონი-შატორუ | 3:2 |
| კლერმონი-რეიმსი | 1:1 |
| ევიანი-ტრუა | 3:0 |
| ისტრი-მეცი | 2:3 |
| ჰავრი-ვანი | 3:4 |
| ნიმი-ტური | 2:3 |
| სედანი-ნანტი | 3:1 |
| **ჰოლანდია** | |
| **პლეი ოფი** | |
| ვოლენდამი-მაასტრიხტი | 2:0 |
| იგლზი-დენ ბოში | 1:2 |
| **ბელგია** | |
| **პლეი ოფი** | |
| ვესტერლო-სერკლი | 3:0 |
| **დანია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ფინი-ორჰუსი | 2:3 |
| კიოგე-ოლბორგი | 2:2 |
| **ფინეთი** | |
| ჰაკა-მარიეჰამნი | 0:2 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლუსტენაუ-სტ. ანდრა | 0:0 |
| გრატკორნი-ავსტრია (ლ) | 2:1 |
| ჰარტბერგი-ადმირა | 1:2 |
| სტ. პოლტენი-ვენა | 1:1 |
| ალტახი-გრიოდიგი | 3:0 |
| **თურქეთი** | |
| ანტალია-ქარაბუქი | 1:2 |
| **ირლანდია** | |
| ბრეი-უნივერსიტი | 2:1 |
| დროგედა-სლიგო | 0:3 |
| გალვეი-ბოჰემიანსი | 0:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ლიმერიკი-უოტერფორდი | 1:0 |
| მერვუ-ფინ ჰარპსი | 2:1 |
| შელბურნი-კორკი | 1:1 |
| უექსფორდი-სოლტჰილი | 1:3 |
| **ჩეხეთი** | |
| სპარტა-ბოჰემიანსი | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| დუკლა-ვლაშიმი | 1:0 |
| იულავა-ტრშინეცი | 0:0 |
| **პოლონეთი** | |
| იაგელონია-ლეგია | 0:0 |
| პოლონია (ბ)-გურნიკი | 1:2 |
| **ხორვატია** | |
| ლოკომოტივა-სიბალია | 2:0 |
| ინკერი-რიეკა | 1:1 |
| **უნგრეთი** | |
| პაკსი-ვაშაში | 3:0 |
| ზალაეგერშეგი-დებრეცენი | 1:1 |
| **რუმინეთი** | |
| უნირეა [illegible] | 0:3 |
| გაზ მეთანი-კლუჟი | 3:2 |
| **ბულგარეთი** | |
| სლავია-ლიტექსი | 0:1 |
| **მოლდოვა** | |
| ნისტრუ-გაგაუზია | 1:2 |
| კოსტულენი-დაჩა | 0:1 |
| ცსკა-ისკრა | 1:2 |
| დინამო-შერიფი | 0:7 |
| აკადემია-ოლიმპია | 0:2 |
| ზიმბრუ-სფინტული | 3:0 |
| ტირასპოლი-მილსამი | 0:1 |
| **ბოსნია** | |
| ჟელეზნიჩარი-შირინსკი | 3:1 |
| **აზერბაიჯანი** | |
| ყარაბახი-ნეფთჩი | 3:0 |
| ხაზარი-ბაკუ | 2:0 |
| ინტერი-აზალ | 0:0 |
| **კალათბურთი** | |
| **რუსეთი** | |
| ცსკა-ხიმკი | 88:89 (ო) |
| **თურქეთი** | |
| ეფესი-პინარი | 78:74 |
| **ჰოკეი** | |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| ჩეხეთი-შვედეთი | 2:5 |
| რუსეთი-ფინეთი | 0:3 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. რომი** | |
| მიურეი-ფ. მაიერი | 1:6, 6:1, 6:1 |
| ნადალი-ჩილიჩი | 6:1, 6:3 |
| ბერდიხი-გასკე | 6:4, 2:6, 4:6 |
| სიოდერლინგი-ჯოკოვიჩი | 3:6, 0:6 |
| **WTA. რომი** | |
| ნა ლი-არნი | 6:3, 6:1 |
| ვოზნიაცკი-იანკოვიჩი | 6:3, 1:6, 6:3 |
| სტოსური-სკიავონე | 6:2, 6:4 |
| აზარენკა-შარაპოვა | 6:4, 0:6, 0:6 |

## TV პროგრამა

### 14 მაისი. შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**12:00** ინგლისი ჩემპიონატი. ფელჰემი-ლივერპული.
**14:00** საფრანგეთის შოუ.
**14:30** იტალიის შოუ.
**15:00** ესპანეთის შოუ.
**15:45** ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-ლივერპული (LIVE).
**17:30** გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შტუტგარტი (LIVE).
**19:30** იტალიის შოუ.
**20:00** იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-ჯენოა (LIVE).
**22:00** ესპანეთის შოუ.
**22:30** უნიბურთი. სტუდენტური საფეხბურთო ლიგის მიმოხილვა.
**22:45** იტალიის ჩემპიონატი. მილანი-კალიარი (LIVE).
**00:45** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**01:45** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-დორტმუნდი.
**11:35** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. მემფისი-ოკლაჰომა. VI მატჩი.
**14:20** კალათბურთი. ევროლიგა. „ოთხთა ფინალი". მე-3 ადგილისთვის. რეალი-მონტეპასკი. ბარსელონა. ესპანეთი.
**16:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
**18:25** რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. კასტრი-ბეარიცი (LIVE).
**20:00** კალათბურთი. ევროლიგა. „ოთხთა ფინალი". 1/2 ფინალი. პანათინაიკოსი-მაკაბი. ბარსელონა. ესპანეთი.
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
**00:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. მემფისი-ოკლაჰომა. VI მატჩი.

**I არხი**

**18:00** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ტორპედო-ვიტ ჯორჯია (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**17:25** გერმანიის ჩემპიონატი. ფრაიბურგი-ლევერკუზენი (LIVE).
**19:55** იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-ჯენოა (LIVE).
**22:40** იტალიის ჩემპიონატი. მილანი-კალიარი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**17:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შტუტგარტი (LIVE).
**21:10** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ფინალი. იჩაკო (ესპანეთი)-ლარვიკი (ნორვეგია). საპასუხო მატჩი (LIVE).
**05:00** პროფესიული კრივი. სატიტულო ბრძოლა. ტურნირი SUPER SIX WORLD BOXING CLASSIC. 1/2 ფინალი. ანდრე უორდი-არტურ აბრაჰამი. აშშ (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**17:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ბორუსია (მ) (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

**13:40** რუსეთის ჩემპიონატი. ნალჩიკი-ვოლგა (LIVE).
**16:00** რუსეთის ჩემპიონატი. კრასნოდარი-ტომი (LIVE).
**18:15** რუსეთის ჩემპიონატი. ანჟი-ყუბანი (LIVE).
**20:30** რუსეთის ჩემპიონატი. ლოკომოტივი-ტერეკი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**14:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
**16:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
**18:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**18:45** რუსეთის ჩემპიონატი. ცსკა-ხიმკი (LIVE).

**SPORT+**

**17:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი (LIVE).
**22:55** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი (LIVE).

**EUROSPORT**

**12:00** მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. VII დღე. როტერდამი. ჰოლანდია (LIVE).
**14:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
**16:30** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. VIII ეტაპი. იტალია (LIVE).

**EUROSPORT-2**

**13:30** ავტოსპორტი. გრანპრი. I რბოლა. მონცა. იტალია (LIVE).
**15:00** ავტოსპორტი. „"რენოს" სერია. I რბოლა. მონცა. იტალია (LIVE).
**16:00** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი მსუბუქი მანქანებით რბოლაში. კვალიფიკაცია. მონცა. იტალია (LIVE).
**17:00** რალი. IRC. კორსიკის ტური. III დღე. საფრანგეთი (LIVE).
**18:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
**19:45** არენა ფეხბურთი. ტულსა-ნიუ ორლეანი (LIVE).

### 15 მაისი. კვირა

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**14:25** იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-ბოლონია (LIVE).
**16:55** იტალიის ჩემპიონატი. კატანია-რომა (LIVE).
**20:15** რუსეთის ჩემპიონატი. ცსკა-როსტოვი (LIVE).
**22:55** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. ფინალი. სანტოსი-კორინთიანსი. საპასუხო მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**16:00** მძლეოსნობა. ბრილიანტის ლიგა. II ეტაპი. ჩინეთი (LIVE).
**22:55** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**16:25** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ტვენტე (LIVE).
**19:55** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-დეპორტივო (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

**13:40** რუსეთის ჩემპიონატი. ამკარი-დინამო (LIVE).
**15:45** რუსეთის ჩემპიონატი. ზენიტი-რუბინი (LIVE).
**18:00** რუსეთის ჩემპიონატი. კრილია-სპარტაკი (LIVE).
**20:15** რუსეთის ჩემპიონატი. ცსკა-როსტოვი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**16:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
**18:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ფინალი. რომი. იტალია (LIVE).

**SPORT+**

**22:40** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-ინტერი (LIVE).

**EUROSPORT**

**11:00** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი მსუბუქი მანქანებით რბოლაში. გასახურებელი წრე. მონცა. იტალია (LIVE).
**11:30** მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. 1/4 ფინალი. როტერდამი. ჰოლანდია (LIVE).
**12:30** მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. 1/2 ფინალი. როტერდამი. ჰოლანდია (LIVE).
**13:15** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი მსუბუქი მანქანებით რბოლაში. I რბოლა. მონცა. იტალია (LIVE).
**15:45** ავტოსპორტი. გრანპრი. II რბოლა. მონცა. იტალია (LIVE).
**17:45** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. IX ეტაპი. იტალია (LIVE).
**21:15** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
**22:15** მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. ფინალი. როტერდამი. ჰოლანდია (LIVE).
**01:00** ველოსპორტი. კალიფორნიის ტური. I ეტაპი. აშშ (LIVE).

**EUROSPORT-2**

**13:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. UNDER 17. ფინალი. გერმანია-ჰოლანდია. სერბეთი (LIVE).
**16:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
**20:00** ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კაცები. ფინალი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ფორმულა 1

# როგორ დავეწიოთ მისტერ 93 პროცენტს?

**ამ კვირას მსოფლიოს ჩემპიონატზე ეტაპი არ იმართება, თუმცა „დიდი ცირკიდან“ ყოველდღე საინტერესო ამბებს ვიგებთ და დღეს ამ სიახლეთა ერთგვარ დაიჯესტს გთავაზობთ.**



მაკლარენი რედ ბულს მისდევს

## კუბიცა პროგრესისკენ

თურქეთის გრანპრის შემდეგ „ლოტუს-რენოს“ შეფმა **ერიკ ბუიემ** საავადმყოფოში მოინახულა პოლონელი **რობერტ კუბიცა**, რომელიც რალიში 6 თებერვალს მიღებული ავარიის შემდეგ სარეაბილიტაციო კურსს გადის. დაზარალებულს კიდევ რამდენიმე მცირე ოპერაცია ესაჭიროება, რის შემდეგაც დაიწყება ხელის დაზიანებული მყესებისა და კუნთების სერიოზული აღდგენითი კურსი.

*„რობერტმა კიდევ ერთი სერიოზული ნაბიჯი გადადგა სრული აღდგენისკენ, - განაცხადა ბუიემ. - ექიმები თავადაც სასიამოვნოდ გაკვირვებულები არიან მისი მდგომარეობის გაუმჯობესების ტემპებით. მათი სიტყვებით, ახლა სრული გამოჯანმრთელება მხოლოდ დროისა და სიმშვიდის საკითხია, თუმცა ეს თვისება კუბიცასთვის ნაკლებად არის დამახასიათებელი. ის კარგად აცნობიერებს, რომ აღდგენა საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იქნება“.*

ბუიემ ისიც თქვა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად, კუბიცა კვლავინდებურად გუნდის წევრად რჩება და იცის ყველაფერი, რაც საჯინიბოში ხდება: *„ის მუდმივად ინტერესდება სიახლეებით, შესაბამისად, გუნდის სრულუფლებიანი წევრი გახლავთ“.*

## ვირჯინი პილოტს კარგავს

ფინანსური გაუგებრობების გამო კითხვის ნიშნის ქვეშ დგას „ვირჯინის“ დებიუტანტი პილოტის, ბელგიელი **ჟერომ დ'ამბროზიოს** კარიერა. ბელგიური პრესის ინფორმაციით, ჟერომის პირად სპონსორებს, რომლებიც პილოტის სარბოლო კარიერას აფინანსებენ, ჯერ კიდევ არ გადაურიცხავთ „ვირჯინის“ ანგარიშზე კონტრაქტით გათვალისწინებული თანხა. ამის გამო, ერიკ ბუიე (ეს ფრანგი „ლოტუს-რენოს“ გარდა კომპანია Gravity Sport Management-ის შეფია, რომელიც ბელგიელი პილოტის საქმეებს განაგებს) სასწრაფოდ გაემგზავრა ბელგიაში მოლაპარაკებების გასამართად.

როგორც ბუიე ამბობს, სპონსორები არ ასრულებენ კონტრაქტის გათვალისწინებულ ვალდებულებებს და „ვირჯინში“ უკვე მოთმინებას კარგავენ. გუნდის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ თუ სიტუაცია უახლოეს პერიოდში არ შეიცვლება, ისინი ჟერომის შემცვლელის ძებნას დაიწყებენ.

ზოგიერთი წყაროს ცნობით, ბელგიელის სპონსორთა დავალიანება დაახლოებით 5 მილიონ ევროს შეადგენს.

შეგახსენებთ, რომ „ვირჯინში“ დ'ამბროზიომ ბრაზილიელი **ლუკას დი გრასი** შეცვალა. ამ მომენტისთვის გუნდის სარეზერვო პილოტია კანადელი **რობერტ უიკენსი**, რომელიც „ფორმულა-რენოს“ სახელით გამოდის. შესაძლოა, სწორედ ის გახდეს გამოცდილი გერმანელის **ტიმო გლოკის** პარტნიორი.

## მაკლარენი ბრძოლას გპირდება

ალბათ, ბევრს არ აწყობს ის სიტუაცია, რაც დღეს მსოფლიოს ჩემპიონატშია შექმნილი. ვგულისხმობთ „რედ ბულის“ პილოტის **სებასტიან ფეტელის** ტოტალურ დომინირებას, რომელმაც ოთხიდან ოთხი კვალიფიკაცია მოიგო და რბოლებში 100 შესაძლებლიდან 93 ქულა დააგროვა (ამის გამო მან მაშინვე მიიღო პრესისგან ახალი მეტსახელი - „მისტერ 93%“). ვილაცამ ისიც თქვა - ჩემპიონატი დასრულებულია, რადგან ტიტულის მფლობელი უკვე სახეზეაო.

საკითხის ასე დაყენება არ მოსწონთ მათ, ვინც გერმანელს ტრასაზე ებრძვიან, მათ შორის „მაკლარენის“ პილოტებს - **ჯენსონ ბატონსა** და **ლუის ჰემილტონს.**

*„არ მგონია, რომ ტიტულისთვის ბრძოლა დასრულდა, - ამბობს ჯენსონი. - ამის მტკიცების საფუძველი არ არსებობს. ერთადერთი, რაც საჭიროა ფეტელთან საბრძოლველად - მცირედით სისწრაფის მომატება გახლავთ. და იმედი მაქვს, რომ ამ „მცირედს“ უკვე შემდეგ კვირას ბარსელონაში მოვნახავთ“.*

უფრო მოკრძალებული კომენტარი ჰქონდა ჰემილტონს: *„34 ქულა - ძალიან დიდი უპირატესობაა. თურქეთში მან თავისი სიამოვნებისთვის ირბოლა. ეს სიტუაცია ძალიან ჰგავს ფორმულა 1-ში მიხაელ შუმახერის დომინირებას. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ფეტელს არ გავამეორებინოთ შუმახერის გზა. იმის შიში არ მაქვს, რომ ტიტულის ბედი სეზონის შუაში გაირკვევა. ასეთი რამ, შესაძლოა, მართლაც მოხდეს, მაგრამ ასევე სავსებით შესაძლებელია დავეწიოთ და გავუსწროთ მას“.*

## ალონსოს მათემატიკა

„მაკლარენის“ პილოტების აზრს ეთანხმება „ფერარის“ ლიდერი **ფერნანდო ალონსო**, ოღონდ ის თავის აზრებს ციფრების მეშვეობით გადმოგვცემს.

*„ძალიან მიყვარს ციფრებითა და ნუმეროლოგიით გართობა, - თქვა ესპანელმა. - და სანამ სახლს, მარანელოსა და თურქეთს შორის ვმოგზაურობდი, უსაქმობის გამო შედარებით არითმეტიკას მივმართე. მაგალითად, შევადარე შარშანდელი და წლევანდელი პირველი ოთხი რბოლის შედეგები. ამ პატარა მათემატიკურმა თამაშმა ასეთი შედეგები მოიტანა: ამ მომენტისთვის საკუთარ თავთან 8 ქულას ვაგებ (41 შარშანდელი 49-ის წინააღმდეგ), თუმცა ერთი წლის წინ ამავე ეტაპებზე (მხედველობაში აქვს ავსტრალია, მალაიზია, ჩინეთი და თურქეთი) 13 ქულით ნაკლები დავაგროვე, ვიდრე დღეს (41 28-ის წინააღმდეგ). თუმცა შარშან ჩემი ჩამორჩენა ლიდერთან 11 ქულა იყო და არა 52, როგორც ეს ამ მომენტისთვის არის. მაგრამ შეგახსენებთ: 2010 წელს სილვერსტოუნის შემდეგ ლიდერს მთელი 47 ქულით ჩამოვრჩებოდი და ჩემპიონატის დასრულებამდე რვა რბოლა გვრჩებოდა. მაშინ [illegible] მოვიგე ჩემპიონატი, ახლა კი პირველობის დამთავრებამდე 15 რბოლაა დარჩენილი.*

ეს იმაზე მიუთითებს, რომ ერთი და იმავე საკითხს, შესაძლოა, სხვადასხვა კუთხით შევხედოთ. ერთადერთი, რასაც მნიშვნელობა აქვს - შედეგია და თუ რეგულარულად ავალთ პოდიუმზე, დარწმუნებული ვართ, ჩავებმებით საჩემპიონო ბრძოლაში“.

## გასწრება იოლი არ გამხდარა

თუ „მაკლარენისა“ და „ფერარის“ პილოტები საჩემპიონო ბრძოლის საკითხებში თანხმდებიან, სამაგიეროდ, სულ სხვა დამოკიდებულება აქვთ ჩემპიონატში მომრავლებულ გასწრებებთან დაკავშირებით.

თურქეთის გრანპრის შემდეგ ბატონმა განაცხადა, რომ უკანა მოძრავი ანტიფრთის სისტემის (DRS) გამოყენებით გასწრება დაუშვებლად იოლი გახდა.

ალონსო, რომელმაც თურქეთში მესამე ადგილი დაიკავა მარკ უებერთან DRS-ბატალიების შემდეგ, დარწმუნებულია, რომ სიახლემ გაამართლა და ის სულაც არ ახდენს იდეის დისკრედიტაციას.

*„ჩემი აზრით, გასწრებების სიმარტივე ან სირთულე DRS-ზე იმდენად არ არის დამოკიდებული, რამდენადაც საბურავის ცვეთის ხარისხზე, რომელიც ყველა ბოლიდზე სხვადასხვაა. ჯამში ეს ორი კომპონენტი განსაზღვრავს ბრძოლის შედეგს. მინდა გითხრათ, რომ მე ეს მომწონს - დღევანდელი ფორმულა 1 განსხვავდება შარშანდელისგან. ამასთან, ჩვენი მაყურებლისთვის სულერთია, რის საშუალებით ხდება გასწრება. მთავარია, რომ რბოლები უფრო სანახაობრივი გახდა და ბილეთში ფულის გადახდაც აღარ ენანებათ. შესაბამისად, ტრიუბნებზე უფრო მეტ ხალხს ვნახავთ და კიდევ უფრო მეტს - ტელეეკრანებთან“,* - ამბობს ალონსო BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

## ფორმულა ბერძნებსაც მოუნდათ

რამდენიმეწლიანი მოლაპარაკებების შემდეგ საბერძნეთმა მოიწონა საერთაშორისო კლასის ავტოდრომის პროექტი, რომელზეც მომავალში ფორმულა 1-ის ეტაპი უნდა გაიმართოს.

პროექტის ინიციატორია ქალაქ პატრას ყოფილი მერი **ევანგელოს ფლორატოსი.** მან ბერძნული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში ქვეყნის მთავრობა ხელს მოაწერს ტრასის მშენებლობის პროექტს, რომლის ღირებულებაა 95 მილიონი ევრო. ავტოდრომი ქალაქ ფარესში (პატრადან 20 კილომეტრის მოშორებით) აშენდება. ვარაუდობენ, რომ პროექტის განხორციელებას დაახლოებით სამი წელი დასჭირდება.

● კვირის ბოლოს



სამუდამო დისკვალიფიკაცია

ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი

● ჰოკეი

# კროსბი შვებულებაში გაუშვეს

„პიტსბურგ პინგვინზის“ კაპიტანი **სიდნი კროსბი**, რომელმაც ჯერ კიდევ ექვს იანვარს მიიღო ტვინის მძიმე შერყევა, დღემდე ვერ ახერხებს რეგულარული ვარჯიშების დაწყებას.

მარტის ბოლოს ექიმებმა კანადური ჰოკეის პირველ ვარსკვლავს ყინულზე მცირე ხნით სრიალის უფლება მისცეს, მაგრამ შემდეგ კროსბი მოულოდნელად ცუდად გახდა. ჰოკეისტმა განაცხადა, რომ ისევ დაუბრუნდა ტვინის შერყევის სიმპტომები.

იქედან მოყოლებული სიდნის აუკრძალეს ყინულზე გასვლა, გუშინ კი პიტსბურგელის აგენტმა განაცხადა, რომ სამედიცინო პერსონალი ისევ არ აძლევს კროსბის თუნდაც მცირეხნიანი ვარჯიშების უფლებას.

იმის გამო, რომ ფორვარდს არ აქვს ყინულზე დაბრუნების შესაძლებლობა, ის შვებულებაში გავიდა, რომელიც მაისის ბოლომდე გაგრძელდება.

● ველოსპორტი

# მენშოვი ექვმიტანილია

რუსული ველოსპორტის ლიდერი **დენის მენშოვი** დოპინგის მიღებაშია ეჭვმიტანილი. ავტორიტეტულმა ფრანგულმა გამოცემა „ეკიპმა“ გამოაქვეყნა იმ ველომბროლთა რეიტინგი, რომლებიც ეჭვმიტანილად მიიჩნევიან აკრძალული პრეპარატების გამოყენებაში. ეს რეიტინგი ეფუძნება ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირის საიდუმლო მასალებს, რომლებიც 2010 წლის ტურ დე ფრანსის წინ სპორტსმენთა ბიოლოგიური პასპორტების კვლევის შედეგად არის შედგენილი.

რეიტინგში ველომრბოლებს მინიჭებული აქვთ ნომრები ნულიდან ათამდე. „ნული“ ნიშნავს სპორტსმენის სრულ უდანაშაულობას, „ათი“ - ანტისადოპინგო წესების დარღვევის მაქსიმალურ ალბათობას. „ათიანი“ ორმა სპორტსმენმა მიიღო - უკრაინელმა **იაროსლავ პოპოვიჩმა** „რედიოშეკიდან“ და ესპანელმა **კარლოს ბარედომ** „ქუიქ-სტეპიდან“. „ეკიპმა“ ამ რეიტინგში შესულ ველომრბოლთა შორის ყველაზე პოპულარულ მენშოვს „ცხრიანი“ დაუწერა.

● კალათბურთი

# ადელმანი ლეიკერსში?

„ჰიუსტონ როკეტსის“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი **რიკ ადელმანი** „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ თავკაცის პოსტზე ერთ-ერთ მთავარ კანდიდატად განიხილება. როგორც ESPN წერს, კალიფორნიული კლუბის ხელმძღვანელობა სერიოზულად ფიქრობს ამ სპეციალისტით პენსიაში გასული **ფილ ჯექსონის** შეცვლას.

შეგახსენებთ, რომ ამ თემაზე გავრცელებული წინა ინფორმაციის თანახმად, „ლეიკერსის“ მწვრთნელობას ჯექსონის ასისტენტს **ბრაიან შოუს** უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, კლუბს არ სურს რისკზე წასვლა და გუნდის გამოუცდელი სპეციალისტისთვის ჩაბარება.

ადელმანი ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად მიიჩნევა. მართალია, მას საჩემპიონო ბეჭედი არასოდეს მოუგია, მაგრამ „საკრამენტოში“, „პორტლენდსა“ და „ჰიუსტონში“ მისმა მუშაობამ ამ სპეციალისტის მაღალი პოტენციალი გამოავლინა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**